


დიდი

ანგარი

კაცი



იყო

ახეთი

კაცი



გამომცემლობა „უნიპრესალი“
თბილისი 2009

0980

000000

0980

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19. ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-877-6

შპს „უნივერსალი“, ანონიმური საზოგადოებრივი
წარმოების საზოგადოება

სარჩევი

1. ნანა ლომაძე, სიყვარული, რომელიც მუდმივად ძალით მავსებს	5
2. პავლე თოდაძე, მონატრება	14
3. დავით ცირეკიძე, ქალაქ ტყიბულის მერის გადანყვეტილება	15
4. დავით ცირეკიძე, კეთილი ჯადოქარი	17
5. ილია ბარბაქაძე, დიდი თავკაცი	18
6. ვარლამ სახვაძე, სიყვარულით ნაკეთები საქმე	21
7. ბუხუტი ორჯონიკიძე, ჭეშმარიტი ერისკაცი და მოძღვარი	37
8. ჯემალ სტურუა, მუდამ სიკეთეზე ფიქრობდა	42
9. არჩილ ახვლედიანი, რას დავარქვით შენი სახელი	44
10. ბუდუ გაბრიჭიძე, სოფლის დიდი მოამაგე	47
11. რევაზ ყიფიანი, შთამომავლობა არ გვაპატიებს	51
12. გ. გენაძე, წარსულის რწმენა	53
13. აკაკი ბრეგაძე, სიტყვისა და საქმის კაცი	55
14. ჯუმბერ ტაბელაშვილი, ტყიბულის აღმშენებელი	58
15. თამაზ ცირეკიძე, ვინც გაგვიფურჩქნა ქალაქი	60
16. მერცია ზარნაძე, ღვანლმოსილი	63
17. ამირან ქასრაშვილი, ხელოვნების სიყვარულით	66
18. ჭიჭიკო კუბლაშვილი, უკვდავება	68
19. მიხეილ გვენეტაძე, მის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა	70
20. გრიგოლ ცნობილაძე, ერისკაცი	74
21. ასტიონ ქასრაშვილი, შესაშური თვისებები	76
22. დავით ქათამაძე, დაუვინყარი სახელი	78

23. ვლადიმერ იაშვილი, ვინც წინაპარს პატივს არ მიაგებს	80
24. უჩა დალაქიშვილი, თითქოს მინა ინვოდა	83
25. ცირა ლანჩავა-გაბრიჭიძე, ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა	85
26. თინა მგალობლიშვილი, ეს ნამდვილად ასე იყო	87
27. ბადრი ქარქაშაძე, ქვეყნისა და კაცის მოყვარული	89
28. გურამ ალიბეგაშვილი, კაცი იყო კაცური	91
29. ნოდარ ვახტანგაძე, პატარების დიდი ქომავი და მეგობარი	93
30. კარლო ლლონტი, საქართველოს ღირსეული შვილი	96
31. ნაპოლეონ ქარქაშაძე, კაცი, რომელიც ახსოვთ	102
32. ბათელი ანდლულაძე, ლეგენდად დარჩა	104
33. ვახტანგ ლომაძე, ბუმბერაზი მოლვანე	107
ფოტომასალა	119

სიყვარული რომელიც მუდმივად ქალით გავსებას

დიახ! ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ, ბავშვობა კი მშობლებით იწყება და მეც მინდა გიამბოთ მამაჩემზე – კარლო ლომაძეზე ის რაც მახსოვს და რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ამბობენ იგი მეტად მომთხოვნი და პრინციპული იყო. შეიძლება მართლებიც არიან, მაგრამ სამართლიანი რომ იყო, ამას ყველა აღიარებს.

ყოფაში ძალზედ უბრალო გახლდათ, ადვილად საურთიერთო. არასოდეს გამიგია მისგან ხმამალალი სიტყვა. მაშინაც კი როცა გაფითრებული უყურებდა ფეხბურთის ტრანსლაციას იგი ემოციებს არ გამოხატავდა. რაზედაც დედაჩემი ურჩევდა; – თქვი რამე, გულს ნუ იხეთქავო.

საყვედურის თქმას არ იკადრებდა და არც შენ გაკადრებდა. არ უყვარდა შენიშვნების მოცემა, ისე იუმორით მიგანიშნებდა, თუ მიხვდებოდი, ხომ კარგი.

ბუნებით დემოკრატი კაცი იყო და ცდილობდა ჩვენც თავისუფალ პიროვნებად აღვეზარდეთ. ცნობილია რაც მეტია თავისუფლება, მით უფრო ძლიერია ქვეცნობიერი ცენზურა, რომელიც გამუდმებით გიმეორებს: – ეს არ შეიძლება, ეს არ შეიძლება... ეტყობა მამაჩემს ეს კარგად ესმოდა მასთან ყოფნა ჩვენთვის ზეიმი იყო.

იგი შვილებს გვამხნევებდა და კარგი სწავლისთვის გვახალისებდა კიდევც.

უყვარდა ჩვენი მეგობრები, იმდენადაც კი, რომ ნანი ჩხეტიას მეოთხე ქალიშვილს ეძახდა. ლამარა გაბისკირიას გოგონები, როცა წამოიზარდნენ გაოცებულები იყვნენ: – როგორ, კარლო ბაბუ ჩვენი წამდვილი ბაბუ არ არისო?! საქმე იმაში გახლდათ, რომ ჩემს მეგობარს ზაფხულობით ბავშვები რაჭაში დაყავდა. ტყიბულამდე მატარებლით მოდიოდნენ, შემდეგ კი მამაჩემი ზრუნავდა მათ მგზავრობაზე.

ჩვენი მეგობრები მამაჩემის საქმიანობას ზღაპარს ადარებდნენ და სათაურიც „იყო ასეთი კაცი!“ ლია მეგრელიშვილმა შემომთავაზა.

ჩვენ ბევრჯერ დაგვხვედრია წინ მამაჩემის კეთილი სახელი. მოგონებების გამოცემის იდეასაც ძალზედ წაადგა ზაურ გომართელის თანადგომა.

განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება შვილიშვილების მიმართ, შეისვავდა მათ მხრებზე და დაარბენინებდა. თვითონ წიგნიერი კაცი იყო და ხელს გვინყობდა რათა შვილებისათვის კარგი განათლება მიგვეცა. ეს კი წამდვილად შევუსრულეთ.

ბავშვები მიჩვეულები იყვნენ, უცხო ადამიანებისაგან ბაბუს ქებას. ერთმა მწერალმა მამუკას წიგნიც აჩუქა წარწერით:

„არ გამიკითხავს შენი ოჯახი,
არც შენი მოდგმის გულის ფიცარი,
შემოგხედე და მაშინვე მიგხვდი –
კარლო ლომაძის გენო გიცანი“.

მამაჩემი ჩემთვის, – ჩემს გულში იდეალური პროცნება იყო. თანაც მომხიბვლელი. მაგონდება მეზობლები მეუბნებოდნენ: მამაშენი ეზოში რომ შემოვიდოდა – მხრებზე პიჯაკ წამოკიდებული, მთელი სახლის ქალები ფანჯრებს ვანყდებოდითო.

ბავშვობაში გამუდმებით გვიმეორებდა: – ვისაც მეტი მიეცემა, მეტი მოეკითხებაო, ან რასაც გასცემ შენია... და შემდეგ იწყებოდა მისი განმარტებები. თითონაც მკაცრად იცავდა ამ შეგონებას.

მახსოვს, პანაშვიდზე ვიყავი, მამაჩემი მოწინებით მიესალმა სიმპატიურ პიროვნებას, ის კი მიიჭრა მამაჩემთან, ჩაეხუტა და უთხრა: – თავს ვერ ვაპატიებ აქამდე რომ ვერ მივხვდი, ახლა კი, როგორც შემოგხედე მაშინვე ვიგრძენი, რომ ის კაცი შენ ხარ. მამაჩემი უხერხულად იდგა. ეს კი იმეორებდა. ის შენ ხარ! ათეული წლები იყო გასული და მამაჩემიც დაეთანხმა.

შემდეგ დედაჩემისგან გავიგე, რომ ბატონი აკაკი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახლდათ და დააპატიმრეს. იმ პერიოდში მამაჩემი თურმე ყურადღებას არ აკლებდა მის და მის ოჯახს.

ტელევიზია და რადიო ბევრს ლაპარაკობდა ტყიბულის რაიონის წარმატებებზე. ბევრი იწერებოდა პრესაშიც. აღნიშნავდნენ დიდ მიღწევებსაც როგორც სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ასევე მშენებლობის, კულტურის, ჯანმრთელობისა და სპორტის სფეროშიც. ამიტომაც ტელევიზიამ გადანყვიტა გადაელო მრავალსერიანი ფილმი ტყიბულზე და მის ხელმძღვანელზე. ვახტანგ გეგელია (უფროსი) უკვე მუშაობდა სცენარზე.

როცა ეკრანებზე გამოვიდა რეზო ჩხეიძის ამავე თემაზე გაკეთებული ფილმი და ეს იდეა დავინწყებას მიეცა. თუმცა დიდი ხნის შემდეგ ტელევიზია მაინც მიუბრუნდა ამ თემას.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მამაჩემს დაურეკა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მყოფმა ახალგაზრდამ და შეხვედრა სთხოვა. ისიც ეახლა. თავაზიანი მოკითხვის შემდეგ პირდაპირ უთხრა: შენზე ამბობენ გმირობის ვარსკვლავის ტარებაც კი ეთაკილებო. მამაჩემმა საუბარი ხუმრობაში გაატარა. – ახალი პიჯაკის

გახვრეტა მენანებაო – უპასუხა ღიმილით. ამ დროს იგი ოთხმოც წელს იყო მიღწეული.

მისი ცხოვრება სავსე იყო განცდებით, იყო შური და წინააღმდეგობები. ჯანღონით სავსე, ცოდნითა და გამოცდილებით დატვირთული იგი ნაადრევად გავიდა პენსიაზე, რათა გაცლოდა მათ, ვისი საქმიანობაც მისთვის მიუღებელი იყო.

იგი მყარად იდგა მინაზე, ამავე დროს ზნეობრივი კანონების დაცვით გამოირჩეოდა.

ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, ჩემმა მეგობარმა ფიქრია ელიაშვილმა მითხრა: – ჩვენი მამები ცოცხლები რომ იყვნენ, ზვიადის გვერდით დადგებოდნენო. ეს ნამდვილად ასე იქნებოდა, ეს მეც მჯერა, რადგანაც იმ დროს, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს ახლა, საქართველო იდგა არჩევანის წინაშე: – ჯერ დამოუკიდებლობა თუ დემოკრატია? საზოგადოების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ქვეყნისთვის უკეთესი იქნებოდა დემოკრატიის გზის არჩევა, ანუ საბჭოთა იმპერიის შენარჩუნება და მისი გაკეთილშობილება. მამაჩემმა იცოდა, რომ დემოკრატია დაუსრულებელი პროცესია. მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო მეორე გზა – საქართველოს განთავისუფლების გზა, რომ თქვენ წარმოიდგინეთ გარდაცვალების წინ შვილებს დაგვიბარა: – საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდება, მოდით ჩემს საფლავთან და ჩამომძახეთო!

იმ დროს საზოგადოების ყველა სფეროში მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებსაც სამშობლოსთვის სამსახური მოვალეობად მიაჩნდათ და რაც მთავარია გააჩნდათ ამის უნარი. დიდი შრომისა და მაღალი ზნეობის მეშვეობით, მათ ნათელი კვალი დატოვეს შთამომავლობაში.

მიცადინ იუნიკა – ამოტყვევებული იმდენად მნიშვნელოვანი

იმ 30 წლის განმავლობაში, როცა კარლო ლომაძე ხელმძღვანელობდა სხვადასხვა რაიონებს, იმ ტოტალური რეჟიმის დროსაც, მან შესძლო კაცური კაცის პრინციპით ეცხოვრა.

ნამდვილად ბედნიერი კაცი იყო, იგი არა მარტო გასცემდა დიდ სიტბოსა და სიყვარულს, არამედ იღებდა კიდეც. მაგონდება, ლიკანში ჩვენთან ერთად ისვენებდა დარბაისელი კაცი, როცა გაიგო ვინ ვიყავი, თვალცრემლიანმა მიაშპო: – როცა კარლო ლომაძე ჩამოვიდა ჩვენს რაიონში, მაშინ ერთი გზააბნეული ბიჭი ვიყავი. მამა არ მყავდა და ცუდ წრეში ვტრიალებდი, ამიტომაც დამიჭირეს კიდეც.

როცა ბატონმა კარლომ ეს ამბავი გაიგო თავდებით გამომიყვანა. მან მკაცრი კონტროლი დამინესა, ზრუნავდა ჩემს სწავლაზე, კვებაზე და თქვენ წარმოიდგინეთ ჩაცმაზეც კი. სანამ ცოცხალი იყო, სულ მხედველობის არეში ვყავდი და იძულებული გამხდა შემეცვალა ცხოვრების ძველი წესი.

ჟურნალისტიკის კურსდამთავრებული კარლო ლომაძე აჭარაში დაინიშნა გაზეთის რედაქტორად. 1940 წელს კი ქედის რაიონის პირველ მდივნად. შემდეგ იყო ბოლნისი და ქობულეთი. განსაკუთრებით ხანგრძლივი დროით იმუშავა ტყიბულში – 14 წელი, ამიტომაც ისტორიკოსისა და აგრონომის პროფესიებთან ერთად, აქ სამთო საქმის სპეციალობაც შეისწავლა. ნათლად მახსოვს სამუშაო ოთახში დიდი შავი დაფა, სადაც მამაჩემი ახალგაზრდული შემართებით ხაზავდა და შლიდა, შემდეგ კვლავ კიხულობდა და ხაზავდა. იმ დროს 50 წელს იყო გადაცილებული.

1945 წელს დაამთავრა საკავშირო აკადემიის ორწლიანი კურსები. იმ დროს ქვეყანა ფაშიზმზე გამარჯვებას ზეიმობდა. კრემლში გამართულ საზეიმო ვახშამზე სხვებთან ერთად მიწვეულები იყვნენ

ოთხი აკადემიდან წარჩინებით კურსდამთავრებულები, მათ შორის იყო კარლო ლომაძეც.

კრემლში, სტალინთან საზეიმო ვახშამზე ყოფნის მოგონებები მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამაზე საუბარი უჭირდა.

იგი იყო თითქმის ყველა მედლისა და ორდენის კავალერი. 1947 წელს კი მიენიჭა საბჭოთა კავშირის შრომის გმირის წოდება.

ეს სიტუაციაც გამორჩეული იყო. რამდენადაც მახსოვს, სტალინის სიცოცხლეში პარტიულ ლიდერებს გმირობას არ ანიჭებდნენ.

განსაკუთრებით კარგად მახსოვს მისი მუშაობა ტყიბულის ქალაქკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე. მან ძალზედ ბევრი შესძლო. მისი არცერთი სიკეთე ტყიბულელებს არ დავინწყნიათ. გამოსატეს კიდეც მისდამი ღრმა პატივისცემა. თანამდებობიდან წამოსვლის 10 წლის შემდეგ, პენსიონერი კარლო ლომაძე აირჩიეს ტყიბულის საპატიო მოქალაქედ, 15 წლის შემდეგ ტყიბულელთა მოთხოვნით და მაშინდელი თავმჯდომარის – ნუგზარ ფოფხაძის ნებით საქართველოს ტელევიზიამ გადაიღო ფილმი კარლო ლომაძის მოღვაწეობაზე.

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, გადავწყვიტეთ ტყიბულში ახლად აშენებულ ეკლესიისთვის ხატები შეგვეწერა. გადავეცით ხატები წარწერით – კარლო ლომაძის ოჯახიდან. წამოსვლას როცა ვაპირებდით, ჩვენს ირგვლივ ეკლესიის მსახურნი შემოიკრიბა, ერთმანეთს ასწრებდნენ იმის თქმას, თუ მაშინ სად რა აშენდა, თან დააყოლეს: – კარლო ლომაძემ წარმოუდგენლად ბევრი გააკეთა, მაგრამ იმ პერიოდში ეკლესიის აშენება შეუძლებელი იყო. შემდეგ შევავსეთ მოსახსენებელი, რომელსაც მუდმივად ნაიკითხავენ საეკლესიო მსახურების დროს.

ეკლესიიდან გამოსულს ყმაწვილი გაგვეცნო, გავიფიქრე – ეს იმდენად ახალგაზრდაა ალბათ კარლო ლომაძე არც იცის თქო. თითქოს მიმიხვდა ფიქრს და გვითხრა: – ჩვენ, ტყიბულელები, ჩვენს ოჯახებში ჯერ თქვენ მშობლებს ვადღეგრძელებთ და შემდეგ საკუთარსო.

ამგვარი მოგონებები იმდენად ბევრია, რომ გვერიდება კიდეც მასზე საუბარი.

1997 წელს კარლო ლომაძე კვლავ „დაბრუნდა“ ტყიბულში. ნამოსვლიდან 26 წლის შემდეგ, ტყიბულის ახალმა მერმა – დავით ცირეკიძემ, მოღვაწეობა ახლებურად დაიწყო. მან დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში – ყოფილი ქალაქკომის პირველი პირის – კარლო ლომაძის ავტორიტეტი გამოიყენა, მაგრამ მარტო ენთუზიაზმით ვერაფერს მიაღწიეს. მთავრობამ, როგორც სხვაგან, აქაც არცერთი ნამოწყება არ დააფინანსა.

მაპატიონ ტყიბულელებმა და მაშინდელი წალკოტისმაგვარი ქალაქი, ახლა ნაქალაქარს ჰგავს. მაშინ კი 1997 წელს ტყიბული ზეიმობდა საყვარელი კაცის გახსენებას. ზეიმობდა მთელი ტყიბული, ქალაქი და სოფლები. ამასთან დაკავშირებით მინდა ავლნიშნო, მაშინდელი რუსეთის ელჩის გამონათქვამი: – ყოფილ საბჭოთა სივრცეში ეს პირველი შემთხვევაა, როცა დემოკრატები, კომუნისტს იუბილეს უხდიანო.

ტყიბულში ჩატარებული დღესასწაული თბილისში გაგრძელდა. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი სავსე იყო ტყიბულელებითა და თბილისელებით.

1966 წელს მთელი ქვეყანა აღნიშნავდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს ტყიბული თავისებურად გამოეხმაურა ამ თარიღს. სკოლებსა და ორგანიზაციებში მოეწყო კონკურსები და

გამოფენები. დაწესდა პრიზები და ფულადი ჯილდო „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელებისთვის. რაც მთავარია ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა პოემის სრული ტექსტი. ამ ფაქტს დადებითად გამოეხმაურა მეცნიერთა დიდი ნაწილი. აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე წერდა: „თქვენი თაოსნობა ერთერთი საუკეთესო საქმიან ღონისძიებად მიმაჩნია. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პუბლიკაცია საქალაქო გაზეთის ფურცლებზე ძლიერ შეუწყობს ხელს გენიალური პოემის პოპულარობას მასობრივ მკითხველთა შორის. ალბათ ბევრი გამოჩნდებოდა ისეთი, რომლებიც ძველი ჩვეულების კვალობაზე ზეპირად შეისწავლის პოემის ცალკეულ ადგილებს მაინც“.

როგორც ამ იდეის ინიციატორს კარლო ლომაძეს გადაეცა წიგნად აკინძული საგაზეთო კომპლექტი. იგი ახლაც ჩვენს ოჯახში ინახება.

როცა მამაჩემი პოემის ბეჭდვის იდეით იყო აღფრთოვანებული დედაჩემს უთხრა: „რადგანაც „სახარების“ ბეჭდვა არ შეიძლება, „ვეფხისტყაოსნის“ დავბეჭდავ ადგილობრივ გაზეთში, იგი ხომ ქართველებისთვის მეორე „სახარებაა“.

„ვეფხისტყაოსნის“ აკინძული კომპლექტი თათია ხაინდრავას ოჯახში ნახა „ასავალდასავალის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა. პოემის საგაზეთო პუბლიკაციის 40 წლის შემდეგ, ბატონი ლაშა დაინტერესდა ამ ამბით და თათიამაც უამბო მამაჩემი როგორ ოცნებობდა, რომ „სახარება“ დაებეჭდა. მალე „ასავალდასავალის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ფოტომასალა და ინფორმაცია „ვეფხისტყაოსნის“ საგაზეთო პუბლიკაციის თაობაზე.

შემდეგ კი, შემდეგ მოხდა საოცრება. „ასავალ-დასავალმა“ დაიწყო „სახარების“ ბეჭდვა. ეს ფაქტი თავისთავად ხომ ბედნიერებაა,

მაგრამ ჩვენთვის იგი ორმაგი ბედნიერება იყო, რადგანაც მამაჩემის ოცნება ახდა!

დიდი მადლობა ამისათვის ბატონ ლაშას.

გავიდა დიდი დრო და ტყიბულელებმა კვლავ გაგვაოცეს. ახლა კარლო ლომაძის დაბადების 100 წლისთავზე, ამ დუხჭირ დროში ტყიბულელებმა საკუთარი სახსრებით ბრინჯაოში ჩამოასხეს მისი უზარმაზარი ბიუსტი.

მართლაც რომ ყველაზე ძვირფასია სახელის მოხვეჭა.

ამიტომაც გადავწყვიტე ერთად შემეკრიბა მამაჩემის მეგობრების, ახლობლებისა და თანამოაზრეთა მონათხრობი და ჩემი მოკრძალებული მოგონება.

ილეოდა მეოცე საუკუნე. წავიდა მამაჩემის თაობა, მაგრამ მოდიოდა და მოდიოდა მამულიშვილთა მთელი არმია. მოვიდნენ და მოიტანეს თავისუფლება.

დიახ! ჩვენში მარადიულია მცნება: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

შემთხვევით არ არის, რომ თხრობას მამაზე, ვინც და ვამთავრებ სიტყვით „დიახ“ – ძველთაგან „დიალ“, რაც ასე უღერს „დიდ არს ღმერთი“.

ეტყობა – თანხმობაში ჩვენი წინაპრები – ღვთის ნებას ხედავდნენ.

მამაჩემის სამაგალითო უნარი თანხმობა დაემყარებინა ახლობლებში, ჩვენ ცხოვრებას გვიმსუბუქებდა.

ახლაც კი მას ვიგონებ სევდით – რადგანაც აღარ არის.

სიხარულით, რადგანაც ასეთი იყო, და სიყვარულით, რომელიც მუდმივად ძალით მავსებს.

მონატრება

ჩვენო კარლო, არ იფიქრო,
თბილი გული გაცივდა,
რაც დრო გადის სულ მალღებში
უფრო დიდი კაცი ხარ.

მაგნე ხელი ვერ დაანგრევს
გამრჯეუ კაცის ნაშენებს,
ყველაფერი შენ დატოვე –
რაც ჩვენს ქალაქს ამშვენებს.

ნიჭი, ფიქრი, შრომის სითბო,
შენი ახალგაზრდობა
შეაღიე ოკრიბას და
თესე კარგი კაცობა.

სტუმრობაა დღეს ტყიბულში,
ხალხი მრავლად სეირნობს,
შენს სიყვარულს, გახსენებას,
მონატრებას ზეიმობს.

ახლა გვმართებს მობრუნება
ფიქრი გვერდით დგომაზე,
დავიხარჯოთ ტყიბულისთვის
როგორც კარლო ლომაძე!

დავით ცირაქიძე

ქალაქ ტყიბულის

მერი 15 აპრილი, 1997 წ.

ქალაქ ტყიბულის მერის გადაწყვეტილება

კარლო ლომაძის სახელის უკავდავსაყოფად

ბასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

ქ. ტყიბულის მერის კაბინეტი აღნიშნავს, რომ 1957-1970 წლებში საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა კარლო მეღვინის ძე ლომაძე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქ. ტყიბულის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის საქმეში.

კარლო ლომაძის მოღვაწეობა კარგად ახსოვთ, როგორც მისი პერიოდის, ასევე შემდგომ თაობებს დამნიფდა აზრი დამსახურებული პატივის მიღების შესახებ კარლო ლომაძის სახელის უკვდავსაყოფად.

ქალაქ ტყიბულის მერის კაბინეტმა გადაწყვიტა:

მიენიჭოს კარლო ლომაძის სახელი ქ. ტყიბულის საქალაქო კულტურის ცენტრს, საცურაო აუზს, ქალაქის ცენტრალურ მოედანს (ადმინისტრაციული სახლის წინამდებარე მოედანი).

- აღნიშნული მოედნის შემომფარგლავ შენობებს – სასტუმროს, ადმინისტრაციულ სახლს, საქალაქო კულტურის ცენტრს და „ტყიბულნახშირის“ ადმინისტრაციულ შენობას შეეცვალოს მისამართი და ეწოდოს კარლო ლომაძის მოედანი №1, 3, 5, 7.

დაევალოს საქალაქო მუერნეობის გაერთიანებას (ჯ. ქათამაძეს)

– სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით გადანყვეტილების შესაბამისად შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოს აბრების და მაჩვენებლების, მემორიალური დაფის დამზადება – მონყობა.

ქ. ტყიბულის ადგილობრივმა ტელევიზიამ (ა. ცქიფურიშვილი), გაზეთებმა „ტყიბული“, „ოკრიბა“ (ი. ბარბაქაძე, გ. გენაზე) უზრუნველყონ კარლო ლომაძის შესახებ მოგონებების ფართოდ გაშუქება ტელევიზიისა და პრესის საშუალებით.

კეთილი ჯადოქარი

საზოგადოებრივი აზრი, ბატონ კარლო ლომაძის უკვედავყოფის ღონისძიებათა შესახებ, მომნიჭებული იყო. ქალაქის სათავეში ჩემმა მოსვლამ მხოლოდ დააჩქარა და კონკრეტულ გადანყვეტილებამდე მიიყვანა ეს საქმე. კარგია, რომ საზოგადოება ამ ნაბიჯს გავებით შეხვდა. ჩემს თაობას ბატონი კარლო ახსოვს როგორც კეთილი ჯადოქარი, რომელიც მთელ ქალაქს და სოფლებს აშენებდა და ამშვენებდა, ყველაფერს აკეთებდა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მუდამ სიკეთეს თესავდა. მას არ აშინებდა ხალხთან ახლო ურთიერთობა, ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. კარგად მახსოვს ფეხბურთის უნიკალური სტადიონის გახსნა, რომელიც დიდ სახალხო ზეიმს წარმოადგენდა.

ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ ქალაქი, კარგ ტრადიციებს დავუბრუნოთ სიცოცხლე და ვიაროთ წინ, მხოლოდ წინ, რადგან უკან დასახევი გზა არა გვაქვს. მემამყება, რომ ვხედავ ჩემი ტყიბულელების მხარდაჭერას, თანადგომას, ენთუზიზმს. განსაკუთრებით მახარებს ახალგაზრდობის მონდომება. ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ხვალისდელი დღეა.

ბატონი კარლო ლომაძის ხსოვნის საღამო საუკეთესო მაგალითად დარჩება ოკრიბის მდიდარ ისტორიაში.

დიდი თავკაცი

დიდ გერმანელ ფილოსოფოსს ჰეგელს ეკუთვნის ყველა ეპოქისათვის საჭირო გამოთქმა – მე მირჩევნია, ცხვრის ფარას ლომი ედგას სათავეში, ვიდრე ლომების ჯოგს ცხვარი მეთაურობდესო. მართლაც და, არა თუ სოფლის, ქალაქის თუ სახელმწიფოს ბედს ნყვეტს თავკაცი, არამედ სამკაცნიანი ჯგუფის ავკარგიც კი დამოკიდებულია მის მეთაურზე. ცხოვრების მრავალსაუკუნოვანმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ დიდ ადამიანებს სიცოცხლეში გაკეთებული სიკეთის გამო სიკვდილი არ უწერიათ. ამიტომაა, რომ თაობიდან თაობებს გადაეცემათ დიდი პოლიტიკური მოღვაწეების, სარდლების, განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების სახელები.

ტყიბულს, როგორც სამრეწველო ქალაქს 160 წლის ისტორია აქვს. მაგრამ ქალაქის ნამდვილ მშენებლობას სამამულო ომის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ქალაქის დიდმასშტაბური მშენებლობა, მისი კეთილმოწყობა ძირითადად 50-60-იან წლებში მოხდა, როცა ქალაქს თავკაცობდა ნოვატორი, შემოქმედებითი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული, დიდი ორგანიზატორი კარლო ლომაძე, ამ დიდებული ადამიანის ხელმძღვანელობით, უპირველეს ყოვლისა სამუშაოს ხასიათის მიხედვით, შეირჩა კადრები – ყველა საქმის ერთგული ადამიანები და სათანადო სპეციალისტები. განსაკუთრებით ეს ითქმის სამთო დარგზე. ჩინებული ორგანიზატორები ჩაუდგნენ სათავეში სამშენებლო ორგანიზაციებს, სასოფლო საბჭოებს, კოლ-

მეურნეობებს, განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის დარგებს. შრომაც იყო და დაფასებაც.

ქალაქ ტყიბულსა და მის სოფლებში გაიშალა ფართო მშენებლობა. ყველა ძირითადი საცხოვრებელი კვარტალი, ქალაქის თითქმის ყველა სკოლა, კულტურის კერა, სპორტული დარბაზები და კომპლექსი, ქალაქის ავტომაგისტრალი, შახტების ახალი ჰორიზონტები, სოფლებში ყველა განათლების კულტურისა, ვაჭრობის და მომსახურების კერა, მეფრინველეობის ფაბრიკა, ათობით ფერმის შენობა უშუალოდ კარლოს თავკაცობით აშენდა. გამშენიერდა და კეთილმოეწყო ქალაქი.

კარლოს ინიციატივით დაიდგა ქალაქის ცენტრში ლენინისა და სტალინის უნიკალური ძეგლები, შ. რუსთაველისა და გ. გაბრიადის ბიუსტები.

ტყიბული მეშახტეთა ქალაქია. მისი არსებობის საფუძველი და სასიცოცხლო არტერიაა ქვანახშირის მრეწველობა. ქალაქის თავკაცი უპირველეს ყოვლისა შახტების გამართულ მუშაობას, ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობას უთმობდა დიდ ყურადღებას. შემდეგიც ასეთი იყო. 1957 წელს ტყიბულში მოპოვებული იქნა ერთი მილიონ ოთხას ათი ათასი ტონა, ხოლო 1970 წელს – ორი მილიონ ორას ოცი ათასი ტონა ქვანახშირი.

შარშან ტყიბულის შახტებმა ამოიღეს რაღაც 22000 ტონა ქვანახშირი და მისი ნაწილიც გაუსაღებელია.

როგორ დავეციო?

წავიდა 26 წლის წინ ჩვენი ქალაქიდან და დატოვა წარუშლელი კვალი და დიდი სახელი. ისიც ფაქტია, რომ ბევრ აშენებულს და გაკეთებულს ვერ მოვუარეთ. ჭკვიანური შეგონებაა – სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო და მართლაც, სხვა სიკეთესთან

ერთად ქალაქის ახალმა თავკაცმა დიდებული ინიციატივა გამოიჩინა დამსახურებული ადამიანის კარლო ლომაძის ხსოვნის უკვდავსაყოფი ღონისძიებების გატარების სახით. ვიმედოვნებთ, ჩვენი ქალაქისა და სოფლის ცხოვრება ნალმა შემობრუნდება, კვლავ დღის წესრიგში დადგება მშენებლობა, აღმავლობა, დისციპლინა, წესრიგი, თანადგომა და ქვეყნის მომავალზე ზრუნვა. ყველაფერი ის რისთვისაც თავდაუზოგავად იშრომა კარლო ლომაძემ.

სიყვარულით ნაკეთები საქმა

1956 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. ტყიბულის კომუნისტური პარტიული ორგანიზაცია მორიგი კონფერენციის ჩასატარებლად ემზადებოდა. პარტიულ ხელმძღვანელობაში ცვლილებებს არავინ ელოდა. ყველასათვის მოულოდნელად მოხდა არასასიამოვნო ფაქტი, რაიკომის პირველი მდივანი თვით მკვლელობას შეეცადა – და დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს.

კონფერენცია გადაიდო.

1957 წლის იანვარში დაინიშნა კონფერენცია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა კონფერენციას რაიკომის პირველი მდივნის კანდიდატურა წარუდგინა, გააცნო დელეგატებს მისი ბიოგრაფია და მოუწოდა, რომ მხარი დაეჭირათ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურისათვის.

ეს პიროვნება გახლდათ კარლო მელენტის ძე ლომაძე. მას ტყიბულში არავინ იცნობდა. ქალაქის აქტივის რეაქცია არაერთგვაროვანი იყო.

ამრიგად, 1957 წლის იანვრიდან ტყიბულში თავისი აქტიური საქმიანობა დაიწყო პარტიის რაიკომის ახალმა მდივანმა კარლო ლომაძემ. ამ დროიდან მოყოლებული, თითქმის 14 წელი, მიხდებოდა მასთან მუშაობა და ახლო ურთიერთობაც მქონდა.

ერთად მუშაობის პერიოდში მის საქმიანობაზე, მუშაობის სტილსა და ადამიანურ თვისებებზე ბევრი მოგონება დამრჩა. მინდა ზოგიერთი მათგანი გავიხსენო.

პირველ შეხვედრაზე, რომელიც ბატონმა კარლომ ჩაატარა აქტივთან, გვაგრძნობინა, რომ იქნებოდა მკაცრად მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი. ეს პრინციპი მან ტყიბულში საქმიანობის მთელ პერიოდში დაიცვა. ამასთან მისი მომთხოვნელობა და სიმკაცრე თითქმის არასოდეს გადაზრდილა პიროვნების დამცირებასა და შეურაცხყოფაში.

აქტივის გაცნობის შემდეგ დაიწყო დაულალავი შრომა წარმოებისა და ყოფაცხოვრების ცალკეულ დარგებში არსებული პრობლემების შესწავლის და მათი გადაწყვეტის გზების ძიებისათვის.

იგი დეტალურად გაეცნო ქალაქისა და სოფლების ყოფაცხოვრებას, კულტურული და სპორტული მუშაობის დონეს, სოფლის მეურნეობას და მრეწველობას.

სოფლის მეურნეობაში მუშაობის გამოცდილება მას ჰქონია, მაგრამ სათანადოდ არ იცნობდა შახტების საქმიანობას, მის სპეციფიკას. ამიტომ ამ დარგის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა.

გააკეთებინა სპეციალური დაფა, ჩამოკიდა იგი კაბინეტის გვერდით დასასვენებელ ოთახში. საღამოობით იბარებდა ქვანახშირის მრეწველობის ყველაზე მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტებს, აკეთებინებდა საჭირო ნახაზებს და მათი მეშვეობით ეცნობოდა ამ დარგს.

რაიონში არსებული პრობლემების გაცნობის პარალელურად ახორციელებდა საკადრო პოლიტიკას. აქ ძირითად მიზნად დაისახა ჩამოეყალიბებინა ქალაქისადმი პატრიოტულად განწყობილი, კვალიფიციური და საქმის ერთგული ძლიერი გუნდი. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა.

დუნე, თვითდინებაზე მიშვებულ საქმიანობას შეჩვეული ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკები ვერ შეეგუა მის მიერ წამოწყებულ აქტიურ საქმიანობას და მნიშვნელოვან კონფლიქტებსაც ჰქონდა ადგილი.

ბატონ კარლოს უნარი შესწევდა თავის მონინაალმდეგეებშიც გამოერჩია აქტიური და ძლიერი პირები. მათ მიმართ ის ასეთი დევიზით მოქმედებდა – თანამდებობიდან არ გაგათავისუფლებ, იძულებულს გაგხდი იმუშაო ქალაქის საკეთილდღეოდ, წინააღმდეგობას და ნუნუნს თავი დაანებეთ, უმჯობესია მითხარით, რით და როგორ დაგეხმაროთ, წამოწყებული საქმე კი აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

ინტელიგენციისა და სპეციალისტების დიდმა ნაწილმა გაუგო მას და მხარში ამოუდგა. რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკის განთავისუფლება კი მაინც მოუხდა.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის ხელმძღვანელობაში განხორციელებული ცვლილებები და ამ საწარმოს ხელმძღვანელად – მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, განათლებული ინტელიგენტის ლევან რატიანის დანიშვნა.

ამ საკითხს კარლომ დიდი ყურადღება მიაქცია, რადგან ამ დროს „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტი მძლავრი და მდიდარი ორგანიზაცია იყო და ამ საწარმოს ხელმძღვანელის გვერდში დგომას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელებაში.

შეიცვალა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და პარტიის რაიკომის მეორე მდივანი. ამ თანამდებობაზე დაინიშნენ ილია გიორგობიანი და ჯიმშერ გოცირიძე.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა ბენია ქელიშვილი, აქტიური და საქმის ერთგული კაცი.

ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა თანამოაზრეთა დიდი ჯგუფი.

მრეწველობაში მდგომარეობა შედარებით უკეთესად იყო, მაგრამ სოფლის მეურნეობაში და ქალაქის კულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში საქმიანობა მდორედ მიედინებოდა. სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების გამგეობის როლი და ავტორიტეტი ერთგვარად დაკნინებული იყო. ბევრგან ხელმძღვანელად დაბალი განათლების და პასიური პირები იყვნენ. ამ ორგანოების ავტორიტეტის ამალგება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად დაისახა.

ყველას გაკვირვება გამოიწვია, როცა თავკაცმა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარედ მაღალი განათლების მქონე პირების – სკოლის დირექტორების, მასწავლებლების, აგრონომების დანიინაურების პროგრამა წარმოადგინა. ანალოგიური ღონისძიებები გატარდა კოლმეურნეობაში ავტორიტეტის ამალგებისათვის.

კარლოს გადაწყვეტილება ასეთი იყო – გადაექცია ქ. ტყიბული ძლიერი ეკონომიკის, მაღალი კულტურის, სპორტის ქალაქად.

ამ გადაწყვეტილების შესრულება მან შეძლო კიდევც.

როცა კარლო ტყიბულში ჩამოვიდა რაიონის კოლმეურნეობები წლიურად 2000 ტონამდე ჩაის კრეფდნენ, მისი ქალაქიდან წასვლის დროისათვის კი ჩაის ფოთლის კრეფამ 8000 ტონას გადააჭარბა.

სტაბილურად სრულდებდა ქვანახშირის ამოღების გეგმები, წლიურად საშუალოდ 1 მილიონ 250000 ტონაზე მეტ ქვანახშირს იღებდნენ. გაიზარდა გრანიტის ქვის მოპოვება და დამუშავება, აშენდა ხრესილის ხილის წვენების ქარხანა, გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა და მრავალი სხვა.

რის გაკეთებასაც გადაწყვეტდა, უნდა გაკეთებულიყო კარგად.

მისი ჩამოსვლის დროისათვის კულტურის სასახლე სახურავ-
ქვეშ იყო უკვე მოქცეული. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული
იყო კედლების, როგორც გარეთ, ისევე შიგნიდან, ცემენტის ხსნარ-
ით შელესვა, არ იყო გათვალისწინებული ჩუქურთმები, არც მხატვ-
რობა და არც რბილი სკამების დადგმა.

ბატონმა კარლომ თქვა, რომ ამგვარი კულტურის სასახლე ტყი-
ბულს არ შეეფერებო და დასვა საკითხი მისი სრულყოფილად კე-
თილმონყობის შესახებ, წარმოდგენილი პროექტის განხორციელებ-
ას ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით 700000 მანეთამდე თანხა დარჩე-
ბოდა. ასეთი გადახარჯვის დაშვება ისიც არასამრეწველო ობიექტზე
– იმ დროს მეტად სარისკო საქმე იყო. მაგრამ ამ რისკზე წავიდნენ
„ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის ხელმძღვანელები, პირველ რიგში კი
კულტურის სასახლის მშენებელი ოთარ გვენეტაძე, რომელიც
ცნობილი იყო ტყიბულში, როგორც პატრიოტი და საქმიანი კაცი.

განანილდა პასუხისმგებელ პირებზე ცალკეული საკითხები-
სადმი ხელმძღვანელობა. კულტურის სახლის ჭერის მოსახატავად
მონვეუი იქნა მხატვარი რობერტ სტურუა. რაიკომის მეორე მდივანი
ჯ. გოცირიძე და მე დამევალა მისთვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა.
რობერტი ხარაჩოებზე რომ ავიდოდა სამუშაოდ, იქიდან დაღამებამ-
დე ძირს არ უნდა ჩამოსულიყო. ხარაჩოებზე უნდა აგვეტანა მის-
თვის სადილიც, ვახშამიც და სხვა რაც კი დაჭირდებოდა.

დიდი ჭალის შექმნა და ჩამოტანა დაევალა ტექნიკური მომარა-
გების უფროს სიმონ აბადოვსკს, ხოლო რბილი სკამების დამზადებ-
ის ორგანიზაცია – ილია გიორგობიანს. საერთო მეთვალყურეობა
თავად კარლო ლომაძემ იკისრა.

მოცურავე გუბეში ბავშვი ჩავარდა დახრჩობა გარდაუვალი იყო, რომ შემთხვევით იქვე მყოფ მოქალაქე გარი გიორგობიანს არ შეემჩნია ეს უბედურება. მან ბავშვი გადაარჩინა.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ტყიბულში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მიმართ.

დაისვა საკითხი დახურული ღვარსაშრობის გაკეთების შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ ტრესტის მმართველის მოადგილემ კაპიტალური მშენებლობის დარგში ალიოშა მაჩაბელმა კარლოს მიუტანა ღვარსაშვების ნახაზი, რომელიც მეტად მცირე გაბარიტების იყო. ეს ნახაზი დაუნუნებული იქნა. გადაწყდა, რომ შეედგინათ ღვარსაშვების ისეთი პროექტი, რომელშიდაც ადამიანს თავისუფლად შესვლის და საქმიანობის საშუალება ექნებოდა.

გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ პროექტი გაკეთდა და დაიწყო მუშაობა. სამუშაოების დამთავრების შემდეგ კარლომ მოითხოვა, რომ ღვარსაშვები მოეზვინათ ფერდობებიდან ჩამოჭრილი მიწით. ამრიგად ღვარსაშვების თავზე წარმოიქმნა საკმაოდ ფართე მოსწორებული მოედანი. ფაქტიურად ეს სტადიონის მშენებლობის დაწყებას ნიშნავდა, მაგრამ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არ იყო.

ერთხელ, როცა ზედა სტადიონზე თამაში მიმდინარეობდა, კარლომ ჰკითხა შაორჰესის დირექტორს სიმონ გვენეტაძეს. ამ მოედნის ქვეშ მაღალი წნევის მილები რომ გადის, რომელიმე რომ გასკდეს რა მოგვივაო? – ჩვენ აქ ვინც ვართ არც ერთი არ გადავრჩებით, თან ნახევარ ქალაქსაც წალეკავსო. – უთხრა სიმონმა.

ჩემო სიმონ ეგ შენი მოსაზრება დაწერე და ხვალ მომიტანეო – უთხრა კარლომ.

სიმონ გვენეტააძე ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება იყო ქალაქში. პატრიოტულად განწყობილი. იგი მიხვდა რისთვისაც ჭირდებოდა კარლოს ასეთი დოკუმენტის შექმნა, დავალება მეორე დღესვე შეასრულა.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე დაინერა საკმაოდ არგუმენტირებული საჩივარი ქვანახშირის მრეწველობის და ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ. მასში აღნიშნული იყო, რომ შაორჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ტყიბულელები ფაქტიურად სტადიონის გარეშე დარჩნენ, რომ არსებული სტადიონის ქვეშ გადის მაღალი წნევის მილები და ამ ადგილებში ადამიანის თავმოყრა სარისკოა და სხვა.

არგუმენტაცია საფუძველიანად ჩაითვალა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ გარკვეული თანხა გამოყო სტადიონის მშენებლობისათვის. რა თქმა უნდა, ეს თანხები საკმარისი არ იყო, მაგრამ მთავარი საკითხი გადაწყდა, სტადიონის მშენებლობის ნებართვა მიღებული იყო. დანარჩენი უკვე პრაქტიკულ საქმიანობაზე იყო დამოკიდებული.

გაჩაღდა ნამდვილი სახალხო მოძრაობა. სტადიონის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა ყველა თაობა, დანყებული მოსწავლე-ახალგაზრდობიდან, დამთავრებული პენსიორებით. დიდი სამუშაოები შესრულდა უფასოდ. პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა გვიან საღამომდე მუშაობდა.

ამ დროს გამოვიდა კანონი ქუჩაში მთვრალი მოსიარულესათვის 10 დღიანი დაკავების შესახებ. კარლომ ნახევრად ხუმრობით უთხრა მილიციის უფროსს კოტე გობეჩიას, ვისაც სიმთვრალისთვის დააკავებენ ხვალიდან სტადიონზე სამუშაოდ მოიყვანეო. მეორე დღეს მართლაც მოიყვანა 10 კაცი სტადიონზე. კარლომ პირადად ინახუ-

ლა ისინი, გაეხუმრა და ესაუბრა მათ. შემდეგ იქვე მდგომ მეორე მდივანს ჯიმშერ გოცირიძეს უთხრა, არ მოაშინვოთ ეს ბიჭებიო.

მილიციის უფროსი შემდეგ ხუმრობით ამბობდა ხალხი თავისით მოდის და მეხვეწება დამიჭირე და სტადიონზე სამუშაოდ წამიყვანეო.

ერთ დღეს ალიოშა მაჩალაძე მეტად შეწუხებული გამოვიდა კარლოს კაბინეტიდან. რა მოგივიდათქო – შევეკითხე.

– კარლომ სპორტის სასახლის მშენებლობის საკითხის მოგვარება დამავალა თანაც ისე, რომ წელსვე ჩაისვას გეგმაშიო.

მან იცოდა, რომ ამ მიზნით თანხების მიღება შეუძლებელი იყო, რაიმე ძლიერი მოტივების გარეშე. შევეცადთ მის დამშვიდებას, მაგრამ მაინც დაღონებული წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ გახარებული შემოვიდა ქალაქკომში (ამ დროს უკვე ქალაქკომი იყო) თქვა, რომ მგონი მოგვარდეს სპორტსასახლის აგების საკითხიო. შევიდა ბატონ კარლოსთან კაბინეტში.

ალიოშას არქივში მოუძებნია დოკუმენტი, რომლითაც ტყიბულში სამხედრო კომისარიატის ორსართულიანი სახლის ქვედა სართულში ყოფილა სპორტული დარბაზი. ეს ტერიტორია ქვანახშირის მრეწველობამ დაისაჭიროვა, კომისარიატის შენობა აღებული იქნა და მასთან ერთად დაინგრა სპორტდარბაზიც. ამ ფაქტზე დაყრდნობით გაიგზავნა წერილი ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროში, ფაქტს ხელმოწერით ადასტურებდა „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მმართველი და „საქნახშირის“ კომბინატის უფროსი. წერილის ძირითადი მოტივი იყო ის, რომ სპორტდარბაზის ტერიტორია დაისაჭიროვა ქვანახშირის მრეწველობამ, შენობა აიღეს და ქ. ტყიბული სპორტდარბაზის გარეშე დარჩა.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროში წარდგენილი არგუმენტი საფუძვლიანად მიიჩნიეს და „საქნახშირის“ კომბინატს ნება

დართეს, შეეტანა სატიტულე სიაში სპორტსასახლის მშენებლობა. საჭირო გახდა პროექტის სასწრაფოდ გაკეთება, რაშიაც დიდი დახმარება გაუწია ქალაქს საპროექტო ინსტიტუტის მაშინდელმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მიხეილ ქებულაძემ.

ასევე ხალხის მხარდაჭერით ხორციელდებოდა კარლოს ინიციატივით წამოწყებული სხვა ობიექტების მშენებლობაც. საცურაო აუზი, ცხრაჯვარის გზა, კინოთეატრი, სასოფლო კულტურის სახლები, სკოლები და სხვა. მაგრამ მის საქმიანობაში მთავარი ობიექტთა მშენებლობა როდი იყო, ის ძირითად ყურადღებას უთმობდა ამ ობიექტების გამოყენებებს, მათ მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის საქმეს.

ლამაზი კულტურის სასახლე თვითმიზანი არ იყო, მთავარი იყო რომ აქ ყოფილიყო მაღალი დონის სახალხო თეატრი სხვადასხვა წრეები და კულტურული კოლექტივები. დიდი შრომის შედეგად აღწევდა კიდევ ამას. ტყიბულელებს ახსოვთ თუ რა შესანიშნავი სპექტაკლები იდგმებოდა ტყიბულის კულტურის სასახლეში: „სიდი“, „ხევისბერი გოჩა“, „შოთა რუსთაველი“ და ბევრი სხვა. თბილისიდან ჩამოსული სპეციალისტების აღიარებით იგი მოწინავე თეატრების დონეზე იყო შესრულებული.

დიდ ყურადღებას აქცევდა კარლო კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე ხალხის მასობრივად დასწრების საკითხებს, აქტივის ყველა წევრისათვის, ყველა ხელმძღვანელისათვის სავალდებულო იყო კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაზე დასწრება.

მახსოვს ასეთი შემთხვევა, კულტურის სასახლეში მიდიოდა პრემიერა (კარგად არ მახსოვს „ხევისბერი გოჩა“ თუ „შოთა რუსთაველი“) დარბაზი გაჭედილი იყო. კარლომ მოათვალიერა დარბაზი და ერთ-ერთი შახტის უფროსი დარბაზში ვერ შენიშნა. დამიძახა და მითხრა ხვალ შახტის უფროსი დილის 9 საათზე ჩემთან იყოსო. გა-

მოცხადდა შახტის უფროსი – დიდად პატივსაცემი პიროვნება. იგი სასტიკად გაკიცხა კარლომ. ეს ამბავი მალე მთელ ქალაქს მოედო. ამის შემდეგ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე თითქმის არცერთი ხელმძღვანელი არ აკლდებოდა.

ტყიბულელებს ახსოვთ, თუ რა გრანდიოზული სანახაობა იყო ტყიბულის ახალი სტადიონის გახსნა. სტადიონის გახსნის ცერემონიალისა და სანახაობითი მხარის რეჟისურისათვის წინასწარ მოინვია კოტე მახარაძე – სანახაობა მართლაც დიდებული გამოვიდა. სტადიონზე 16000 კაცზე მეტმა მოიყარა თავი. ჩამოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ამბროლაურიდან, ონიდან, თერჯოლიდან, ზესტაფონიდან, ოზურგეთიდან, ლანჩხუთიდან და სხვა.

16 ათასი კაცის ტაშის გრიალში გახსნა სტადიონი კარლომ. სტადიონის გახსნას ესწრებოდნენ ბევრი გამოჩენილი პიროვნება, მათ შორის აკაკი ვასაძე, ემანუილ აფხაიძე, თენგიზ ჩანტლაძე, იპოლიტე ხვიჩია და მრავალი სხვა.

ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა შოთა რუსთაველის დღეები. გაზეთ „ტყიბულში“ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა, ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის კიდევ უფრო გაღრმავებას (ამ დროს გაზეთ „ტყიბულს“ 12 ათასამდე ხელმომწერი ჰყავდა).

გამოცხადდა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელთა კონკურსი. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელთა საღამოები რამდენჯერმე მოეწყო კულტურის სასახლეში. ამ გენერალურ ქმნილებას ზეპირად სწავლობდნენ მოსწავლეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუშები, კოლმეურნეები. საღამოს დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

ტყიბულელთა გაცემას იწვევდა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მოქმელის პედაგოგ ანრო ცირეკიძის ფენომენალური მუხსიერება. მას შეეძლო, დარბაზში მყოფი ნებისმიერი ადამიანის მიერ შეთავაზებული სტრიქონის შემდეგ გაეგრძელებინა „ვეფხისტყაოსანის“ თხრობა.

ჩაის ფაბრიკის მუშამ დომენტი ცქიფურიშვილმა შესანიშნავი კალიგრაფიით გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც რუსთაველის რესპუბლიკურმა საიუბილეო კომისიამ დიდი კმაყოფილებით ჩაიბარა.

კარლოს გადაწყვეტილი ჰქონდა შეექმნა ქ. ტყიბულში მტკიცე სანარმო, კულტურული და სპორტული ტრადიციები, ამ მიზნის მისაღწევად ის უკან არ იხევდა, ზოგჯერ არაპოპულარული და იძულებითი ღონისძიების გატარებისაგანაც კი.

შედეგებიც ხელშესახები იყო. სანარმოთა უმეტესობა რითმულად მუშაობდა, კოლმეურნეობები ეკონომიკურად მომძლავრდნენ. კულტურულ ღონისძიებებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა, სახალხოთეატრის სპექტაკლებზე დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო. კინოთეატრს მაცურებელი არ აკლდა, სტადიოზე მატჩებს ყოველთვის 6-7 ათასი კაცი ესწრებოდა. ბავშვებისათვის შემოღებული იყო მატჩებზე უფასო დასწრება და სხვა.

შეიძლება ითქვას რომ ბატონი კარლო დაულალავი შრომით მის მიერვე შექმნილ მხარდამჭერთა დიდი გუნდის საქმიანობით ქ. ტყიბული გადაიქცა რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს, მაღალი კულტურისა და სპორტის ქალაქად, სადაც სანიმუშო დისციპლინა იყო დამყარებული.

ვერავინ მოწყვეტდა პირველ ხანში შიშის გამო, ხოლო შემდეგ უკვე ტრადიციის გამო ყვავილს გაზონებსა და ბალებში, არავინ აგდებდა ქუჩაში პაპიროსის ნამწვავსა და ქალაღდებს.

საჭიროდ მიმაჩნია ბატონ კარლოსთან ერთად მოვიხსენიოთ მის გვერდით მომუშავე ზოგიერთი მუშაკები, რომლებიც ყოველმხრივ მხარში ედგნენ კარლოს.

აპარატის მუშაკები – ტატიანა ბრეგაძე, მარიამ ბუბაშვილი, მერცია ზარნაძე, აკაკი ბრეგაძე, სიმონ მერკვილაძე, ილია ბარბაქაძე, ვახტანგ რაზმაძე, ჭიჭიკო კუბლაშვილი, გიორგი ბუაძე, მიხეილ გვენეტაძე, ნიკო ნინიძე, ტიხონ ჭიქაბერიძე, ასტიონ ქასრაშვილი, გრიგოლ გაბადაძე, ახალგაზრდობის ლიდერი და შემდეგ პარტიული მუშაკები ბუხუტი ორჯონიკიძე და იური გოგია.

ცნობილი სამთოელები – ნიკოლოზ კვინიხიძე, დავით დობორჯგინიძე, დავით ნიკოლეიშვილი, ბორის ჯალაღანია, აკაკი ბასილაძე, გიორგი რაზმაძე, გიორგი ფანჩულიძე, შოთა ჩიკვაიძე, ლევან ობოლაძე, დავით ცირეკიძე, ივანე ორჯონიკიძე, შოთა შოთაძე, ლევან ვაშაკიძე, თენგიზ ღვინეფაძე, იური ვალობუევი და სხვები. შახტების პარტბიუროს მდივანი – ტუშა გაბრიჭიძე, ნოე კბილაძე, დადაში ხეცურიანი, გენადი ნიშნიანიძე, იური ბუაძე, მშენებელი – არჩილ მამფორია, თემურ გორგაძე, ილია ლომია, ჯონდო გოცირიძე, ვლადიმერ იაშვილი, ლექსო გვენეტაძე, ელგუჯა ქასრაშვილი, თამაზ ჭირაქაძე, ვალოდია ჭიჭინაძე, დავით ბოჭორიშვილი, სამსონ ქარქაშაძე, დავით შინდაგორიძე, აკაკი ხაბეიშვილი, შოთა მალაღურიძე და სხვები. განათლების, კულტურის, მედიცინის სოფლის თავკაცები და ზოგიერთ სხვა დარგებში მომუშავე პირები: გრიგოლ ნარსია, ერმისი ბუბაშვილი, პავლე (ჭიჭიკო) კუბლაშვილი, ამბროსი ბოჭორიშვილი, აკაკი ხეთარელი, დავით მარუაშვილი, დავით მორ-

ჩაძე, ქაქუცა კვინიხიძე, ვახტანგ მახარაძე, დავით ქათამაძე, ჭიჭიკო ელიაშვილი, ვანო სოფრომაძე, გოგი კუბლაშვილი და სხვები.

სხვადასხვა დროს მოწვეული იყვნენ ფეხბურთის მწვრთნელე-ბად ცნობილი ავტორიტეტული პირები: ანდრო ჟორდანიძე, ვიქტორ სალნიკოვი, გოგი ანთაძე ანატოლი ნორაკიძე. სპორტის, განსაკუთრებით ფეხბურთის დიდი გულშემმატკივარი და მეცენატი, იყო ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა ავთო ობოლაძე.

ტყიბულის თეატრალურ დასში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი რეჟისორები და მსახიობები – ლევან კახიძე, ნელი ჭანტურია, ამირან ჟვანია, გრიგოლ ლალიძე, ნოე ქათამაძე, სინო კალანდარიშვილი, ციალა ბერიძე, ვიქტორ დეისაძე, თინა რუსელი, ნათელა ლორთქიფანიძე, ციცილო ქარქაშაძე, ელენე ჯანგავაძე, მელენტი გვენეტაძე, ზურაბ ჯორჯაძე, არჩილ ცხადააშვილი, მამია ხატელიშვილი, რამდენიმე სპექტაკლის დადგმაში მონაწილეობდა და მთავარ როლებს ასრულებდა ვალიკო დოლიძე, ახლაც განაგრძობენ აქტიურ თეატრალურ საქმიანობას ელგუჯა, პავლე თოდძე, რეზო ჟორჯოლიანი, არჩილ ახვლედიანი და სხვები.

ქალაქში მუშაობდა ჩვენი ქალაქის მომხატველი – დეკორატორი ნიკო ფუტურიძე და სევერიან შარბაკოვი.

ბატონი კარლო ახალგაზრდობის დიდი მეგობარი იყო. ძალიან უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი, ამიტომაც იყო რომ კომკავშირული ორგანიზაციები პიონერთა სასახლე და სხვა ახალგაზრდული დაწესებულებები მისი მუდმივი ზრუნვის ობიექტი იყო. ვფიქრობ ამ საკითხებზე ალბათ უფრო ვრცლად ახალგაზრდობის მამინდელი ლიდერები ბუხუტი ორჯონიკიძე და ნოდარ ვახტანგაძე ისაუბრებენ.

ბევრია მოსაგონებელი, ყველაფერს ერთ წერილში ვერ ჩაატყვე, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, სახელდობრ ტყიბულში ტელეგადაცემის საკითხი. ტყიბულმა თბილისისა და ქუთაისის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ტელეგადაცემები. ამ საკითხის წამომწყები იყო ტყიბულში კარგად ცნობილი ინჟინერი სიკო ბობოხიძე, როცა მან თავისი იდეა გააცნო კარლოს და ისიც აქტიურად ჩააბა საქმეში.

ბატონი სიკო და ხშირად მასთან ერთად კარლოც სპეციალური – საკმაოდ მძიმე აპარატურით დადიოდნენ ცხრაჯერის მიდამოებში და ეძებდნენ ყველაზე ხელსაყრელ ადგილს ტელეგადაცემის მიღებისათვის. ამ მიდამოებში აიგო პირველი ტელეანძა, რომელიც შემდეგ გადატანილი იქნა იქ სადაც დღეს არის. მახსოვს როგორი ბავშვური სიხარულით იყო აღტაცებული კარლო როცა პირველი ფერადი გამოსახულება იქნა მიღებული.

ჩემი მონათხრობით მე სულაც არ ვცდილობ წარსულის იდეალიზაციას, არც იმის თქმა მინდა რომ კარლო ლომაძე უნაკლო და შეუცდომელი პიროვნება იყო, ასეთი ადამიანები არ არსებობენ, უნაკლო და შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია.

კარლო დიდი კაცი იყო. მისი საქმიანობის დადებითი შედეგები იმდენად დიდი იყო, ნაკლოვანებებზე ლაპარაკიც კი არ ღირს.

მთავარი მის თვისებებში მაინც ის იყო, რომ რასაც აკეთებდა სიყვარულით აკეთებდა, აღაფრთოვანებდა წარმატება, აფასებდა და სიყვარულს არ აკლებდა იმ ადამიანებს ვინც მხარში ედგა. არ ლანძღავდა წინაპრებს, იტყოდა ხოლმე, „მაშინ ვერ გაკეთდა? – ახლა უნდა გავაკეთოთ“, ამას იქით წარსულის მიმართ მისი კრიტიკა არ მიდიოდა. სიყვარულით ნაკეთებმა საქმემ მოუპოვა მას ავტორიტეტიც და სიყვარულიც ხალხში.

სიყვარულით ნაკეთები საქმე ღვთაებრივია და უკვდავი, სიძულვილით ნაკეთები – ეშმაკეული და დამანგრეველი.

სწორედ სიძულვილით ნაკეთებმა საქმემ გამოიწვია ის ტოტალური სულიერი და მატერიალური ნგრევა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს სამშობლოში.

კარლო ლომაძის ხსოვნის აღნიშვნა ხალხის წიაღიდანაა წამოსული და მისი განხორციელებისათვის ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან აქტიური მხარდაჭერა ტყიბულელებს სიყვარულის გამარჯვებად მიაჩნია.

ყველას იმედი აქვს, რომ სიყვარულით საქმის კეთება კვლავ გაბატონდება ჩვენს ქალაქში. ეჭვი არავის უნდა შეეპაროს მასში, რომ თუ ყველა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს გამოიყენებს სიყვარულით საქმის კეთებით ხსოვნის დღის აღნიშვნა ერთად შესძლებს დღეს არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას.

ქვემარტივი ერისკაცი და მოძღვარი

კარლო ლომადის ფასდაუდებელი ამაგის გახსენება და მისი ხსოვნის დღის აღნიშვნა ერთი ღვანლმოსილი ადამიანის პატივგებად კი არა, იგი მიგვაჩნია ნაშრომ-ნაამაგარის დაფასებისა და დაკარგული რწმენის აღდგენა-გამოცოცხლების სიმბოლოად.

ეს ღონისძიება გაცილებით უფრო ტევადია და ქალაქის ყველა ქვემარტივ გულშემატკივარს გვავალებს ქალაქის განახლებულ ხელმძღვანელობას დიდ მადლიერებასთან ერთად საქმით დავუდგეთ გვერდში. ათწლოებით ნაშენებ-ნალოლიავები ქალაქის ნგრევის შესაჩერებლად და სახელოვანი ტრადიციების აღსადგენად.

ბატონი კარლო გახლდათ შეუდარებელი მოძღვარი, ამ სიტყვის ყველაზე სრული და მაქსიმალური გაგებით, ეს იყო ქვემარტივი აღმზრდელი, მასწავლებელი, დამრიგებელი და მეგზური.

მე ქედს ვიხრი ჩემი ძვირფასი აღმზრდელ-მასწავლებლის წინაშე და მათდამი ჩემი უსაზღვრო პატივისცემის მიუხედავად მაინც უნდა ვაღიარო, რომ იმ ორ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც მე დავამთავრე, ბატონი კარლოს მსგავსი აღმზრდელი, მასწავლებელი და, გნებავთ, მეცნიერი, არ შემხვედრია.

მას ღმერთისგან უხვად ჰქონდა მომადლებული ადამიანებთან უმაღლესი ურთიერთობის დამყარების უიშვიათესი ნიჭი და ხელოვნება.

ამ განსაკუთრებული უნარით შეძლო მან შეეკრიბა და შეედუღა ბებინა ქალაქის მთელი მოსახლეობა ერთიან მონოლითურ კოლექტივად და ქალაქს იგი მიაჩნდა ღირსეულ წინამძღოლად. რო-

მელსაც მთლიანად ენდობოდნენ და მიჰყვებოდნენ ქალაქის მშენებლობის საქმეში.

სწორედ, ამ ნდობითა და რწმენით აშენდა ქალაქი ტყიბული და გალამაზდა საკურორტო ქალაქის დონემდე.

მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს იმით, რომ ბედმა მარგუნა ტყიბულის აღმშენებლობის ყველაზე საუკეთესო წლებში ვმდგარიყავი ბატონი კარლოს გვერდით, ვყოფილიყავი მისი სასურველი მოსწავლე და საშვილიშვილო საქმეების გაკეთების არა მარტო მოწმე, არამედ პატარა მონაწილეც.

ყველაზე ნიშანდობლივი და სხვებისგან განმასხვავებელი ნიშან-თვისება კარლო ლომაძის პიროვნებაში ის იყო, რომ იგი გახლდათ ჭეშმარიტი ერისკაცი და გულმხურვალე მამულიშვილი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება უმშურველად მიუძღვნა სამშობლოს და მის ანთებულ ლამპარად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

როგორც ამ კატეგორიის დიდ ბუნების ადამიანებს სჩვევიათ, მისთვის არ არსებობდა პირადი კეთილდღეობა და ცხოვრებისეული კომფორტი. მას სიცოცხლის კრედოდ მიაჩნდა საქართველოს სამომავლო და საშვილიშვილო საქმის კეთება. რადგან ეს აზრი მისი ცხოვრების დევიზი იყო, ამიტომ ძალიან ხშირად იმეორებდა ხოლმე: ყველამ ვიფიქროთ მასზე, თუ რას დავუტოვებთ მომავალ თაობას.

თვითონ კი, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველას მაგიერ ფიქრობდა და უდიდესი ხელოვნებით ხორცს ასხამდა ჩანაფიქრს.

დიახ, მომავალ თაობაზე ფიქრით და ზრუნვით აშენდა უნიკალური სტადიონი, საცურაო აუზი, სპორტის სასახლე, ქობულეთის პიონერთა ბანაკი, კინოთეატრი „შაორი“, კურორტი „ცხრა ჯვარი“, საბაგირო გზა, ქალაქის ცენტრის სკვერი და სხვა მრავალი, რომელ-

თა ჩანაფიქრებსა და განხორციელებას საკუთარი ინდივიდუალური ისტორია აქვს ისე, როგორც ყველა ადამიანს საკუთარი ბიოგრაფია.

ზოგიერთი მათგანის გახსენების გარეშე შეუძლებელია აღვიქვათ ბატონი კარლოს პიროვნება თუ როგორ ჩნდებოდა იდეა და როგორ ასხამდა მას ხორცს.

გავიხსენოთ, როგორ გადანყდა საბაგირო გზის მშენებლობა.

ქალაქის თავკაცის კარლოს ინიციატივით ტყიბულში ჩატარდა საქართველოს სამთოელთა შეკრება მონვეულ იყვნენ ტყვარჩელის, ახალციხის, ჭიათურის, კვაისისა და გუმბორინის სამთოელები. შეკრებაში მონაწილეობდა სამთო საქმისა და „საქეპროშახტის“ ინსტიტუტების ხელმძღვანელი.

კულტურის სასახლეში ჩატარებული პლენარული სხდომის შემდეგ ცალკეული ქალაქების დელეგაციებს მასპინძლობდა ცალკეული შახტების ხელმძღვანელები.

რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელებისათვის სადილი გაკეთებული იყო ცხრაჯვარზე. სადილის დაწყებამდე ბატონმა კარლომ სტუმრებს დაათვალიერებინა დასასვენებელი სახლი და ცხრაჯვარის სამლოცველო.

სტუმრები აღფრთოვანებული იყვნენ დასავლეთ საქართველოს უმშვენიერესი პანორამით, რომელიც ცხრაჯვარიდან ხელისგულივით მოსჩანდა. სტუმართა აღფრთოვანებას კარლომ ჩაურთო: ამ მშვენიერებას ფასი მაშინ ექნებოდა, ქალაქის მოსახლეობას აქ ამოსვლის საშუალება, რომ ჰქონდესო. ასეთ რელიეფს მხოლოდ საბაგირო გზა მოერგებაო. „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტის მმართველმა ლევან გოშხელთიანმა მიუგო: მერედა, ჭიათურელებს საბაგირო გზების მშენებლობის დიდი გამოცდილება გვაქვს, საჭირო მონყობილობებს და მონტაჟს ჭიათურა იკისრებსო. „გაპროშახტის“

მთავარმა ინჟინერმა მიხეილ ქებულაძემ დასძინა: დაპროექტება და ტექნიკური დოკუმენტაცია ჩვენზე იყოსო. აბა მშენებლობის თანხას ჩვენ გამოვძებნითო, დაასრულა კომბინატ „საქნახშირის“ უფროსმა დირექტორმა ჩიკვაიძემ და იქვე დავალება მისცა „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მმართველს ლევან რატიანს მშენებლობის პროექტირებისა და თანხის გამოყოფისათვის საბუთები წარედგინა კომბინატში.

კარლომ სტუმრები მიიწვია მოხერხებული ადგილზე გაშლილ სუფრასთან ჭიქა აიღო და ყველამ ერთხმად შესვა საბაგირო გზის მშენებლობის დანყების სადღეგრძელო, ქალაქის თავკაცმა კი გააგრძელა: ამ სილამაზის დათვალიერების გარეშე კაბინეტში ამ რთულ საკითხს ასე ადვილად არავინ გადაწყვიტავდა. მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ჩანაფიქრის მხარდაჭერისათვის.

საშვილიშვილო საქმეთა კეტება კარლოს სტიქია იყო, ამიტომ ტყიბულის გარდა მან წარუშლელი კვალი დატოვა ქედის, ქობულეთისა და ბოლნისის რაიონში, სადაც პირველ მდივანად მუშაობდა.

მისი ყოფილი საასპარეზო რაიონები, თუ როგორ პატივს მიაგებდნენ ბატონ კარლოს ერთი მაგალითიც საკმარისია.

1963 წელს ახალგაზსნილ ქობულეთის პიონერთა ბანაკს გაურთულდა პროდუქტებით მომარაგების საქმე. დამავალა პრობლემები ადგილზე გადამენწყვიტა, საჭიროების შემთხვევაში პარტრაიკომის პირველ მდივანთან მივსულიყავი. ქობულეთში პირველ რიგში ჩემს კოლეგას კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანს მივაკითხე. მისმა ჩარევამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. იძულებული გავხდი შემეწუხებინა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი. როგორც კი შეიტყო კარლოს დავალებით ვიყავი, რუბენ სიორიძემ მეორე მდივანს დავავალა ტყიბულის ბანაკში მოეყვანა კურორტვაჭრობის, მაცივრისა და პურკომბინატის დირექტორები იმნუთშივე თვითონვე ისურვა

დაეთვალისწინა ჩვენი ბანკი. სანამ დათვალისწინებდა დაამთავრებდა, სამთავრო დირექტორი მეორე მდივანთან ერთად ბანკში მოვიდა. საუბარი იყო ძალიან მოკლე:

– კარლო ლომაძემ ააშენა ქობულეთი, ყველა ქობულეთელი ვალშია ლომაძის წინაშე, ლომაძის წარმომადგენლობას ქობულეთში წარმოადგენს ტყიბულის ბანაკი. პირველ რიგში დააკმაყოფილებთ ტყიბულის ბანაკს, შემდეგ კი მოემსახურებით სხვა კლიენტებს. ითქვა და შესრულდა კიდევ საოცარი სიზუსტით. ბანაკი იდეალურად გაიმართა წელში.

კარლო იყო ახალგაზრდობის დიდი მეგობარი. იგი ენდობოდა და ზრდიდა ახალგაზრდა თაობას. იგი იყო უმკაცრესი მომთხოვნი, მაგრამ უაღრესად ჰუმანური და კეთილშობილი. ახალგაზრდებს ცდიდა პრაქტიკულ საქმეებში, თვითონ პირადად და უფროსი თაობის მეშვეობით ეხმარებოდა პრაქტიკულ საქმეთა გადანყვეტაში. მრავალჯერ გამოცდის შემდეგ ახალგაზრდებს გაბედულად აძლევდა ასპარეზს, ასე აღზარდა თანამოაზრეთა მთელი თაობა და შეადუღაბა ძველ პლეადას, ამიტომაც არის, რომ ყველა თაობა უდიდეს პატივს მიაგებს პატივცემულ კარლოს და სრულიად კანონზომიერი ია, რომ კარლო ლომაძე იქცა ჭეშმარიტი ერისკაცისა და მოძღვრის სიმბოლოდ.

ბატონი კარლოს ღვაწლის გახსენება და ფართო საზოგადოების მიერ მისი ხსოვნის აღნიშვნა თვით საზოგადოების ზნეობრივი ამაღლებისა და ქალაქის აღორძინების გარანტიაზე მეტყველებს. ამიტომაც ამ ღირსსახსოვარ დღეებში ყველამ, უკლებლივ საკუთარ თავს მოთხოვოს პასუხი: რას გავაკეთებთ თითოეული ჩვენგანი ტყიბულის აღორძინებისათვის.

მუღამ სიკეთეზე ფიქრობდა

1984 წლის ზაფხულში სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით ვიყავი დამზადების სამინისტროში.

დერეფანში ვიცდი, ვხედავ ჩვეული მანერით მოდის ტყიბულის ამშენებელი კარლო ლომაძე. იგი სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებაში მუშაობდა. ღიმილი მომერია. მივესალმე, მინდოდა ჩემი გვარი და სახელი შემეხსენებინა. მისი ტყიბულში მუშაობის პერიოდში ახალგაზრდა სპეციალისტი ვიყავი და წყალსადენში ვმუშაობდი უბნის უფროსად.

– ამხანაგო სტურუა. წყალსადენის უფროსი გოგი რიჟამაძე როგორ არის? დასკვნა ერთი გავაკეთე – ამ ფენომენალური მეხსიერების ადამიანს არათუ ჩემი გვარი ახსოვდა, არამედ სადაც ვმუშაობდი ისიც შემახსენა.

კაბინეტში მიმიწვია. მართალი გითხრათ გული მეტკინა. პატარა ვინრო კაბინეტში, სადაც რვა თანამშრომელი მუშაობდა ამ დიდებულ ადამიანს, მხოლოდ ერთი სკამი ედგა.

დანვრილებით გამოიკითხა ქალაქის ამბები. არსებული ვითარება, მუშაობა, სტადიონისა და სხვა ნაგებობების ბედი. მოიკითხა მისი პერიოდის ხელმძღვანელი მუშაკები.

ბოლოს მომმართა: მიდი იქ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან გრიგოლ ცნობილექესთან და გადაეცი, რომ კარლო ლომაძე შემოგვხვენა, მდინარე „ტყიბულის“ გაღმით ტყიბულქვანახშირის შენობის მიმდებარე მხრიდან სანაპიროს გაუკეთოს გრანიტის მოაჯირი,

მდინარის მარჯვენა სანაპირო ხომ უშუალოდ კარლოს თავკაცობით მოეწყო.

მალე გრიგოლ ცნობილადეს სამუშაო შეუცვალეს და პატივცემული კარლოს დანაბარებიც შეუსრულებელი დარჩა. დღეს კი მდინარის ორივე სანაპირო განუკითხავ დღეშია.

საბედნიეროდ იშვიათად, მაგრამ მაინც არიან კარლოს მსგავსი დიდებული, საქმეზე შეყვარებული ადამიანები.

რას ღაპარქვით შენი სახელი

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოკრიბლებს მუდამ საფიცრად ეყოლებათ დიდი სულისა და გულის, ენერჯის მქონე ადამიანი კარლო ლომაძე, რომელმაც 14 წელი შეაღია ტყიბულს. ოკრიბის აშენება-აყვავებას. ამ კაცს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „კარლო – ტყიბულმშენებელი“. მართლაც და ტყიბული თავისი იერსახეთა შეკავშირებით, შრომის რიტმით ხომ გამორჩეული იყო მთელს რესპუბლიკაში?!

მართლაც, რაც კარგი და გამორჩეულია, ამ დიდებული კაცის თავკაცობით აშენდა? ოცდაშვიდი წელი გავიდა მისი ტყიბულიდან წასვლის შემდეგ. მაგრამ აბა რა ღირსშესანიშნავი ობიექტი აშენდა? არაფერი, მეტიც, რაც ააშენა და დაგვიტოვა ვაიხელმძღვანელთა უყურადღებობით და გულგრილობით, დაინგრა ან გაიძარცვა.

მქონდა ბედნიერება მისი თავკაცობის პერიოდში მემუშავა ქალაქის კულტურის სახლის ადმინისტრატორად და დირექტორის მოადგილედ. ხელოვნების ყველა სფერო და წვრილმანიც კი აინტერესებდა. მას აინტერესებდა კარგი ხელოვანი, კარგი სპორტსმენი, თავისი მოვალეობის შემსრულებელი კარგი ადამიანი. მართლაც მის პერიოდში ჩვენი თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლები არ ჩამოუვარდებოდა სახელმწიფო თეატრების სპექტაკლებს. იგი თეატრს ყოველნაირად გვერდში ედგა. ისიც არ დავივიწყოთ, რომ სამივე შახტის და რამდენიმე სოფლის კლუბში საკმაოდ მაღალი დონის სპექტაკლები იდგმებოდა.

კარლოს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა რესპუბლიკაში კოლეგებთან და ხელმძღვანელ მუშაკებთან.

მახსოვს ერთ-ერთი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თეატრს მაყურებლისათვის უნდა ეჩვენებინა მასიური სცენები სპექტაკლებიდან „ციმბირელი პაპა“ და „ნმინდანები ჯოჯოხეთში“. სცენისათვის საჭირო იყო მასიური სამხედრო ტანსაცმელი და სათანადო მოწყობილობები.

კარლომ გამოიძახა და დამავალა წავსულიყავი ბათუმში და მენახა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თხილაიშვილი. თან წერილი გამატანა. ვითხოვდი 80 კომპლექტ სამხედრო ტანსაცმელს. ოლქის თავკაცი გულთბილად შემხვდა. წერილის წაკითხვისას სიცილი ვერ შეიკავა – ეს რა ტყიბულში დაიწყო ფირალობა. თუ სამხედრო შენაერთს ქმნისო. გამოუძახეს სათანადო სამხედრო მომარაგების ხელმძღვანელს. მათ აღმოაჩნდათ მეზღვაურთა და მესაზღვრეთა ტანსაცმელი, რაც ჩვენ არ გვანებდა. ვითარება მოვახსენე ტელეფონით ტყიბულში კარლოს. მან მომმართა სასწრაფოდ ჩაჯექი მატარებელში, ჩადი თბილისში და ეგ წერილი გადაეცი ვაჭრობის მინისტრს თოხაძეს, რომელსაც მე დავეღაპარაკებო.

მეორე დილით შევედი ვაჭრობის მინისტრთან. წაიკითხა წერილი. ხუმრობით ჩაილაპარაკა მე მეგონა 4-5 კომპლექტი უნდოდა, 80 კომპლექტი რა ამბავია, ნუთუ ამდენი კაცი ჰყავს დაცვაშიო. მინისტრმა გამოუძახა პოლკოვნიკ ჩარკვიანს და დაავალა გამოეყო სამხედრო ფორმა და დაენერა ქვანახშირის პროფკავშირისათვის. მეორე დღეს სამხედრო ტანსაცმელი ტყიბულის თეატრში იყო.

ქალაქის დიდებული თავკაცი განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა სამამულო ომის ვეტერანებს. ვალმოხდილ ადამიანებს.

სამამულო ომისა და ხელოვნების დარგის ვეტერანთა სახელით გამოეხატა დიდ სიხარულს ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა თავკაცის საუკეთესო ინიციატივის გამო. სათანადო პატივი მივაგვით ჩვენი ქალაქის ამაგდარ და ამშენებელ კარლო ლომაცხეს. მჯერა, ჩვენს ქალაქსაც მალე დაეტყობა აღმავლობა და ცხოვრების ნაღმა შემობრუნება.

სოფლის დიდი მოაგაგე

ჩვენს უძველეს წინაპრებს უთქვამთ: თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო. ეს ჭეშმარიტება ცხოვრებამ მრავალგზით დაადასტურა. ოთხი ათეული წელია სოფლად ვმუშაობ ხელმძღვანელ თანამდებობაზე და კარგად მახსოვს ოკრიბის მათ შორის მუხურის, სოფლების სილატაკე და ცხოვრების დაბალი დონე, სოფლის მეურნეობის, აღმავლობა, სოფლის კეთილდღეობა, იქ დაწყებული მშენებლობა თუ ფართოდ გაშლილი 60-იანი წლების ბოლოდან და კარგა ხანს გრძელდებოდა, ამაში ძალზე დიდია კარლო ლომაძის ინიციატივისა და ორგანიზატორული თავკაცობის წვლილი.

კადრები წყვეტენ ყველაფერსო! დიდი ჭეშმარიტი ნათქვამია. კადრების სისუსტემ და ორგულობამ ბოლო მოუღო სოციალურ წყობას. ფაქტი უტყუარია კომუნისტების დროს თუ დღევანდელ რთულ პირობებში, რეგიონს, წარმოებას თუ უნარიანი ხელმძღვანელი ჰყავს, ის რეგიონი მაშინაც წინ იყო და დღესაც გამორჩეულია.

კარლო ტყიბულის რაიონის პარტიული ორგანიზაციის თავკაცად 1957 წლის დასაწყისში მოვიდა. პირადად მე, 26 წლის ახალგაზრდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვიყავი. მახსოვს იგი როგორ მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებდა კომუნისტებს ყველა სამუშაო უბანზე, თვითონ ედგა სათავეში ქალაქის კეთილმოწყობას, სამეურნეო აღმავლობას, კულტურის და განათლების წინასვლას. ასევე მოითხოვდა სოფლების ხელმძღვანელობიდან.

მართალია იყო მკაცრი მომთხოვნი, მაგრამ ამასთანავე იყო დემოკრატი და გულთბილი ხელმძღვანელი. რიგით მუშაკს დიდად უფასდება გაკეთებულ საქმეს, ინიციატივას ყურადღების ცენტრში აყენებდა კადრების შერჩევას, მათთან მუშაობას, გულისხმიერად ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრებს.

1958 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს. პირველსავე წელს კოლმეურნეობამ სათანადო წარმატება მოიპოვა. როცა პლენუმზე მუშაობა შეჯამდა, ცალკე აღნიშნა ჩემს შესახებ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაავალა ხელი შეეწყო ყველა ახალგაზრდა თავმჯდომარისათვის. მალე სოფლის სამი კოლმეურნეობა გაერთიანდა. თავმჯდომარეობა მომანდეს. გაერთიანებულმა კოლმეურნეობამ კარგ წარმატებას მიაღწია. გაიზარდა მარცვლეულის, ხილის, ჩაის ფოთლის, ყურძნის წარმოება. აღმავლობით წავიდა მეცხოველეობა. აშენდა ფერმის რამდენიმე შენობა. კოლმეურნეობას 600-ზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი და ასეულობით ღორი ჰყავდა.

სოფლის ეკონომიკურმა აღმავლობამ გამოიწვია მოსახლეობის სოციალური სფეროს წინსვლა. სოფელში აშენდა ორი რვანლიანი სკოლა, რამდენიმე ოთახი მიუშენდა საშუალო სკოლას. აიგო კულტურის სახლი, რამდენიმე მაღაზია, მომსახურეობის ობიექტი, მოხდა სოფლის ელექტროფიკაცია. გაკეთდა ტყიბულ-მუხურის კაპიტალური სამანქანო გზა შიგნით სოფელში 70 კილომეტრი სამანქანო გზა გაკეთდა უბნებს შორის, ისლით და კრამიტით დახურული ხის პატარა სახლები. შეიცვალა ორსართულიანი კაპიტალური შენობები. მათი უმრავლესობა გადაიხურა ალუმინის ან თუნუქის სახურავით.

სოფელში მოეწყო სპორტული მოედანი. კლუბთან არსებული მრავალკაციანი მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლი თავისი მაღალი ხელოვნებით გამოირჩეოდა სოფლებს შორის. სოფლის ცენტრში და ორ უბანში ყოველდღე ტარდებოდა კინოსეანსები.

ძალზე მჭიდრო კავშირურთიერთობა იყო ქალაქსა და სოფელს შორის სოფლის საუკეთესო შვილები შახტებში მუშაობდნენ. მეშახტეები უფასოდ გადაჰყავდათ ავტოტრანსპორტით. თავისუფალ დროს სოფელს ედგნენ გვერდით შრომაში. დიდი ნაყოფის მომცემი იყო სანარმოთა საშეფო თანადგომა კოლმეურნეობებსა და სოფლებზე.

თავის მხრივ არც სოფლელი რჩებოდა ქალაქთან ვალში ჩვენი სოფლის მშრომელები თავიანთი ტექნიკური საშუალებებით მთელი კვირაობით მუშაობდნენ ტყიბულ-ქუთაისის, ცხრაჯვარის სამანქანო გზების, ქალაქის ცენტრალური სტადიონის მშენებლობაზე. ამას მართალია ახლდა თავისი სიძნელებები, მაგრამ გაკეთებული საქმე შემდეგ სიამოვნებას გვგვრიდა ყველას.

პირადად ქალაქის თავკაცის ინიციატივით ყოველწლიურად ეწყობოდა მოწინავე კოლექტივების და ადამიანების ტურისტული მოგზაურობები რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებში. მოძმე რესპუბლიკებში. მოწინავე ადამინთა სურათები ამშვენებდა ქალაქის ცენტრს, თუ საპატიო დაფებს.

დიდმა ადამიანმა კარლო ლომაძემ ძალზე ბევრი გააკეთა ქალაქ ტყიბულისა და მისი სოფლებისათვის. დიდი როლი შეასრულა ჩემი და ჩემი კოლეგების ხელმძღვანელ მუშაკად ჩამოყალიბების საქმეში.

27 წლის წინ წავიდა კარლო ლომაძე ტყიბულიდან, სიცოცხლეში არ გაუწყვეტია კავშირი ტყიბულთან, მაგრამ რა დასანანია, რომ დღემდე არ მოხერხდა მისი ღვანლის სათანადო დაფასება. მთელი

საზოგადოების მადლობა ეკუთვნის ქალაქის მერს ბატონ დავით ცირეკიძეს, სხვა კეთილ ინიციატივებთან ერთად, რომ მისი თავკაცობით ღირსეული ნაბიჯი გადაიდგა კარლო ლომაძის სახელის უკვდავსაყოფად. ყოველივე ეს სტიმულს მისცემს სხვა კეთილშობილურ ადამიანებს მთელი შესაძლებლობა მოახმარონ ქვეყნის კეთილდღეობას.

შთამომავლობა არ გვააბატივს

ტყიბული კიდეც ერთი საინტერესო ლონისძიების მოწმეა, მარტლაც, უთუოდ მისასალმებელია ქალაქ ტყიბულის მერის ბატონ დავით ცირეკიძის იდეა – გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ ღვანლმონილ პიროვნებას კარლო ლომაძეს.

ბატონ კარლო ლომაძეს, რომ ვიხსენებ, ჩემს წარმოდგენაში ცოცხლდება ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის ხელმძღვანელი მუშაკი, გონიერი და ჭეშმარიტი მამულიშვილი. მაგონდება მასთან პირველი შეხვედრა. 1965 წელს, ე.წ. მარცხენა ხელით მჯღაბნელის საჩივარი გამაცნო და თან დასძინა: არ ვიცი, რატომ მიჩივიან. ხომ არ დამინგრევია, ავაშენე. აშენებულს თან ხომ არ წავიღებ გურიაშიო. ამით ჩემი სათქმელიც გამობატა: როცა დიდ საქმეს აკეთებს ხელმძღვანელი, შეიძლება რაღაც დარღვევა, გადაცდომა მოხდეს, მაგრამ თუ ის ანგარებით არ არის ჩადენილი, ხალხის კეთილდღეობისთვისაა გამიზნული, მომავალ თაობებს დარჩება, კრიჭაში არ უნდა ჩაუვდგეთ, მითუმეტეს, თუ ამას დაუნინაურებლობის მიზეზით აკეთებ, ასეთი ქმედება გაუმართლებელია. იგი მარტო ქართველი ერის დაავადება როდია. სამწუხაროდ, ეს არის მახინჯი ადამიანის ბუნება და თვისება.

ბატონ კარლოსთან მე არ მქონია ახლო მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ როგორც დიდ პიროვნებას, ყოველთვის ვაფასებდი. მაოცებდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, ხელოვნებისა და სპორტი-

სადმი უსაზღვრო სიყვარული. ბილიარდსაც ხომ შესანიშნავად თამაშობდა: ერთხელ ცნობილ ფეხბურთელსა და მწვრთნელს გოგი ანთაძეს და მე ბილიარდი ცალი ხელით გვეთამაშა.

ბატონ კარლოს სახელსა და ავტორიტეტს ყველა უფრთხილდებოდა. როდესაც ტყიბულში მოხდა დანაშაული (შაქრის დიდი ოდენობით დატაცება), საგამომძიებლო ჯგუფს მე ვხელმძღვანელობდი. გამოძიების შედეგები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგანიც კი გახდა, მაგრამ ბატონ კარლოს სახელი არ შეგვიბღალავს, პირიქით – დავიცავით. ჩემს ოკრიბაში გურიამ ნამდვილი აღმშენებელი მოავლინა. ნეტა ასეთი აღმაშენებელი საქართველოს ყველა მხარეში გვყავდეს.

აქედან მორალი, თუ ჩვენ ასეთ ჭეშმარიტ მოღვაწეებს, მათ დამსახურებებს დავვიწყებთ, შთამომავლობა სამაგიეროს გადაგვიბდის.

ნარსულის რწმენა

თქვენს ხელთაა გაზეთ „ოკრიბის“ სპეციალური ნომერი. იგი დღევანდელ საქალაქო ღონისძიებას, უფრო კონკრეტულად – ბატონ კარლო ლომაძის ხსოვნის დღეს ეძღვნება. მსჯავრი ფართო მკითხველისთვის მიგვინდვია. რედაქციის „უჯარო გენარალი“ შეეცადა ამ სამახსოვრო გაზეთში წარმოედგინა ბატონ კარლოს პიროვნული თავისებურებანი, სახასიათო ნიშნები, მისი განუმეორებელი ხიბლი, დამსახურება ოკრიბის მხარის წინაშე (სიცოცხლეში ამის უფლებას მოკლებული იყო). მის თაყვანისმცემელთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ სისრულის პრეტენზია ამ მოგონებებს (მადლობა ავტორებს) ვერ ექნება. ყველას ვერ მივწვდით, ზოგმა დროულად ვერ მოგვანოდა დაწერილი მოგონება, ვინ თავი არ შეინუხა, ვინ კიდევ შეგნებულად არ შევანუხეთ... ყველა მსურველის მოგონებას ვერც ჩაიტევდა რვაგვერდიანი გაზეთი.

ადამიანის ნაშრომ-ნაღვანი ჭეშმარიტად ფასეულია და ღირებული, არავითარ შემთხვევაში არ დაიკარგება. სანთელ-საკმეველი ბოლოს მაინც თავის გზას იპოვის. ამიტომ არის, რომ ერი განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მოწინებით აღნიშნავს თავისი გამორჩეული შვილების შრომას, მოღვაწეობას, პატივსა და სახელს მიაგებს იმას, რასაც სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეო გარჯა ჰქვია. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას დღევანდელი ხსოვნის საღამოც წარმოადგენს. მისი ინიციატორისა და სულისჩამდგმელის გვარს აქ აღარ დავასახელებთ (პირფერობაში რომ არ ჩაგვითვა-

ლონ), რადგან თითქმის ყველა წერილში დომინირებს და ყველას პირზე აკერია ტყიბულში თუ თბილისში.

უკეთესი დროის მოლოდინში იმის იმედით ნუ დავშთებით, რომ ყველა ღირსეული მამულიშვილის ღვანლი თავისით გამობრწყინდება და სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც ყოველთვის გაიგნებს. იქნებ ღირდეს დაფიქრება მეტი პატივისცემით და პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ სახელოვან თანამემამულეთა ღვანლის და სახელის საქვეყნოდ წარმოჩინებას. თვიანთი გზა და მოღვაწეობით ისინი ხომ მომავალი თაობების მისაბაძ მაგალითად უნდა დარჩნენ, სამართლიანად უნდა ამაყობდნენ.

დღევანდელი საჭირბოროტო პრობლემები არ დაიძლევა, თუ ხალხს არ განვუმტკიცეთ რწმენა წარსულისა, თუ ჩვენვე არ წამოვაცენეთ და შევუყუდეთ დიდ შენობას ჩვენივე ხელით ნაქცეული და მოთხრილი ბოძი.

აბა, ერთად! ერთი, ორი და...

სიტყვისა და საქმის კაცი

ჩემს ხანგრძლივ მუშაობაში იშვიათად მომწევია თანამშრომლობა ისეთ მომთხოვნ პირვნებასთან, როგორც კარლო ლომაძე იყო. ის მკაცრად თხოვდა, არა მარტო ხელქვეითებს, არამედ უფრო მეტად საკუთარ თავს ეს თვისება, ეტყობა მას გამოუმუშავდა დაძაბული საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგად. მარტო ის ფაქტი, რომ მან 30 წელიწადი იმუშავა პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად 4 რეგიონში, ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. ეს თავისებური რეკორდი გახლდათ ამ საქმიანობაში. მუშაობდა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებულ პირობებში. სამამულო ომის დროს აჭარაში ქედის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ეს საზღვრისპირა რეგიონი მაშინდელ დაძაბულ ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. შემდეგ ამავე თანამდებობაზე 6 წელი ბოლნისის რაიონში დაჰყო. აქ მისი შრომა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებით აღინიშნა. შემდეგ 4 წელი კვლავ პირველი მდივნის თანამდებობაზე იღვანა ქობულეთის რაიონში.

1957 წლიდან კარლო ლომაძე მთელი 14 წლის მანძილზე პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. მისი ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა ქალაქში. სულ ახლის ძიებაში იყო. ჩაიფიქრა და კიდევ განახორციელა ნაქერალას მთაზე ცხრაჯვარის მიდამოებში მუშახტეთა დასასვენებელი სახლის მშენებლობა. იქ მისასვლელი რთულ პროფილიანი საავტომობილო გზა რეკორდულად მოკლე დროში სახელმწიფო სახსრების გარეშე საზო-

გადოებრივი შრომით გაკეთდა. შემდეგ ცხრაჯვარზე ასასვლელი უნიკალური საბაგირო გზის მშენებლობა წამოიწყო და დაასრულა.

მის თვისებებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი. ყოველ ნოვატორულ წამოწყებას პრაქტიკულ საქმედ აქცევდა. იყო უაღრესად გაბედული და არაერთარ დაბრკოლებას არ უშინდებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის განხორციელების გზაზე. ვერ ვიხსენებ ისეთ სიძნელეს (ასეთები საკმაოდ მეტი გვხვდებოდა მუშაობაში), რომლის დაძლევის გზა მას არ გამოენახოს. მაგონდება რა ენერგია და ძალისხმევა დასჭირდა ი. სტალინის ძეგლის დადგმისას, კინოთეატრ „შაორის“, სპორტდარბაზის, საცურაო აუზის მშენებლობისას. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა. იგი თითქმის მთლიანად შრომით, სახელმწიფო სახსრების გარეშე აშენდა, ამასთან დაკავშირებით მეხსიერებას შემორჩა ერთი ასეთი ეპიზოდი: კარლო ლომაძის კაბინეტში, რომელიღაც საკითხზე ვმსჯელობდით. გაისმა ტელეფონის ზარი. აიღო ყურმილი და განცვიფრებით შემომხედა: – ვოროშილოვგრადიდან მირეკვავენო. რეკავდა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. აინტერესებდა ფეხბურთის გუნდის სახელწოდება “მეშახტე” შახტიორს თუ ნიშნავსო. იკითხა როგორი სტადიონი გაქვთ ან ასე პატარა ქალაქი, როგორ პატრონობთ გუნდს, რომელიც საკავშირო პირველობაზე ასე წარმატებით გამოდისო. როცა უკრაინელმა კოლეგამ (ეტყობა, ისიც ფეხბურთის დიდი გულშემატყვიარი იყო) პასუხად მიიღო, ახალ სტადიონს ახალგაზრდების ენთუზიაზმით საზოგადოებრივი შრომით ვაშენებთო, ტყიბულელებს დაჰპირდა: მაცნობეთ მშენებლობის დამთავრება და რადგანაც თქვენთანაც დიდთოვლიანობა სცოდნია, სათამაშო მოედნის საფარველს საჩუქრად მე გამოგიგზავნიო.

კარლო ლომაძე ძალიან მგრძნობიარედ განიცდიდა დაუმსახურებელ კრიტიკას. გადმოცემით ვიცი, რა დღე აყარა ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ერთ-ერთი დიდი თანამდებობის პირს ტყიბულის რაიონის ხელმძღვანელობის აუგად მოხსენიებისათვის.

გააჩნდა განსაცვიფრებელი ენერჯია და მუშაობის უნარი. ყველაფერს აკეთებდა, რათა რაიონი მოწინავე ყოფილიყო. ერთნაირად დიდ ყურადღებას აქცევდა მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, ქალაქის კეთილდღეობას, სპორტს და კულტურას. მისი მხედველობის არე წვდებოდა ყველა დიდსა და პატარა საქმეს.

ტყიბულის აღმაშენებელი

არიან ამქვეყნად ადამიანები, რომლებიც თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუვინყარ კვალს ტოვებენ. ასეთი კეთილ მოგონებად რჩებიან არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე თაობის მეხსიერებაში. სწორედ მათ რიგს მიეკუთვნება ბატონი კარლო ლომაძე. უაღრესად დიდია ბატონი კარლოს დამსახურება ტყიბულის აღმშენებლობაში, ტყიბულელთა მატერიალური, სულიერი და კულტურული დონის ამაღლებაში.

ძნელია მოიძებნოს კაცი, რომელიც ასე ყოფილიყო შემკობილი ყველა ადამიანური ღირსებით. მასში თავმოყრილი იყო უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი, შესანიშნავი იუმორი და რაც მთავარია, ხელმძღვანელისათვის – მომთხოვნელობა თავის თავისა და ხელქვეითებისადმი.

ბატონი კარლოს ტყიბულში მოღვაწეობის პერიოდში მე, საკმაოდ აღიარებული მეშახტე, ამირჩიეს რა პლენუმის წევრად, დაახლოებული ვიყავი პირველ მდივანთან. ბატონი კარლო პლენუმის მომზადებას მოითხოვდა უმაღლეს დონეზე, რაც გამოიხატებოდა განსახილველი საკითხების ღრმა და საფუძვლიან ანალიზში, მიუთითებდა, რომ ზუსტად ყოფილიყო დაცული რეგლამენტი. თუ პლენუმს ფართო საზოგადოება არ ესწრებოდა, მაშინ პლენუმის წევრები ბატონი კარლოს კაბინეტში ვიკრიბებოდით. ასეთი თქმა იცოდა: „ჩემს კაბინეტში ჩატარებულ პლენუმს სხვა წონა და დატვირთვა გააჩნიაო“. გადასაწყვეტი საკითხის განხილვის დროს აუცილებლად

გვეთხავდა აზრს უბრალო მუშებს და შემდგომ, ცხადია, ითვალის-
წინებდა მას. ბატონ კარლოს ჩვეულებად ჰქონდა სამუშაო საათის
დანყებამდე შემოივლიდა ქალაქს, ხშირად თვითონ მართავდა საჭეს,
იცოდა ქალაქისა და საერთოდ რაიონის ყველა კუთხე-კუნჭული. მას
თვითონ აქვს მონაწილეობა მიღებული ქალაქის ყველა დიდ მშენებ-
ლობაში. ვის არ ახსოვს კარლო ლომადე ჩექმებში ჩაცმული როგორი
ენტუზიაზმით მუშაობდა სტადიონის მშენებლობაზე.

ბატონი კარლო ხშირად მოდიოდა შახტებში. ჩადიოდა იქ, სადაც
ქვანახშირის მოპოვების ბედი წყდებოდა. არ შეიძლებოდა არ გასა-
უბრებოდა მუშებს, აინტერესებდა ხელფასი, რამდენს გვიხდინენ,
რამდენ ნახშირს ვანგრევდით, როგორი გვექონდა ოჯახური მდგომა-
რეობა და ბოლოს იუმორით გვეტყოდა: „მაგდენი ხელფასი მე არა
მაქვს, ძმაო!“ მახსოვს ერთ ჩემს მეგობარს გასაუბრების დროს შე-
ნიშნა, თავზე თმები აქა-იქ გასცვენოდა, გამოიკითხა და გაირკვა,
რალაც დაავადების ბრალი იყო, უთხრა: ხვალ ჩემთან მოდი კაბინეტ-
შიო. ის ყმანვილი მართლაც მივიდა და ბატონმა კარლომ ვილაც თა-
ვის ნაცნობს დაურეკა: ერთი ჩემი ამხანაგი მოვა და დაეხმარეო, იმ
დახმარებით შესანიშნავი თმა წამოიზარდა იმ კაცს თავზე.

მე ძალზე გული მტკივა, რომ აქამდე ვეროვნად ვერ დავაფასეთ
ტყიბულისათვის ესოდენ თავდადებული პიროვნება. მაღლობა ქა-
ლაქის მერს, ბატონ დავით ცირეკიძეს, რომელმაც მოსვლისთანავე
გაიხსენა ამაგდარი ადამიანის ღვანლი. გვწამს, რომ ტყიბულელების
გულელებში მუდამ იცოცხლებს ტყიბულის აღმშენებლის, ბატონ კარ-
ლო ლომადის სახელი.

ჰინც ბაჟურჩანა ქალაქო

ბატონი კარლო ლომაძე – რაოდენ მრავლისმეტყველია ამ პიროვნების სახე ყველა ტყიბულელისათვის. ვიგონებ და ცოცხლდება მისი საქმიანობის, ასე ვთქვათ „ოქროს ხანა“ მეშახტეთა ქალაქის ისტორიაში. ეს ის პერიოდია, როცა ქალაქი დამშვენდა ბატონი კარლოს ნაფიქრალითა და ნაღვანით. მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი სიახლე, წამოწყება, რომელიც შემდგომ ტრადიციად დამკვიდრდა და, ბუნებრივია, მათი უგულვებელყოფა შეუძლებელია. მრავალი ხელმძღვანელი და რიგითი მუშაკი პრობლემის გადაწყვეტისას დღესაც ბატონ კარლოსეულ შეხედულებებსა და მოსაზრებებს იშველიებს.

კარლო ლომაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, 60-იან წლებში, წილად მხვდა ბედნიერება გავცნობოდი ამ დიდი ტალანტის მქონე ორგანიზატორს. მაშინ „ტყიბულმახტმშენის“ მუშაც ვიყავი და ახალგაზსნილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის საღამო სწავლების სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი (ინსტიტუტის გახსნაც კარლო ლომაძის სახელთანაა დაკავშირებული). სხვადასხვა დროს ვმუშაობდი, საჰაერო-საბაგერო გზისა და ფეხბურთის სტადიონის მშენებლობაზე. ეს უკანასკნელი საერთო--სახალხო მშენებლობის საქმედ იყო გამოცხადებული: მთელი ქალაქის მოსახლეობა და წარმოება-დანესებულებები ღებულობდნენ მონაწილეობას. ხელმძღვანელებისათვის არ არსებობდა მუშაობის

განსაზღვრული რეჟიმი და ტემპი ერთი ნუთითაც არ წყდებოდა. მახსენდება ერთი მომენტი: მშენებლებს ძალიან გაგვიჭირდა. ტყის მხარეს, იქ, სადაც არხი ჩამოდიოდა, ფერდობზე, გაძნელდა იარუსებისათვის საძირკვლის ამოყვანა. დღისით რამდენსაც ამოვიღებდით ქვაბულს, ღამით იმდენი იმეწყებოდა. ამან მშენებლობის ტემპი დასცა და შეჩერდა სხვა სამუშაოებიც.

და აი, ბატონმა კარლომ ჩვენი ბრიგადა სპეციალურად შეგვკრიბა და დავალება მოგვცა: ღამით უნდა ამოგველო ქვაბული, ღამითვე უნდა ჩასხმულიყო ბეტონი ისე, რომ მეორე დღისათვის იარუსის საძირკვლის ჩასხმა შესაძლებელი გამხდარიყო. „თუ ამას შეძლებთ, დილით ჯილდოს მიიღებთ!“ – და გაგვიღიმა. მისი მზერა ამ მომენტში თხოვნასაც გამოხატავდა, მოფერებასაც და ბრძანებასაც. მთელი ღამე ჩაუმუხლავად ვიმუშავეთ, ღამის ორ საათზე ბეტონის ხსნარიც მივიღეთ, დილით ექვს საათზე უკვე ფუნდამენტი ჩასხმული იყო. თვითონაც ამ დროს მოვიდა, დაღლილ-დაქანცულს უძილობა ეტყობოდა, კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. შეგვაქო, ნამუშევარი მოგიწონა, რასაკვირველია, გვესიამოვნა. დაპირებული „ჯილდოც“ მივიღეთ. სანირისა და ძიროვნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს დავით ქათამაძესა და ივანე სოფრომაძეს საჩუქარი გამოევზავნათ ჩვენთვის. გაიშალა ქართული სუფრა, ბატონი კარლო კიდევ ერთხელ მოგვეფერა: „მოვა დრო და თქვენი ნაშრომი და ნაღვანი თქვენ და მომავალ თაობებს გაახარებსო. ისინი ტკბილად მოიგონებენ თქვენ ნაამაგარსო!“

მართლაც, დღესაც იგონებენ ამ დიდბუნოვან კაცის დღევანლს. თითქმის არ არსებობს ოჯახი, რომელიც მის სახელს პატივს არ სცემდეს, დღესაც ხშირად იხსენებენ მას ოკრიბელები სუფრაზე, ჯერაც არ განელეებულა უნაპირო გრძნობა ბატონი კარლოსადმი,

ამიტომაც იყო, რომ ის ერთსულოვნად აირჩიეს ტყიბულის საპატიო მოქალაქედ, მაშინ, როცა ქალაქიდან 15 წლის წასული იყო.

„და მაინც, მისი დამსახურება მეტი მადლობის გადახდას ითხოვდა ჩვენგან. ეს დაინახა სწორედ ჩვენი ქალაქის მერმა, ბატონმა დავით ცირეკიძემ და ვარდობის თვეს სხვათაგან გამორჩეული, დიდებული კაცის სახე და ამაგი შეგვახსენა. განურჩევლად ყველა თაობის, იცნობდა თუ არ იცნობდა მას, მისი ხსენება უსაზღვრო სიყვარულს ბადებს თითოეული ადამიანის გულში. დიახ, ჩვენ ყველანი ვიგონებთ მას, ვინც “გაფურჩქნა“ მეშახტეთა ქალაქი.

ღვანდამოსილი

ბატონი კარლო გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, პრინციპულობით და თავმდაბლობით. მისთვის არ არსებობდა სამუშაო საათები, იგი მუდამ იქ იყო სადაც საქმის ინტერესები მოითხოვდა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მთლიანად იცვალა სახე ქალაქ ტყიბულმა.

ბატონ კარლოს კაბინეტში იშვიათად ნახავდით, ძირითადად იმყოფებოდა ორგანიზაციებში, ადგილებზე ეცნობოდა საქმის ვითარებას – ხალხს, სწავლობდა მუშაობაში არსებულ ხელისშემშლელ მიზეზებსა და ოპერატიულად იღებდა ზომებს ნაკლოვანებებს აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება, მან ტყიბულში მუშაობის დაწყებისთანავე სამთო საქმის შესწავლა დაიწყო და გამოცდილ სამთოელთა დახმარებით შესანიშნავად ერკვეოდა ამ სფეროშიც. არ არსებობდა საკითხი, რომელიც შახტების მუშაობას ეხებოდა და მას არ შეძლებოდა მასზე სწორი მსჯელობა და სათანადო დასკვნის გაკეთება, იგი შახტებში ხშირად ხვდებოდა მუშაობის პროცესში შესახტეებს და გულისხმიერად ეკიდებოდა მათ მიერ დაყენებული საკითხების მოგვარებას.

როცა ჩაის კრეფის სეზონი დაიწყებოდა, იგი დილით ადრე მიდიოდა ფართობებში, ხვდებოდა მეჩაიეებს, ამონმებდა მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს, იღებდა ზომებს ნედლეულის ჩაის ფაბრი-

კებში დროული ტრანსპორტირებისათვის, ამონმებდა ჩაის ფაბრიკებში ნედლეულის გადამუშავების, მუშახელით, ტარა-მასალებით უზრუნველყოფის და სხვა საკითხებს, მუშაობაში არსებული ხელისშემშლელი მიზეზების გამოსასწორებლად იღებდა ოპერატიულ ზომებს.

ბატონი კარლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კადრებთან მუშაობას. თანამდებობებზე აწინაურებდა ღირსეულ ადამიანებს, ამიტომაც იყო, რომ წარმოება-დანესებულებების ხელმძღვანელებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მინდობილი საქმის შესრულებას და წარმატებებსაც აღწევდნენ. გადაჭარბებით სრულდებოდა გეგმა-ვალდებულებანი ყველა დარგში. ამიტომაც სამართლიანად საქართველოში არსებული ყველა გარდამავალი დროშების და დიპლომების მფლობელი ქალაქ ტყიბული, მისი მშრომელი ხალხი იყო.

ადამიანებზე ზრუნვა მუდამ იყო ბატონ კარლოს მთავარი საფიქრალი სათანადოდ იყო მონყობილი მუშათა საერთო საცხოვრებელი, სასადილოები, აბანოები, მეშახტეები მარაგდებოდნენ მათთვის საჭირო ინვენტარით, ყურადღებით ეკიდებოდა მათი დასვენების საკითხს. ქობულეთში აშენდა მეშახტეთა დასასვენებელი სახლი, ტყიბულში ცხრაჯვარის მთაზე პროფილაქტორიუმი, პროფილაქტორიუმთან მისასვლელი გზა გამოცხადებულ იქნა. სახალხო მშენებლობად.

ბატონ კარლოს, ჰქონდა ხელმძღვანელთათვის დამახასიათებელი ბევრი კარგი თვისება, იყო ძალიან მკაცრი, დისციპლინიანი, არ შეძლებოდა ადამიანს არ ჰქონოდა მისი პატივისცემა, მორიდება და შიშიც. დაშვებულ შეცდომას არ გაპატიებდა, მაგრამ ამავე დროს იყო სამართლიანიც.

ბატონი კარლო 27 წლის წინათ მოღვაწეობდა ქ. ტყიბულში, იმდენად დიდია მისი ღვაწლი, რაც დრო გადის, უფრო პატივისცემით იხსენიება. ამიტომაც იყო რომ პენსიაზე მყოფი, მადლიერმა ტყიბულელებმა საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. დღევანდელი ღონისძიებაც კიდევ ერთი დასტურია ბატონი კარლოს ღვაწლის დაფასებისა.

ამჟამად ახალგაზრდობამაც, რომლებიც არ იცნობდნენ ბევრი რამ იციან (ალბათ უფროსების გადაცემით) მის შესახებ. მათგან ხშირად გაიგონებ ასეთ ფრაზას – „ეს კარლო ლომაძის გაკეთებულია“ – ნამდვილად სამაგალითო იყო მისი შრომა და ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ახლა ბევრი რამაა გასაკეთებელი ტყიბულის იერსახის დასაბრუნებლად, ხალხისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, იმედია, ქალაქის ახალი ხელმძღვანელი ბატონი დავით ცირეკიძე რომელიც ენერგიულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას, ზემდგომი ორგანოების დახმარებით და ტყიბულელთა თანადგომით შეძლებს ქალაქ ტყიბულმა დაიმკვიდროს ის ადგილი საქართველოში, რითაც ასე ვამაყობდით ტყიბულელები.

ხელოვნების სიყვარულით

ბატონი კარლო ლომაძე დიდ პატივს სცემდა ხელოვნებას, იგი ეძებდა ამ ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებებს. ტყიბულის მოცეკვავეთა ანსამბლი ბატონი კარლოს დახმარებით მრავალჯერ ყოფილა საგასტროლოდ ინგლისში, გერმანიაში, უნგრეთში, ბულგარეთში. დაუფინყარია ჩემთვის 1972 წელი, როცა იგი აღარ მუშაობდა ტყიბულის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად. ჩვენი ანსამბლი იუგოსლავიაში საგასტროლოდ მიდიოდა, მან თბილისიდან გაცილება მოგვინყო და გზა დაგვილოცა...

მახსენდება; როცა 11 წლის ბიჭი ვიყავი თბილისში ჩატარდა ხალხური შემოქმედების ფესტივალი. დოლის დაკვრით ვცეკვავდი. მას მოვეწონე და ამის შემდეგ ჩამომიყვანა ტყიბულში საცხოვრებლად. როგორც საკუთარ შვილის, ისე მივლიდა და მპატრონობდა, შვილობილსაც მეძახდა. არასოდეს დამავინყებდა მისი მშობლიური მზრუნველობა. ბატონმა კარლომ საჩუქრად „ბოსტონის“ ნაჭრის შარვალ-კოსტუმი შემიკერა. თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი საჩუქარს, მაგრამ ერთხელ სკოლაში მელნით დამისვარეს ამხანაგებმა, მერიდებოდა, არ მინდოდა შეემჩნია დასვრილი კოსტუმი ჩემს „მამობილს“, მაგრამ ბატონმა კარლომ მაინც შენიშნა თუმც არ მისაყვედურა.

ერთ კურიოზს გავიხსენებ: №4 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. თანაკლასელებმა საკლასო ოთახში დადგმულ ლუმენლში რაღაც შეაგდეს და ააფეთქეს, მასწავლებლებმა ვერ დაადგინეს ნამდვილი დამნაშავე და მომხდარი ფაქტი მე დამაბრალებს. ვერ დავაჯერე ვე-

რავინ, რომ ამის ჩამდენი მე არ ვიყავი, საყვედურებს მეუბნებოდნენ და სასჯელადაც მემუქრებოდნენ. ჩემი სიმართლე რომ ვერავის დავუმტკიცე, ყველას განვუცხადე, ახლავე კარლო ლომადესთან მივდივარ და ყველაფერს მოვუყვები-მეთქი. როცა დარწმუნდნენ მასწავლებლები, რომ მე მართლაც ასე მოვიქცეოდი, ხვენწა დამიწყეს, დამევიწყებინა ყველაფერი და სწორედ ასე გადავარჩინე თავი უსამართლოდ დასჯას.

უკვდავება

კარლო ლომაძე როცა საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, უკვე შრომის გმირის ნოდება ჰქონდა მინიჭებული. საბჭოთა ხელისუფლების ეს უმაღლესი შეფასება რომ ღირსეულს ხვდა ნილად, ეს მან ტყიბულში მოღვაწეობითაც დაამტკიცა. წლები, რომელიც ჩვენთან დაყო ეკონომიკის, მოსახლეობის სოციალური სფეროს ახალ-ახალი მიღწევებით აღინიშნა. სწორედ ამიტომ არ განელებულა უსაზღვრო სიყვარული ამ ხელმძღვანელისადმი, რომელმაც მუშაობის დანყებისთანავე ჯანსაღი და სწორი მიმართულება მისცა ტყიბულში ქვანახშირის, და სოფლებში მეჩაიეობის ფართოდ განვითარების პერსპექტივას. თავდადებული და გაბედული მოქმედების შედეგად მაქსიმალურად იქნა გამოყენებული არსებული ყველა რეზერვი და შესაძლებლობა. ქვანახშირის მოპოვება მნიშვნელოვნად გაიზარდა. კოლმეურნეობებში ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოების 2-3-ჯერ გაზრდის შედეგად გლეხოვა შეძლებული გახდა, ტყიბულის მუშათა კლასი რესპუბლიკაში მონინავეთა რიგებში ჩადგა და ტყიბული რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გადაიქცა.

კარლო ლომაძეს ფრთხილად ეკიდებოდა კადრების შერჩევას, დაინტერესებული იყო მათი სწავლებით, მკაცრად განსაზღვრავდა საქმის შესრულების დროს და ყველას აიძულებდა მის დროულად შესრულებას, ერიდებოდა კადრების ხშირ ცვლას, იცოდა სხვისი

მოსმენაც, იზიარებდა თანამშრომელთა მოსაზრებებს და მხარს უჭერდა აღძრულ საკითხებს. პირადად იყო ღონისძიებების წამომწყები, ამასთან კოლექტიური აზრის მხარდამჭერი და განმახორციელებელი.

მახსენდება მისი უშუალო ინიციატივით, ჩეხოსლოვაკიაში ტყიბულელ მემახტე ინჟინერთა გაგზავნა, რომელთა მიერ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ტყიბულში პირველად დაინერგა და განხორციელდა ქვანახშირის ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით მოპოვება, რამაც მინიმუმამდე შეამცირა ნახშირის მოპოვებისას მისი დანაკარგები. არ შეიძლება არ გაიხსენო ამ პერიოდში ქ. ტყიბულის დაძმობილება რუსეთსა და უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის ქალაქებთან. ჩვენი კოლმეურნეობების საქმიანი ურთიერთობები გორის, მახარაძის, ქობულეთის, გარდაბნის და სხვა რაიონებთან სიახლეთა დანერგვის მიზნით და სხვ. მან პიროვნების კულტის წლებშიც კი მოახერხა დაედგა ი.ბ. სტალინის ძეგლი, რომელიც მაშინ რისკთან და გაბედულებასთან იყო დაკავშირებული.

დღეს ძნელბედობის უამს, ყველაფერი მინასთანაა გასწორებული, დანგრეული და გაპარტახებულია ქ. ტყიბულის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მოსახლეობაში სიკვდილმა და სიბნელემ დაისადგურა – იმედის მომცემ სხივად გამობრწყინდა ქალაქის მერის ის გადანყვეტილება, რომელმაც მოსახლეობის ერთსულოვან მხარდაჭერის დასტურად ტყიბულში კარლო ლომაძის უკვდავსაყოფად გამიზნულ ღონისძიებების აღნიშვნას ეძღვნება. და ეს ხდება მისი ტყიბულიდან წასვლის 26 წლის შემდეგ, იქნებ გვიანიც იყოს, მაგრამ არა, კარლო ლომაძე – ტყიბულისათვის უკვდავია და უკვდავისათვის ქვეყანაზე არც გვიანაა რამე და არც ადრე.

მის სიტყვას კანონის ქალა ჰქონდა

კარლო ლომაძე ტყიბულში რომ ჩამოვიდა, საკმაო გამოცდილების მქონე მუშაკი იყო, მას დიდი დრო არ დაუკარგავს რაიონის გასაცნობად, პირდაპირ შეუდგა მუშაობას. მალე გამოავლინა საქმიანი ხელმძღვანელის თვისებები. შეიყვარა ხალხი და მათაც შეაყვარა თავი. ლომაძის კაბინეტის კარი მუდამ ღია იყო მთხოვნელისათვის. მომსვლელს გულდასმით მოუსმენდა და თუ შეიძლებოდა, მაშინვე უწევდა დახმარებას – საქმეს არ გადადებდა.

ბატონი კარლო არც თუ ხშირად ცვლიდა ხელმძღვანელ მუშაკებს. „მთავარია, კაცს ისე უხელმძღვანელო, რომ მან კარგად იმუშაოს, თორემ თანამდებობიდან გადაყენებას ყველა უფროსი შეძლებსო, – იტყოდა ხოლმე. „უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, მუშაკს რომელიც რაიმეს დააშავებს, უნდა ჩაავლო ქეჩოში ხელი, ასწიო, გააჯანჯღალო წყალში, გარეცხო, დასვა სკამზე და აამუშაოო“. იცის ღმერთმა, გაჯანჯღალეა ისეთი იცოდა, რომ კბილებში ოფლი ნამოუვიდოდა კაცს, მაგრამ უბოროტო.

განათლების განყოფილებაში ვმუშაობდი. ერთ-ერთი სკოლის დირექტორი გაათავისუფლა ბიურომ თანამდებობიდან. საქმე ისეთ-ნაირად წარიმართა, რომ მე ვერ შევძელი მისი დაცვა. ათი დღის შემდეგ დამიძახა და მკითხა: სად იმუშავებს ესა და ეს კაციო ვუპასუხე: მასწავლებლადმეთქი. „ცოდვააო, მითხრა, დირექტორის მოადგილედ გაუშვი, თუ შენ მოგხსნის სამინისტრო, უკეთეს ადგილზე გაგიშვებო. გავრისკე და დავალეა შევასრულე. ისე კაცმა რომ თქვას,

ის პიროვნება ღირსი იყო ამ რისკისა. ბატონი კარლო კარგად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის საკითხებში, ხშირად კამათობდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, ბევრჯერ გამოუმჟღავნებია ისინი არცოდნაში.

მეშახტის საქმეც აითვისა, კაბინეტში დაიდგა დაფები, გააკრა ნახაზები და ისმენდა საუბრებს სპეციალისტებისაგან. სხვათაშორის, ჩვენც დაგვავალა მიგველო ამ დარგში განათლება. ქალაქის ბევრი აქტივისტი ჩავებით დაუსწრებელ სწავლებაში ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

კარლოს გვერდით მუშაობა სასიამოვნოც იყო და რთულიც. დილით ძალიან ადრე მოდიოდა სამსახურში, ყველას გვასწრებდა, წასვლითაც ყველაზე გვიან მიდიოდა. ის თბილისში ღამეს არ გაათევდა, თათბირიდან პირდაპირ ტყიბულში ბრუნდებოდა ხოლმე.

როგორც ხელმძღვანელს ბევრი მისაბაძი თვისება ჰქონდა. არასდროს არ დაგამცირებდა ხალხში ცუდი შენიშვნებით, სათქმელს გეტყოდა მარტოდმარტო, კაბინეტში. თუ შენ ნამუშევარს ჩაიბარებდა და ხელს მოანერდა, დამშვიდების უფლება გქონდა. ერთხელ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები შევარჩიეთ. არჩევნების შემდეგ ერთი უპარტიო დეპუტატი აღმოჩნდა. «ცეკა» გაგვიჯავრდა და ლომაძეს ჩემი დასჯა მოსთხოვა, მან ასეთი პასუხი მისცა: ტყიბულში ლომაძეა ყველაფერზე პასუხისმგებელიო.

ლომაძე ღირსეულად აფასებდა მეშახტის მძიმე შრომას. ერთი ასეთი მაგალითის გახსენებაც საკმარისია ნათქვამის დასამტკიცებლად. ერთხელ დაბაძვლის კოლმეურნეობაში ჩასულა, სოფლის ცუდ და გაუვალ გზებს ძალიან გაუბრაზებია, კოლმეურნეობის შენობიდან მანქანის ხმაზე კაცი გამოსულა და უთქვამს თავმჯდომარე ძველ კანტორაში სიმინდის დარიგებას ესწრებაო. შენ რას აკეთებ

აქო? – დარაჯი ვარო, – უპასუხია. შენც კარგი ზარმაცი იქნებო, – ჩაულაპარაკია კარლოს და გადგომია გზას. უკან დაბრუნებისას ეს კაცი მეშახტის ფორმაში გამონყობილი, ორდენებით დამშვენებული დახვედრია მანქანას. კარლო ჩამომხტარა ტალახში და გამოუკითხავს მისთვის ვინაობა. გაუგია თუ არა, რომ ის დარაჯი დამსახურებული მეშახტე, საქართველოში პირველი სტახანოველი-სილიბის-ტრო გვენეტაძე იყო, ბოდიში მოუხდია მასთან. ქალაქკომში რომ დაბრუნდა, შეგვეკრიბა და დაგვაგალა სასწრაფოდ შეგვედგინა სია რაიონის მონინავე ადამიანებისა. თავმჯდომარეს კი ძალიან უსაყვედურა დამსახურებული მეშახტის კარის დარაჯად აყვანისათვის. მალე ქუთაისიდან ჩამოიყვანა სპეციალისტები, გადაულო სურათები რაიონის ყველა დარგის გამორჩეულ ადამიანებს, გადაიტანა ტილოზე და გააკრა ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე.

კარლო მელიტონის ძე საოცრად შეყვარებული იყო სპორტზე, განსაკუთრებით ფეხბურთზე. (მის დროს ტყიბულის „მეშახტე“ საკავშირო ჩემპიონატის (ბ) კლასში თამაშობდა). სპორტმოედნების მშენებლობას თვითონ ედგა სათავეში. ალბათ, საყურადღებოა ისიც, რომ მისმა შემცვლელმა ცუდად დაუმახსოვრა აღმზრდელს ამაგი. როგორც კი წავიდა ლომაძე რაიონიდან, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გადაახვნევიანა ფეხბურთის ერთი მოედანი და სიმინდი დაათესვინა, ხოლო ქალაქის ცენტრში საბავშვო სპორტმოედანზე საცხოვრებელი სახელი ააშენებინა მშენებლებს.

ლომაძე დღედაღამ ფიქრობდა სიახლეების დანერგვაზე. ყოველ დილით ახალ ჩანაფიქრს გვიზიარებდა, მთავარი ის იყო, რომ ყველა წამონყება წარმატებით მთავრდებოდა. ძალიან თავისებური კაცი იყო. მას, როგორც მივხვდით უხმაუროდ უნდოდა წასვლა ტყიბულიდან, მაგრამ არ მივეციით ამის უფლება. ვიცოდით, რომ უმძიმდა

ტყიბულის დატოვება, რათა შეგვემსუბუქებინა მისთვის ეს სიმძიმე, გადავწყვიტეთ, გავვეცილებინა. ამიტომ თავი მოვიყვანეთ ქალაქ-კომის შენობის წინ, სადაც გზად უნდა გამოველო. იგი დაგვემშვიდობა. მარტო იჯდა მანქანაში, ჩვენ გადავწყვიტეთ ზესტაფონამდე მაინც გავვეცილებინა და უკან გავყევით, მაგრამ რომ დაგვინახა, უკან მივყვებოდით, წინკალას მალლობზე გააჩერა მანქანა, გადახედა ტყიბულის რაიონის ველ-მინდვრებს, გადმოსცვივდა ცრემლები და გვითხრა: არ გამომყვეთო. ჩვენთვის კანონი იყო მისი ნათქვამი.

შემდეგ გავიგეთ, რომ დასავლეთში რომ მოხვდებოდა, ღამე შემოდიოდა თურმე ტყიბულში, დადიოდა მის ქუჩებში და ისევ ჩუმად გადიოდა ქალაქიდან.

ერისკაცი

აღიარებული, თავისთავადი ხელწერის ხელმძღვანელი გახლდათ კარლო ლომაძე, გულისხმიერი და ინტელექტუალური, კეთილი, მკაცრი და სამართლიანი. 9 წელი ვიმუშავე მასთან აპარატში, ბოლო პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგედ ვმუშაობდი. შემდეგ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ყოველთვის ლაღად ვგრძნობდი თავს, ამაში ბატონ კარლოს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა.

მისი მუშაობის პერიოდში არნახულ განვითარებას მიაღწია ტყიბულის სოფლის მეურნეობამ, მარტო ის რად ღირს, რომ ტყიბულის სოფლის მეურნეობა 10-ჯერ იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე. დაჯილდოებული ოქროს, ვერცხლისა და ბრიჯაოს მედლებით, ასეთი მიღწევები და ჯილდოები ბევრი რაიონისთვის ოცნებას წარმოადგენდა.

1960 წელს, როცა რაიონის მთავარ აგრონომად დავინიშნე, პირდაპირ დავალება მომცა: მთელი ყურადღება მიმექცია ისეთი სტრატეგიული კულტურის განვითარებისათვის, როგორცაა ჩაი. ჩვენი მიზანი იყო მეჩაიეობის ყველაზე მოწინავე რაიონის, ქობულეთის სწორი გავმხდარიყავით, ძნელად თუ ვინმეს დააჯერებდით, რომ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობაში ქობულეთის მეურნეობას გაუუსწარიო. არნახული შედეგები იქნა მოპოვებული მეხილეობაში, მარცვლეული კულტურების წარმოებაში. ყველაფერს ამას იმით ვაღწევდით, რომ სხვა ღონისძიებებთან ერთად მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი მეცნიერების მიღწევებისა თუ მოწინავეთა

გამოცდილების დანერგვას. ამ მიზნით იგი მივლინებით გვაგზავნიდა რესპუბლიკის მონინავე რაიონებში. მისთვის ხომ სამუშაო საათები არ არსებობდა. ერთხელ თათბირზე მილიციის უფროსს კოტე გობეჩიას ეკითხება: როგორ მოახერხე დანაშაულის ასეთი შემცირებაო. მან იქვე მოუგო: პირველი მდივნის კაბინეტში თორმეტ-პირველ საათამდე შუქი რომ არ ქრება, ეს მშველსო.

ბევრი ვთქვით ხასიათის დადებით ასპექტებზე, სიძლიერეზე, მაგრამ ისე როგორც ყველა მიწიერი კაცი, ისიც ცდებოდა. და თუ შესაძლებელი იყო დაუყოვნებლივ გამოასწორებდა თავად. მდინად მუშაობის დაწყების პირველ პერიოდში მან ბიუროზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა უნარიანი ხელმძღვანელი გიგლა გვენეტაძე, მაგრამ როცა დაინტერესდა მისი პიროვნებით, საქმიანი თვისებების შესწავლით, კვლავ დაუბრუნდა სოფლის თავკაცის ადგილი ამჯერად ძლიერ ჩამორჩენილ ცუცხვათის კოლმეურნეობაში გაუშვა თავმჯდომარედ, თან უთხრა: აბა, შენ იციო. მართლაც ცუცხვათი ყველაზე მოწინავე მეურნეობად იქცა რაიონში. ბატონ კარლო ლომაძეს დიდი სითბო და სიყვარული გაჰყვა ტყიბულსა და ტყიბულელებზე. მაგონდება ასეთი შემთხვევა: მისი წასვლის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის თასის ფინალში მახარაძის გუნდს ვხვდებოდით. სტადიონზე ბატონი კარლოც მობრძანდა, მე გავეხუმრე: ალბათ, გურულებს „ბალეშიკობთ“ მეთქი, მან მითხრა: როგორი ძნელი ბრძოლა გმართებთ, მაგრამ, თუ მაგ თასს ტყიბულში წაიღებთ, როგორ გამახარებდითო. როცა თასი მოვიგეთ, სიხარულის ცრემლებით ავესოთვალე, თან როგორც არასოდეს, ყველა ტყიბულელს გვეხვეოდა და გვკოცნიდა. ბევრი კარგი მოგონება შეიძლება ამ განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებულ ერისკაცზე, მაგრამ ეს შტრიხებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის პორტრეტზე.

შესაშური თვისებაები

კარლო ლომაძე მართლაც მდივნად იყო დაბადებული, ხელმძღვანელ-ორგანიზატორის მსგავს მეთოდებს, მუშაობის სტილს, მომთხოვნელობას, სიმკაცრესაც კი ვერ ნახავდით სხვა ადამიანში. ახლადდანიშნული პირველი მდივანი გვინდოდა ახლოს გაგვეცნო, მაგრამ მისი ნახვა ვერა და ვერ შევძელით 2-3 თვის განმავლობაში. სამსახურში ვერ ვნახულობდით, შემდეგ გამოირკვა, რომ დილის 5 საათიდან გვიანობამდე კოლმეურნეობებში იყო, ეცნობოდა და სწავლობდა მათ პრობლემებს. საოცარი ის იყო, რომ მრავალი ნაკვეთის სახელწოდებაც კი ზეპირად იცოდა. ამ 2-3 თვის განმავლობაში 16 კოლმეურნეობიდან ყველა შეისწავლა და მის თავმჯდომარეებს სწორედ ამის შემდეგ მკაცრად სთხოვდა მუშაობას.

ისიც ცნობილია, რომ ბატონ კარლოს მანქანაში გრძელტარიანი ნალდი ჰქონდა, რომელსაც თან დაატარებდა. როცა საკოლმეურნეო ნაკვეთებს, ჩაის პლანტაციებს დასათვალიერებლად შემოუვლიდა, ხშირად გასძახებდა ხოლმე თავისი მანქანის მძღოლს: პაშა, ნალდი მომანოდე! (პაშა მარინაშვილს, ალბათ, სიყვარულით მიმართავდა ასე). თუკი სადმე უადგილოდ ამოსულ ეკალ-ბარდს შენიშნავდა, მაშინვე გაჩებდა და ამ მოქმედებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს არცხვენდა. ეს იყო უდიდესი ტაქტი მუშაობის გამოსასწორებლად. მახსოვს, დიდთოვლობისას მწვანე ნარგავებს დილის 5 საათიდან თვითონ ბერტყავდა და ამით ყველას პირად მაგალითს აძლევდა.

ბატონ კარლოს შესაშური თვისებები ჰქონდა, მიუკერძოებელი და ობიექტური იყო. ზოგჯერ იქნებ, სასტიკი, მაგრამ არ გასწირავდა კაცს. პირიქით, შეცდომას გამოსწორებინებდა, საქმის გაკეთებას შეაძლებინებდა და ასწავლიდა კიდეც. წყენინების შემდეგ მომხდარს ივინყებდა, არც არასოდეს წამოაძახებდა და გაახსენებდა წარსულს. ამ გზით აძლევდა კაცს იმის საშუალებას, რომ სწორი გზით ევლო.

დიდი იუმორის გრძნობაც ჰქონდა. ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს ბიუროზე უთხრა: – თავს თუ ჩამოიხრჩობ, იცოდე, მაინც გაგრიცხავ პარტიიდანო. ამ იუმორისტული მიდგომით გულისწყრომასაც გამოხატავდა და მკაცრად ითხოვდა კიდეც ობიექტურობას...

ბატონმა კარლომ ქალაქ ტყიბულის გრანდიოზული აღმშენებლობა წამოიწყო და ამ წარმატებამ დღემდე მოგვიყვანა, ჩვენ კი ვერ გავუფრთხილდით, ვერ დავეხმარეთ საშველად მდგარ მდუმარე შენობებსა და შედეგიც სახეზეა.

იმედია ტყიბულს დაუბრუნდება ძველი იერსახე.

დაუპინყარი სახელი

სოფელ სანირეში 40 წელი ვამუშავე კოლმეურნეობის თავ-მჯდომარედ. მე ბედნიერება მხვდა წილად, მემსახურა ისეთი გულისხმიერი ადამიანის გვერდით, როგორც კარლო ლომაძე ბრძანდებოდა. მან ძირეული ცვლილებები მოახდინა ქალაქსა თუ სოფელში. დიდ ყურადღებას იჩენდა სოფლის მეურნეობისადმი, ღრმად ერკვეოდა დარგში.

ერთხელ ერთ-ერთ თათბირზე მკითხა; როდის უნდა დაიწყოს ჩაის კრეფაო...

უკვე მზადა ვართ, ხვალ ან ზეგ შევეუდგებით მუშაობას. ასეთ პასუხზე დაუყოვნებლივ მითხრა: ხვალ და ზეგ კი არა, გუშინ და გუშინწინ უნდა დაგეწყოთ ჩაის კრეფაო. შემდეგ გავიგე, რომ ჩემი კოლმეურნეობის პლანტაციებში უჩემოდ ყოფილიყო მისული შესამონმებლად.

ამ თვისებებთან ერთად კაცთმოყვარე, ერთგული მეგობარიც იყო. მახსენდება, დიდი და მკაცრი ზამთარი იდგა. სოფელ სანირეში ჩამოიარა მანქანით. მიხმო და დამავალა: დიდი თოვლია და გზები სასწრაფოდ უნდა განმინდო თოვლისაგან. მე ქუთაისამდე მივდივარ, იქედან მალე მოვბრუნდები, გზები კი განმენდილი უნდა დამხედესო. რა უნდა მექნა არ ვიცოდი, სულ ერთი საათის დრო მრჩებოდა, თოვლსანმედიც საძებნელი იყო. მაგრამ როგორც ზღაპარშია ხოლმე, იღბლად ტყიბულჰესის თოვლწმენდი „გამომეცხადა“, სანამ დახმარებას ვთხოვდი, თვითონ მითხრა: კარლო ლომაძემ თქვენს დასახმარებლად გამომგზავნაო. მაშინვე შევეუდექით საქმეს და რო-

ცა უკან დაბრუნებულმა ჩემი მუშაობა შეაქო, ვუთხარი; თქვენი განმენდილია ეს გზები-მეთქი და მას ამ სიტყვებზე უხმოდ, შეუმჩნევლად გაელიმა. ბატონი კარლო დატვირთული მუშაობის შემდეგ თავისუფალ დროსაც გამოძებნიდა და ისვენებდა კიდეც. განსაკუთრებით ბილიარდის თამაში იტაცებდა და სიამოვნებით თამაშობდა კულტურის სასახლეში. ნადირობაც უყვარდა. ხშირად დავდიოდით მასთან ერთად აღმასკომის თავმჯდომარე ილიკო გიორგობიანი და მე მწყერებზე სანადიროდ. თუმცა განთქმული მონადირის სახელი არ ჰქონდა. სანადირო თოფს წინასწარ არჩევდა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ქალაქ ტულადან სტუმრები გვყავდა. ტულის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ბატონ კარლოს სანადირო თოფი მოართვა საჩუქრად. მიაქვს ეს იარაღი დავით დობრჯგინიძეს ადრესატისთვის გადასაცემად, დავაკვირდი იარაღს, მომეწონა და ვთქვი რად უნდა ასეთი კარგი იარაღი, იგი კარგ მონადირეს სჭირდება! ჩემი ნათქვამი გაუგონია და არ დამტოვა უპასუხოდ; რატომ გეხარბება შენ ჩემი საჩუქარიო? ხშირად მიმეორებდა ამ სიტყვებს.

ბატონი კარლო არ გახლდათ დიდად მსმელი კაცი სუფრაზე. სულ მუდამ მორიდებული და ფრთხილი იყო ღვინის სმაში. არ მოსწონდა შეზარხოშებული ხალხის დანახვა, მაგრამ მოლხენა კი უყვარდა.

იმის გამო, რომ სოფელი მოწყვეტილი იყო საძოვრებს, საყანე მინებს და მეცხოველეობის ფერმებს, გვირჩია, წყალსაცავზე აგვეგო ბორანი და თან დაგვეყენებინა საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე ბორნის ადგილზე, რომლის სიგრძე იყო 150 მეტრი, აშენებულიყო კაპიტალური ხიდი. ხიდი მართლაც ავაგეთ: რომლის მშენებლობა მაშინდელი ფულადი კურსით ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდა.

ბევრი რამ შეიძლება მოიგონოს კაცმა. მთავარი ის არის, რომ ბატონ კარლოს სახელს დავიწყება არ უწერია.

ვინც წინაპარს პატივს არ მიაგებს...

დღევანდელი გადასახედიდან შეეყურებ ჩემს განვლილ გზას, გადავხედავ ხოლმე ჩემს შრომით საქმიანობას და ყველაზე მკვეთრი ფერებით გონება 1957-1970 წლებს აფიქსირებს, და, ეს ის წლებია, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა კარლო ლომაძე.

მე წილად მხვდა ბედნიერება 13 წელი მემუშავა მის გვერდით. ამ კაცურ კაცს დიდი წვლილი მიუძღვის პირადად ჩემი, როგორც პიროვნებისა და სპეციალისტის, და ხელმძღვანელის ჩამოყალიბებაში.

კარლო ლომაძე იყო მკაცრი და გულისხმიერი, ენერგიული და მომთხოვნი, პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ და შემდეგ სხვისადმი. ბატონმა კარლომ ჩამოსვლისთანავე შექმნა ძლიერი ადმინისტრაციული აპარატი, თუ შეიძლება ითქვას, ძლიერი გუნდი და დაულაღავი შრომით აღმშენებლობამ მოიცვა ტყიბული: კულტურის სახლი, მოსწავლეთა სასაღე, ფეხბურთის სტადიონი, კინოთეატრი "შაორი", სპორტის სასახლე, საბაგრო ხაზი-ტყიბული-ცხრაჯვარი, ცხრაჯვარის დასასვენებელი სახლი, რაც მთავარია, მასთან მისასვლელი გზა, ადმინისტრაციული სახლი, სასტუმრო, საცურაო აუზი, პურის ქარხანა, ავტოსატრანსპორტო საწარმოები, შახტების საბინაო კომპლექსები, ძველი და ახალი ტყიბულის საცხოვრებელი სახლები, ქალაქის №3-4-5-6-7 საშუალო სკოლები, სოფლად ხრესილის,

გელათის, სოჩხეთის, ოჯოლისა და ჯვარისის სკოლები, მიშენების სამუშაოები გაუკეთდა №1-2 და ორპირის საშუალო სკოლებს. კეთილმოეწყო ქალაქის ქუჩები. იშვიათი ორგანიზატორული ნიჭის მქონე კაცს ჭეშმარიტ სახეს ერთი მოგონებაც შეგიქმნით: ერთ დღეს კარლო ლომაძემ გამოგვიძახა თათბირზე, სადაც იხილებოდა ხრესილის საშუალო სკოლის მშენებლობის საკითხი, მოწვეული იყვნენ შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. ინფორმაციით გამოვიდა განათლების განყოფილების გამგე გ. ნასარია, რომელმაც აღნიშნა, რომ ხრესილის მოსწავლე – ახალგაზრდობას არ გააჩნდა სასწავლო კორპუსი და სასწავლო პროცესი კერძოდ სათავსოებში მიმდინარეობდა. საჭიროა, სასწრაფოდ დაიწყოს სკოლის მშენებლობა – დასძინა მან. ყველამ მხარი დაუჭირა. საბოლოო სიტყვით კარლო ლომაძე გამოვიდა და მკიცრი შეფასება მისცა ამ საკითხს და სკოლის მშენებლობის დამთავრება აუცილებლად ახალი სასწავლო წლისათვის განიზრახა. ეს იყო 1961 წლის 4 ივნისი. დაიწყო სამცვლიანი გრაფიკით მუშაობა, რომელშიაც მონაწილეობას თავადღებულობდა. ყოველ ღამით მოდიოდა ის მშენებლობაზე, იქვე წყდებოდა ყოველგვარი პრობლემაც... ოპერატიულად იხილებოდა ყოველივე, რათა ტემპი არ შენელებულიყო.

და აი, 1961 წლის 1 სექტემბრისათვის ხრესილის საშუალო სკოლა აშენდა. კარლო ლომაძე დილით მოვიდა ხრესილში და მიულოცა ხრესილელ მოსწავლეებსა და პედაგოგებს, მთელ მოსახლეობას ეს ღამაზი დღე, ლენტი ტრადიციისამებრ მან გაჭრა, ზარი დაირეკა და სწავლა დაიწყო.

მეორე მოგონებაც: მაშინ ტყიბულმშენის სამმართველოს უფროსი ვიყავი, ხვალისათვის აუცილებელია სოფელ სოჩხეთში წავიდეთ სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით, – მითხრა ერთ დღეს

ბატონმა კარლომ. ნავედით, შევარჩიეთ ადგილი და გადაწყდა, მომავალი სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის სკოლა ექსპლოატაციაში უნდა გადაცემულიყო. ამ დროს ერთი მოხუცი მოვიდა, იკითხა, თურას აშენებთო, და როცა ჩვენი იდეა გაიგო, პირდაპირ მოგვახალა: „მეტად არ იქნა ჩემი მტერი, აქ სკოლას არავინ ააშენებს, ბევრი მოსულან თქვენისთანები რაიონიდან, მაგრამ არავის არაფერი გაუკეთებიაო!“. კარლო ლომაძეს გაეცინა და გვითხრა: „ეს მოხუცი მგონი ცდება და თქვენ, მშენებლებმა, თავი არ შეირცხვინოთო!“ მისი დახმარებით სკოლის შენობა ახალი სასწავლო წლისათვის მზად იყო. მისსივე პირადი მონდომებითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ავაშენეთ სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ოჯალიშიც, 440 მოსწავლეზე.

ნათქვამია, „სიკეთე არ დაიმალებაო“. საგულისხმოა, რომ ქალაქის ახალმა მერმა პატივი მიაგო კარლო ლომაძის ნათელ ხსოვნას, რომელიც დიდხანს მართავდა ქალაქს და მოარულ ამბად სმენილი კაცის ცხოვრებას მაგალითის ძალა მისცა.

დიდებული ნათქვამია – ის ვინც წინაპარს პატივს არ მიაგებს თავის უკაცურ სახეს ამჟღავნებსო.

უჩა დალაქიშვილი,
საზოგადოება ტყიბულის „ნავთობ-
პროდუქტის“ გენერალური დირექტორი

თითქოს მინა ინვოდა

ბატონი კარლო ქუჩაში, რომ გაივლიდა, ყველა მოკრძალებით და მორიდებით ეგებებოდა, რომ იტყვიან თითქოს მინა ინვოდა. მახსოვს, ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა ქუჩაში მომავალი პირველი მდივანი რომ დაინახა, საგაზეთო ჯიხურს ამოეფარა (შეიძლება რაიმე დავალება ჰქონდა შეუსრულებელი). მე ჯერ რიგით მძლოლად ვმუშაობდი, მაგრამ სამსახურებრივად ხშირად ვიყავი დაკავშირებული მასთან. ოჯახის წევრებსაც ვიცნობდი. როდესაც გარაჟის გამგედ დამანიანურეს, ამ გადანყვეტილებას თვითონაც დაუჭირა მხარი. სატვირთო ავტოტრანსპორტის როლს დიდად აფასებდა. ჩაის ფაბრიკაში ხშირად დილის 6 საათზეც მოსულა და მძლოლებთან გასაუბრების დროს ყოველთვის გამონახავდა. ერთ დღეს კაბინეტში გამომიძახა და ლენინგრადიდან ახლად ჩამოსულს დაწვრილებით გამომკითხა ხანარმოს დირექტორის ანტონ კეჭყემაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასეთ გულისხმიერებას და ყურადღებას ბატონი კარლო სხვების მიმართაც ამჟღავნებდა. იგი მუშაობაში სტიმულს აძლევდა არა მარტო ხელმძღვანელ მუშაკებს, არამედ უბრალო ადამიანებსაც. მახსოვს, დიდთოვლობის დროს ქუჩების გასანმენდად დასაქმებულ ტრაქტორის მძლოლს უთენია რომ გვერდით მიუჯდებოდა ძარაში და თან საჭმელ-სასმელსაც თვითონ მიანოდებდა. ასეთი მაგალითი ხომ იშვიათობას წარმოადგენს. მას არასო-

დეს გამოეპარებოდა თვალთახედვიდან ადამიანის კარგი თვისებები და ამის მიხედვით სათანადოდ აფასებდა კიდევ.

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში წლების მანძილზე ვიყავი არჩეული ადგილკომის, ხოლო შემდეგ პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო მედლით დასაჯილდოებელთა სიაში, მიუხედავად წინასწარი მითითებისა, გარკვეული მიზეზით არ შევიტანე ჩემი თავი. მან კი ამის გამო ძალიან მისაყვედურა. მსგავსი მოგონებები ამოუნურავია. მისი დასახურების შესახებ ცალკე წიგნიც შეიძლება დაინეროს. დღესაც გული მტკივა, რომ ბატონ კარლოს სასაფლაო მავანთა მიზეზით დიდი დაგვიანებით გაკეთდა. პერიოდულად, ამ სასაფლაოს მონახულებაც ჩვენი ვალა.

ბატონ კარლოს ხსოვნის უკვდავსაყოფად დღემდეც ნამდვილად უნდა გაკეთებულიყო რაიმე, მაგრამ როგორც ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ალბათ, ბატონ დავითს რომ არ გამოეჩინა დაინტერესება, დღევანდელი დაუვინყარი ღონისძიება ვინ იცის როდის ჩატარდებოდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის!

ყველაფერს

თავისი ადგილი ჰქონდა

ყოველ ადამიანს აქვს თავისი წმინდათანწმინდა ადგილი, დღე, რელიქვია, რომელსაც მოკრძალებით ეთაყვანება. ასეთია ჩემთვის ყმანვილქალობის ქალაქი ტყიბული, ამ ქალაქში შრომით გავლილი პატარა, მაგრამ ნათელი გზა და ჩემი ტყიბულელები!

გულითადად მოგესალმებით ყველას. ეს დღე გამოხატავს მე-შახტეთა ქალაქის სახელოვანი ტრადიციებისა და ქალაქის ერთ-ერთი აღმშენებლის ბატონი კარლო ლომაძის ხსოვნის პატივისცემას.

მე ახალბედა მასწავლებელი გახლდით მაშინ, როცა ტყიბულს ბატონი კარლო თავკაცობდა; ქალაქი საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა, შრომას, სპორტს, კულტურას, განათლებას, ჭირსა თუ ლხინს ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

1967 წელს მთელი საქართველო აღნიშნავდა დიდი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ტყიბული არასდროს ჩამორჩებოდა რესპუბლიკის სადღესასწაულო თუ შრომით ზეიმებს და იმ დროსაც, რუსთაველის იუბილის ღირსეულად ჩასატარებლად, სახალხო თეატრისადმი დახმარების მიზნით დედაქალაქიდან მოიწვია ცნობილი რეჟისორი, რუსთაველის თეატრის მსახიობი ვალიკო დოლიძე, როგორც ყოველთვის, ახლაც მთელი ქალაქი ჩაება ჭეშმარიტად სახალხო ზეიმის მომზადებაში.

იმ დროს ქალაქის მეორე საშუალო სკოლაში ვმუშაობდი. ერთ დღეს სკოლის დირექტორმა, ბატონმა ამბროსი ბოჭორიშვილმა (მე დიდი პატივისცემით მოვიხსენიებ მის სახელს) გამომიძახა და მითხ-

რა, რომ ბატონი კარლო ლომაძე მიბარებდა. მასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ბატონი კარლოს სურვილი იყო შემესრულებინა სპექტაკლ „რუსთაველში თამარ მეფის როლი; შევცბი და უარით ვუპასუხე, რადგან ეს ჩემთვის იყო დიდი პატივიც, ნდობაც და უდიდესი პასუხისმგებლობაც, რაც მაშინებდა, მაგრამ დავალება იმდენად კატეგორიული იყო, ოჯახის წევრებმაც მთხოვეს მიმელო ეს წინადადება და მეცადა ამ დიდებული როლის ღირსეულად შესრულება. ასე აღმოვჩნდი ტყიბულელების რძალი, დამწყები პედაგოგი თამარ მეფის როლში. ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამ სპექტაკლში თამარ მეფის სახის განსახიერებით მაყურებლისგან დიდი მხარდაჭერა და სიყვარული მივიღე. ზეიმზე ჩამოსულმა თეატრმცოდნეებმა აღიარეს, რომ ჩემზე დაკისრებული ნდობა სრულად გავამართლე. ამის გამო დავიმსახურე დიდი მადლობა ბატონი კარლოსა და მთელი ქალაქის მშრომელებისაგან. ეს არც ისე ადვილი იყო, რისთვისაც დღემდე მადლობელი ვარ ბატონი კარლოსი. სპექტაკლში მონაწილეობით მიღებული ამაღლებული განწყობა, სინმინდე და სინათლე დღემდე ავსებს ჩემს ცხოვრებას. წლები მიდის, სულიერი კმაყოფილება კი არა თუ მცირდება, პირიქით – იზრდება...”

მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ გივი გენაძეს, რომ მომცა საშუალება „ოკრიბის“ ფურცლებიდან მომეგონებინა ჩემი ცხოვრების ეს ძალზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი და გამომეხატა მონინება საყვარელი ქალაქისადმი.

ნუ მოგკლებოდეთ სილალე და სილამაზე ძვირფასო ტყიბულელებო. ეს ღონისძიება ყოფილიყოს ახალი წარმატების სანწყისი და აღმასვლის სანინდარი თითოეული თქვენგანისა და მთელი ქალაქისათვის. ამის იმედი გაზეთ „ოკრიბის“ უკანასკნელი ნომრის გაცნობამაც ჩამინერგა.

თინა მგალობლიშვილი
ტელევიზიის ნამყვანი, საქართვე-
ლოს დამსახურებული არტისტი

„ეს ნამდვილად ასე იყო“

ახლა ზღაპარივით მახსოვს, თუმცა ეს ზღაპარი არავის შეუთხზავს, ყველაფერი ნათლად შემორჩა მეხსიერებას.

ბოლნისის რაიონი საკმაოდ რთული რეგიონია. დასახლებული შემორჩენილი გერმანელებით, ძირითადად აზერბაიჯანელებით, სომხებით, ბერძნებით, რუსებით და ქართველებითაც. ომის შემდგომი წლებია. საყოველთაო გასაჭირი.

და აი, ბოლნისის რაიონში თავს იყრის ქართველი ინტელიგენციის ერთი გამორჩეული ნაწილი.

ჯანმრთელობის სფეროს ბ-ნი კაპიტონ ელიაშვილი უძღვება, კულტურას მიხეილ მგალობლიშვილი, ღვინის ქარხანას ივანე „ვანიჩკა“ კახიძე (დიდი მაესტროს ჯანსუღ კახიძის მამა) მასთან ერთად აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის მამა – გუგელი ჯაველიძე და კიდევ სხვა წარმოჩენილნი.

იქნებ, ამ ადამიანთა ბედიც იყო, რომ იმ პერიოდში – რაც ძალზედ მნიშვნელოვანია – ბოლნისის რაიონს ხელმძღვანელობს (რაიკომის მდივანი) დიდებული ქართველი, კრისტალური პიროვნება ბ-ნი კარლო ლომაძე. სწორედ მან შემოიკრიბა თავის გარშემო ეს ამაგდარი ადამიანები და გაიშალა მთელი ძალით მუხლჩაუხრელი შრომა. თანაბრად ვითარდებოდა ყველა სფერო. კულტურა-განათლება, ჯანდაცვა თუ სოფლის მეურნეობა.

თამამად შეიძლება ითქვას, ბ-ნი კარლო ლომადის პერიოდში ბოლნისი იქცა ერთგვარ კულტურულ ცენტრად, ამიტომაც სტუმრობდნენ აქ ხშირად ჩვენი ხელოვნების კორიფეები – აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, თამარ ქავჭავაძე და რომელი ერთი!

აქვე მაგონდება ბ-ნი კარლოს არაჩვეულებრივი, დარბაისული, ქართული ოჯახი, სათნო ქ-ნი დეიდა თინა და სამი ქალიშვილი, მათ შორის ჩემი ბავშვობის მეგობარი ნანა ლომადე, ჩვენი პირველი ლექსები – საჯაროდ თქმული. მზადება ოლიმპიადისათვის და სწორედ აქ, ჩვენს შორის პატარა აზერბაიჯანელი ბიჭი, რომელიც მშვენივრად მეტყველებდა ქართულად და მან ლექსის დასასრულს – ბავშვური მიამიტობით დააყოლა: – მე ისეთი კეთილი ბიჭი უნდა გავიზარდო, როგორც ძია კარლოაო. ამას ბუნებრივია დარბაზის საოცარი რეაქცია მოყვა. აი, ეს იყო სრული სიმართლე პატარას ენით ნათქვამი და როგორც ითქმის ყველა სიკეთე სათავიდან მოდის, სწორედ კარლო ლომადის სათნოება, განსწავლულობა, განსაკუთრებული კეთილშობილება საქმისადმი უზომო თავდადება და რაც დღევანდელ დღეს დაუფერებლად ჟღერს უსაზღვრო პატიოსნება იძლეოდა სტიმულსა და ასპარეზს, დიდსა თუ პატარას ეკეთებინა თავისი საყვარელი საქმე.

ყველა სიკეთე, სიყვარული, ეს საოცარი ურთიერთობები გნებავთ სხვადასხვა ეროვნებათა შორისაც, უპირველესად ბ-ნი კარლო ლომადის დამსახურება იყო.

ამიტომაც ეს პერიოდი თამამად შეიძლება ბოლნისის რაიონის „აღორძინების ხანად“ ჩაითვალოს.

დასაწყისში ვთქვი არ შემითხზავს, ეს ზღაპარი ნაღდი იყო მეთქი, დღევანდელი მკითხველისათვის. ბ-ნი კარლო ლომადის პიროვნება (ასეთი რაიკომის მდივანი?) ალბათ ზღაპრადვე დარჩება.

ქვეყნისა და კაცის მოყვარული

ბატონი კარლო ლომაძე იყო უდიდესად გულისხმიერი ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი, როგორც ადამიანის ასევე ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში.

16 წლის ვიყავი როდესაც საქართველოს ჭაბუკათა ნაკრებს ინციდენტი შეემთხვა რუსეთში. ამ ინციდენტის გამო მე გაურკვეველი დროით ამეკრძალა ფეხბურთის თამაში, რის გამოც იძულებული გავხდი დამეტოვებინა თბილისი და დავბრუნებულიყავი ტყიბულში. ეს ამბავი რა თქმა უნდა გაიგო ბატონმა კარლომ, რომელმაც დამიბარა კაბინეტში და დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი. იქვე დაუძახა პროკურორს და სთხოვა დამხმარებოდა. პროკურორმა ახსნა, რომ მე თუკი ჩვენებას მივცემდი რუსეთიდან ჩამოსულ გამომძიებელს შეიძლება პირობითი სასჯელი გამოეტანა სასამართლოს. ამიტომ გადაწყვიტეს დროებით ნაქერალას დასასვენებელ სახლში გადავმალულიყავი. მართლაც ორი თვის შემდეგ დამიძახეს და მითხრეს ყველაფერი კარგად არის, მუშაობას დაიწყებ აგურის ქარხანაში ზეინკლად დღის პირველ ნახევარში, ხოლო საღამოს ვარჯიშებზე ივლიო. ბატონი კარლო ხშირად ესწრებოდა ვარჯიშებს, რამდენიმეჯერ დამიძახა და გამამხნევა, რომ გული არ გამტეხოდა. ნელინადნახევრის შემდეგ მართლაც დამრთეს ნება, რომ მეთამაშა ტყიბულის მეშახტეში. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა. ავად გავხდი, ვარჯიშზე მოსულა, უკითხავს ვინ გვაკლიაო, უთქვამთ ბადრი ავად

„კაცი იყო კაცური“

საბჭოთა კავშირის ცალკეული რაიონების, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაში წამყვანი როლი ეკავა პარტიის რაიონულ კომიტეტს, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რაიონული კომიტეტის პირველ მდივანს. ჩვენს რესპუბლიკაში იყო რამდენიმე გამორჩეული რაიონი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკავათ და მის სახეს განსაზღვრავდნენ.

ასეთი რთული და მრავალდარგოვანი რაიონი გახლდათ ტყიბული, სადაც მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მთავარ დარგებად მოიაზრებოდა. მრეწველობაში მთავარი დარგი გახლდათ ქვანახშირის მოპოვება და აქედან გამომდინარე შახტმშენებლობა. ასევე ვითარდებოდა საბინაო მშენებლობა, სასკოლო და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობა.

ტყიბულის რაიონს, მრავალი წლის განმავლობაში უძღვებოდა საღი ჭკუისა და კაცური თვისებებით ჭარბად დაჯილდოებული პიროვნება კარლო ლომაძე, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ტყიბულის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებისათვის.

ბატონი კარლო ლომაძის პირადი ინიციატივით არაერთი წამოწყება დაგვირგვინებულა, მოსახლეობის საკეთილდღეოდ. შენდებო-

და საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბალები, მუსიკალური სასწავლებლები და სპორტული მოედნები.

მახსენდება როგორ გადაიქცა მეშახტეთა ქალაქში ძველი სათამაშოდ უვარგისი სტადიონი, ერთერთ ულამაზეს სტადიონად. ანდა სოფ. ხრესილში სარეკორდო დროში (40 დღეში) აშენებული ოთხსართულიანი საშუალო სკოლის შენობა.

არ შევცდები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ტყიბულის რაიონის წარმატებებში, ლომის წილი ეკავა უზადო ქართველს – კარლო ლომაძეს, კაცს რომლის ღვანლითა და საქმიანობით ამაცობენ მისი თანამედროვენი. მისი ცხოვრება მაგალითია მომავალი თაობისთვის.

ტყიბულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი, დამსახურებული მასწავლებელი

პატარავის დიდი ქომაგი და მემოზარი

დგას ამაყად ტყიბულის შუაგულში, თეთრი მაღალსვეტებიანი სასახლე, „პატარავის სამეფო, სათნოების ტაძარი“, როგორც მას ჩვენი ქალაქის მკვიდრმა ნიჭიერმა შემოქმედმა ვ. სამსონიძემ უწოდა. რამდენი თაობა აღიზარდა ამ ტაძარში, რამდენს უგრძვნია მისი სიტბო, რამდენ ათასს დახმარებია პროფესიის არჩევაში, მის დაუფლებაში და რა დიდი პატივისცემის ღირსნი არიან ისინი, ვინც არ იშურებს დროს, ენერგიას, სიტბოს, რომ ბავშვებს ჩაუნერგოს სიყვარული მშობელი მხარისადმი, სამშობლოსადმი.

სწორედ ამ დიდი პატივისცემის გრძობითა და სიყვარულით მოიხსენიებენ დღეს ტყიბულელები იმ ადამიანს ვინც პატარავს საჩუქრად უძღვნა ეს ლამაზი შენობა და გზა გაუკაფა მშვენიერებისაკენ. ნებისმიერი ტყიბულელი დაუფიქრებლად გეტყვით ამ ადამიანის სახელს – კარლო მელიტონის ძე ლომაძე – ბავშვების დიდი მემოზარი და მოამაგე – ასე შემორჩა იგი ჩვენს მეხსიერებას.

დიდია მისი დამსახურება ტყიბულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. დავინყოთ თუნდაც იქიდან, რომ მისი ინიციატივით მოეწყო სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიები, შეივსო საჭირო ინვენტარიტა და თვალსაჩინო მასალებით, კეთილმოეწყო სააქტო დარბაზი და სცენა, თან-

დათანობით გამდიდრდა სასახლე ყველა იმ მასალით, რაც ესოდენ საჭირო იყო ბავშვთა სულიერი და ესთეტიკური აღზრდისათვის. ყოველ წელიწადს ინერგებოდა სიახლეები წრეობრივ მუშაობაშიც.

მაგონდება ერთი ეპიზოდი, კარლომ თავისთან მიმინვია და მკითხა, შეგვიძლია თუ არა სასახლეში თოჯინების თეატრის ჩამობოყალიბება, პასუხს არ დაელოდა და შემომთავაზა, რაც დაგჭირდებათ დახმარებას არ მოგაკლებთო.

შევარჩიეთ ნორჩი სცენის მოყვარულები, შევიძინეთ თოჯინები, დამზადდა დეკორაციები, სულ მალე პატარა მაყურებელს ვუჩვენეთ პირველი თოჯინური სპექტაკლი მ. თარხნიშვილის „გულადი ღიღველა“, რომლის დადგმა განახორციელა სახალხო თეატრის მსახიობმა რევაზ ჟორჟოლიანმა.

ასევე მისი თაოსნობით უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ბავშვთა სასულე ორკესტრი და საბალეტო დასი, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ნ. პანამარიოვი და ე. მორევა.

მისი მზრუნველობა სასახლისადმი და ტყიბულელი ახალგაზრდობისადმი საერთოდ. ამით არ დამთავრებულა უშუალოდ მისი ხელშეწყობითა და დახმარებით შეიქმნა ქალაქში მომღერალთა გუნდი და ქორეოგრაფიული ანსამბლი, წარმატებით მუშაობდა სახალხო თეატრი.

იგი სისტემატიური სტუმარი იყო მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების საქალაქო დათვალიერებებისა. ერთერთ დათვალიერებაზე აღფრთოვანებულმა მაჯის საათი მოიხსნა და ნორჩ დეკლამატორს დარეჯან გვენცაძეს აჩუქა.

კიდევ ბევრი რამის მოგონება შეიძლებოდა პატარების ამ დიდ მეგობარზე.

მადლიერი ტყიბულელები ვერ ივინყებენ კარლოს სახელს, მის ღვანლს ტყიბულისა და ტყიბულელი ახალგაზრდობისადმი. მისი მოგონება ჩვენს შემდგომ თაობებსაც ჩაუქრობელ კანდელად გაჰყვება.

კარლო ლლონიტი

რესპუბლიკის დამსახურებული
მოღვაწე, წმინდა ანდრია პირველ-
წოდებულის ორდენის კავალერი

საქართველოს ღირსეული შვილი

დღეს 2008 წლის ივლისია, ვცხოვრობ სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქუჩაზე, არქიტექტორების სახლში, რომელიც მზიურს გადაჰყურებს. ვერეს ხეობის ეს მონაკვეთი, სადაც მზიური გაშენდა, გადმოსვლისთანავე ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა – დილის 7 საათზე ყოველთვის იქ ვიყავი და ვვარჯიშობდი, 10 საათზე კი, სამსახურში... მაშინ სტადიონი არ გვექონდა; ახლა, პატარა სტადიონი აგვიშენეს, საიდანაც გვიან ღამემდე ფეხბურთის მოთამაშეების და მათი ქომაგების თავგამოდებული ყიჟინა ისმის... ეს ხმაური ჩემს ბავშვობას მაგონებს, მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეებს – მე-18 სკოლაში ვსწავლობდი, ახლანდელი ფილარმონიის გვერდით. 1942-ში პირველი დაჭრილი მებრძოლები რომ გამოჩნდნენ თბილისში ჩვენს სკოლაში სამხედრო ლაზარეთი გახსნეს, ჩვენ კი 25-ე სკოლაში გადაგვიყვანეს, ბარნოვის ქუჩაზე, დღევანდელი 53-ე სკოლაში... ახლაც მახსოვს როგორ გადაგვექონდა პატარა ბიჭებს ჩვენივე მერხები. მძიმე დრო იყო... პურის ტალონები, ჩაბნელებული ქუჩები...

იმხანად დეიდაჩემი ბოლნისში გადაიყვანეს სამუშაოდ. მანამდე კი, ჩემი დეიდაშვილი ჩვენთან იზრდებოდა და დედაჩემმა გადანყვიტა, დროებით ჩვენც ბოლნისში გადავსულიყავით. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან თბილისიდან წასვლა არ მინდოდა, ისე შევეჩვიე

ბოლნისს, იმდენად სასიამოვნო წრეში აღმოვჩნდი, რომ უკან დაბრუნება გამიჭირდა კიდეც.

ჩასვლითანავე ჩემი ყურადღება მიიქცია უბრალო აფიშამ, რომ შაბათს ამა და ამ რიცხვში, ქალაქის კინოთეატრში შედგებოდა შეხვედრა მიხეილ ჭიაურელთან, რომელიც იმხანად „გიორგი სააკაძეს“ იღებდა. მე უკვე ნაკითხული მქონდა სიმონ ქვარიანის ცნობილი რომანი გიორგი სააკაძეზე და დავინტერესდი. მივედი დანიშნულ დროს, თითქოს ჩემს მოსვლას ელოდებოდნენ, სინათლე ჩააქრეს და ძლივს მოვძებნე თავისუფალი ადგილი.

შავ მასალას უჩვენებდნენ, სხვადასხვა ეპიზოდებს... მახსოვს პირველი კადრები: გიორგი შავგულიძეს დაჭრილი მეომრები გადმოჰყავდა ურმით... შემდეგ ლიანა ასათიანის შეხვედრა სპარტაკ ბალაშვილთან – ლუარსაბ მეფესთან და ბრძოლის რამდენიმე ფრამენტი... 40 წუთში დამთავრდა ჩვენება. ხალხი ტაშით შეეგება მიხეილ ჭიაურელს და უცებ, მის გვერდით ჩემი ბავშვობის მეგობარი – მედეა მგალობლიშვილი დავინახე. იმხანად ის ძალზე პოპულარული იყო, როგორც ხელოვნების დეკადის დამსწრე. ნამოვხტი, მივვარდი და გადავეხვიე.

მაშინ პირველად ვნახე ძია მიშა, მედიკოს მამა – ბოლნისში სახალხო თეატრის დამაარსებელი და საერთოდ ხელოვნების ცნობილი მოღვაწე და ქომაგი, მიხეილ მგალობლიშვილი. იმ დღიდან, ძია მიშას ზრუნვა და სიყვარული არ მომკლებია. როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, იმხანად თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონია. შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა და კულტურის სამინისტროში დაინიშნა მუშაობა, საიდანაც კინო-სტუდია „ქართულ ფილმში“ გადაიყვანეს სასცენარო განყოფილების უფროსად. შვილები: ულამაზესი მედიკო ცნობილი ექიმი გახდა, რატომღაც ხელოვნებას არ გაჰყვა;

მაშებოდით, როგორც მეგობარს – თითქოს სავარჯიშოდ ვიყავით გამოსული. ისინი კი, თავს არ ზოგავდნენ და გონს რომ მოვედით, ვხედავთ 2 : 0-ია მათ სასარგებლოდ. ავთამამდით, თუმცა გვიან იყო: მართალია ორივე ბურთი გავუჭვითეთ, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლოს ერთი ბურთი კიდევ გაგვიტანეს და 3 : 2 მოგვიგეს.

მახსოვს მოედნიდან რომ გავდიოდით, მათი ქომაგი სომეხი ეროვნების მაცურებლები გვლანძღავდნენ, გვაგინებდნენ... მე კი, როგორც კაპიტანს რალაც საგანი მომხვდა კეფაში. ხელი მოვისვი და ვნახე, სისხლი მდიოდა. ეს კი ველარ მოითმინეს ჩვენმა ბიჭებმა, გადავეშვით მაცურებლებში და ისეთი ბრძოლა გაიმართა, სომეხ-ქართველთა 1918 წლის ომი გეგონებოდათ. ბოლოს მილიციამ გაგვაშველა.

მეორე დილით სომეხების დელეგაცია მომადგა სახლში, აღმოჩნდა, რომ მათი რამდენიმე ფეხბურთელი და მაცურებელი მილიციას დაეკავებინა. მთხოვეს, ბატონ კარლო ლომაძესთან უნდა შეხვიდე და გვიშველო. მეორე დილით, ესე იგი ორშაბათს, 10 საათზე უკვე ბატონ კარლოსთან ვიყავი. მომაცოლა რაც მოხდა და მეც გულწრფელად ვუამბე ყველაფერი. ჯერ გაბრაზდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი თქვა, გამწვავება არ ღირსო. სალამოს 5 საათზე ორივე გუნდი უკლებლივ და რამდენიმე მაცურებელი უკვე მის კაბინეტში ვისხედით. მოგეხსენებათ, ბოლნისი რთული რაიონი იყო, მრავალი ეროვნების მაცხოვრებლებით – ქართველებით, აზერბაიჯანელებით, სომეხებით, ბერძნებით – მათ შორის არც ისე იშვიათი იყო უთანხმოება და ქიშპი. ბატონი კარლო დიდხანს გველაპარაკა თითოეული ერის ისტორიაზე. კულტურაზე, ზნე-ჩვეულებებზე. ცდილობდა, რომ ჩვენში ურთიერთპატივისცემა გაეღვიძებინა და მოგვინოდა ერთმანეთის ენა გვესწავლა. მე, ჯერ კიდევ თბილისში ვლა-

მაშეზოდით, როგორც მეგობარს – თითქოს სავარჯიშოდ ვიყავით გამოსული. ისინი კი, თავს არ ზოგავდნენ და გონს რომ მოვედით, ხედავთ 2 : 0-ია მათ სასარგებლოდ. ავთამამდით, თუმცა გვიან იყო: მართალია ორივე ბურთი გავუქვითეთ, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლოს ერთი ბურთი კიდევ გავგიტანეს და 3 : 2 მოგვიგეს.

მახსოვს მოედნიდან რომ გავდიოდით, მათი ქომაგი სომეხი ეროვნების მაყურებლები გვლანძღავდნენ, გვაგინებდნენ... მე კი, როგორც კაპიტანს რალაც საგანი მომხვდა კეფაში. ხელი მოვისვი და ვნახე, სისხლი მდიოდა. ეს კი ველარ მოითმინეს ჩვენმა ბიჭებმა, გადავეშვით მაყურებლებში და ისეთი ბრძოლა გაიმართა, სომეხ-ქართველთა 1918 წლის ომი გეგონებოდათ. ბოლოს მილიციამ გავვაშველა.

მეორე დღით სომეხების დელეგაცია მომადგა სახლში, აღმოჩნდა, რომ მათი რამდენიმე ფეხბურთელი და მაყურებელი მილიციას დაეკავებინა. მთხოვეს, ბატონ კარლო ლომაძესთან უნდა შეხვიდე და გვიშველო. მეორე დღით, ესე იგი ორშაბათს, 10 საათზე უკვე ბატონ კარლოსთან ვიყავი. მომაცოლა რაც მოხდა და მეც გულწრფელად ვუამბე ყველაფერი. ჯერ გაბრაზდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი თქვა, გამწვავება არ ღირსო. საღამოს 5 საათზე ორივე გუნდი უკლებლივ და რამდენიმე მაყურებელი უკვე მის კაბინეტში ვისხედით. მოგეხსენებათ, ბოლნისი რთული რაიონი იყო, მრავალი ეროვნების მაცხოვრებლებით – ქართველებით, აზერბაიჯანელებით, სომეხებით, ბერძნებით – მათ შორის არც ისე იშვიათი იყო უთანხმოება და ქიშპი. ბატონი კარლო დიდხანს გველაპარაკა თითოეული ერის ისტორიაზე. კულტურაზე, ზნე-ჩვეულებებზე. ცდილობდა, რომ ჩვენში ურთიერთპატივისცემა გაეღვიძებინა და მოგვინოდა ერთმანეთის ენა გვესწავლა. მე, ჯერ კიდევ თბილისში ვლა-

პარაკობდი ცოტ-ცოტას სომხურად. საბოლოოდ ბატონი კარლოს რჩევის შემდეგ მოვინდომე და შევუდექი სომხური ენის შესწავლას. ეს მერე არაეთხელ გამომადგა ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი, 40 წლის შემდეგ, როდესაც სატელევიზიო ფილმების სტუდიაში ვმუშაობდი კინორეჟისორად. 1979 წელს კულტურის სამინისტრომ მიგვაგვლინა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლოს-ანჯელესში ყოფნისას, ერთ-ერთ სტუდიაში დაგვპატიჟეს, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ირეოდა. გავიცანი რუსი ქალბატონი, რომელიც მასპინძელი აღმოჩნდა. გამოველაპარაკე იქაურ ქართველებზე (ვეძებდი ცნობილ ხელოვნებათმცოდნე ვახტან ჯობაძეს, რომელიც ჩემდა სამწუხაროდ ტაო-კლარჯეთში აღმოჩნდა ექსპედიციაში) და მიპასუხა, ქართველი აქ არავინ მეგულება, მაგრამ თუ გინდათ სომხებს დავურეკავო. დარეკა და 20 წუთში ისინიც მოვიდნენ: ერთ ედიკა ერქვა, მეორეს – სეროჟა. შემოსვლისთანავე სომხურად მივესალმე – ბარეჲ ძეზ, ვორდიაცეჲ-მეთქი, სადაურები ხართ ერთი ზანგეზურიდან აღმოჩნდა, მეორე – ერევნიდან. მოკლედ მას შემდეგ აღარ მოგვცილებიან, დიდი სიყვარული და პატივისცემა გვაგრძნობინეს. აი, სად გამომადგა ბატონი კარლოს რჩევა.

კარლო ლომადე სულ იმის ცდაში იყო, რომ ქართული სული დაებრუნებინა საქართველოს ამ უძველეს ქალაქსა და სოფლებში, მხარეში ამოიყენა ჩვენი ძია მიშა, ბატონი მიხეილ მაგალობლიშვილი, და ჯერ ქართული სახალხო თეატრი დაარსა, შემდეგ ქართული მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ანსამბლი, რომელსაც ცნობილი ლოტბარი ბატონი კუკური აბაშიძე ჩაუდგა სათავეში. თეატრში ძირითადად ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები იდგმებოდა. ნამყვან როლებს ადგილობრივი მაცხოვრებლები ასრულებდნენ. თბილისიდან მოწვეული სტუმრები მართავდნენ კონცერტებს და სალა-

მოებს, კითხულობდნენ ლექციებს (მათგან გამორჩევით დამამახ-სოვრდა გამოჩენილი ქართველი დრამატურგის – პოლიკარპე კაკაბაძის საუბრები და ცნობილი რეჟისორის საშა მიქელაძის კონსულტაციები). კინო-თეატრებში კი კინოსტულია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებს უჩვენებდნენ.

ყველაფერმა ამან შედეგი გამოიღო – რაიონში, სადაც სულ რამდენიმე ქართული სოფელი იყო – რაჭის უბანი, ტანძია, რატევანი, წითელსოფელი – ვკლავ აულერდა ქართული სიტყვა.

კარლო და თინათინ ლომაძეების ოჯახთან უკვე ბოლნისიდან ვმეგობრობდი, ხოლო მათ ქალიშვილთან – ნანა ლომაძესთან – 30 წელი ვიმუშავე საქ-ტელე-რადიო სახელმწიფო კომიტეტში, სადაც ის ეკონომიკურ სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ბატონმა კარლომ 33 წელი შეალია საქართველოს ეკონომიკის შენებას და მისი ნაყოფიერი და მრავალმხრივი შრომა გმირის წოდებით აღინიშნა.

მისი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები კი ინტელიგენციის ის ნაწილია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მამა-პაპის დანაბარებს.

კაცი, რომელიც ახსოვთ...

ოკრიბა, ანუ ტყიბულის რაიონი, საქართველოს ულამაზესი კუთხეა, რომლის განაპირას, ნაქერალას ქედის ძირში, მეშახტეთა ერთ დროს ულამაზესი ქალაქი ტყიბული მდებარეობს.

ოკრიბელი კაცი ვარ და უმაღლესის დამთავრების შემდეგ, ტყიბულის რაიონში გამანაწილეს. ეს პერიოდი დაემთხვა მოსკოვის ეკონომიკურ მათემატიკურ ინსტიტუტში ასპირანტურაში გამოცდების ჩაბარების დროს, სადაც საბუთები უკვე გავზავნილი მქონდა, საჭირო იყო ტყიბულში ჩემი ჩასვლა, რომ განაწილების ადგილიდან განვთავისუფლებულიყავი, აქ შევხვდი პარტიის ქალაქკომის პირველ მდივანს ბატონ კარლო ლომაძეს, რომლის მშვენიერი ქალიშვილი – ნანა ჩემი კურსელი იყო. – შენს ანკეტაში წავიკითხე, რომ ინსტიტუტში აქტიური კომკავშირელი ყოფილხარ. იქნებ კომკავშირის ქალაქკომში დაიწყო მუშაობა, მეორე მდივნის ადგილი გვაქვს, რამოდენიმე თვეში შეიძლება პირველ მდივანადაც დანიშნულდე. აქაური კაცი ყოფილხარ და ამ კუთხით უფრო გამოადგები შენს რაიონში – მითხრა მან.

წინადადება მართლაც მომხიბლავი იყო, როდესაც გაიგო თუ რა გეგმები მქონდა, მამაშვილურად გამილიმა და მითხრა:

– შენ ალბათ სწორი ხარ, ცხადია ის გზა ჯობია. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, კიდევ რომ გაუკეთებია შეთავაზება, შეიძლება დავთანხმებულიყავი, მაგრამ ბრძენი კაცი იყო და გზა არ გამიმრუდა, თუმცა ვინ იცის...

მოგვიანებით, როდესაც სოხუმში სუბტროპიკული მცენარეების ინსტიტუტის რექტორად ვმუშაობდი, მეგობართან – გენო მაქაცარიასთან ერთად მატარებლით მოსკოვში ვიმგზავრეთ. მე ცხადია მატარებელს სოხუმში დავხვდი. დილით როდესაც საუზმე გავანყვეთ, მეგობარი მეუბნება:

– კარგი სუფრა გამოგვივიდა, ჩვენი ვაგონით ვასილ მჭავანაძე მეგობართან ერთად მგზავრობა, ხომ არ დავპატიჟოთ!

ასე აღმოჩნდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ყოფილი პირველი მდივანი თავის მეგობართან ერთად ჩვენს „სუფრაზე“. როდესაც გაიგო, რომ წარმოშობით ტყიბულელი ვარ, თქვა: ტყიბულში ქალაქკომის პირველ მდივნად სპეტაკი და გამრჯე კაცი მუშაობდა კარლო ლომაძე, მან ბევრი რამ გააკეთა, ტყიბული ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქი იყო საქართველოში... ნეტავი თუ ახსოვთ ტყიბულელებს ეს ამაგდარი კაცი?!

ეს შეკითხვა დასვა კაცმა, რომელმაც საქართველოსათვის ბევრი რამ გააკეთა, ქართველებმა კი მისი სიკეთე დაივიწყეს...

ახლა უკვე იმ ქვეყნად მყოფთ აქედან მინდა ვუთხრა: „ახსოვთ, ბატონს ვასილ კარლო ლომაძე ტყიბულელებს, თქვენც ახსოვხართ ქართველებს, კარგი საქმის მკეთებელ ადამიანებს, ხალხი გვიან ამჩნევს ხოლმე, მაშინ როდესაც სხვასთან შედარების საშუალება ეძლევათ“.

კიდევ ბევრი კარგი კაცი ახსოვთ წარსულიდან ქართველებს, და რომ ახსოვთ, ეს "იმათი" დამსახურებაა, მათ რიგშია ბატონი კარლოც.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს უფალმა მათი სულები.

„ლეგენდად დარჩეს“

ბატონი კარლო, ჩვენთვის ნათესაობაში შინაურულად კარლო ბიძია, იმ განსაკუთრებულ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლის ქვეშარიც ფასს მაშინ ხვდები, როცა ის შენთან აღარ არის...

უფრო სწორად, ვინ იყო, რა კაცი დადიოდა ჩვენს შორის მაშინ გვეგონა, რომ ვიცოდით... მაგრამ მისი ნასვლით იმაზე მეტი დავგაკლდა, ვიდრე წარმოდგენა შეგვეძლო... მთელი ნათესაობის სული და გული უანგაროდ თანამდგომი და განმკითხავი, მოსიყვარულე და მოალერსე.

როცა კაცობაში ფეხი შევდგი აღმოვაჩინე, რომ იგი ასეთი მართო ჩვენი ნათესაობისათვის არ ყოფილა... მთელი საქართველოსთვის იყო!

ყველგან სადაც კი იმუშავა, იღვანა, გული და სული ჩადო, კაცურ-კაცობის, სიყვარულის კვალი დატოვა... ყველგან დაუფასეს, შეიყვარეს, მხარდაჭერა და სამაგიერო სიყვარული შეაგებეს...

მაგრამ მისგან გაღებული სხვა სინჯის, ბაჯალლო ოქრო... ის სხვანაირად უშურველად და ლამაზად იხარჯებოდა სხვებისთვის... და ეს დიდი ქართული ნიჭის, კაცობის ნიჭის გამოვლინება იყო!

ერთი „სისუსტე“ ჰქონდა... ფეხბურთი!

სადაც კი სამუშაოდ მივიდა, ყველგან ამ სიყვარულს ხარკი გადაუხადა... დღესაც კი ახსოვთ ქართული ფეხბურთის ქვეშარიც გულშემატკივართ ტყიბულის „მეშახტის“ მშვენიერი გუნდი, რომელიც კარგ, ქართულ ფეხბურთს თამაშობდა. ეს გუნდი საკავშირო

ჩემპიონატს შენვდა და კარგა ხანი იპყრობდა, არა მარტო რაიონის, არამედ მთელი ქართული სპორტული საზოგადოების ყურადღებას. ამ წარმატებების უკან კი კარლო ლომაძის მზრუნველობა და ორგანიზატორული საქმიანობა იდგა. დღეს, როცა ქართულ ფეხბურთს ისე აღარ უღხინს, ადვილად ვაცნობიერებთ, რომ სწორედ მისი დარი მეცენატების არარსებაა ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

მაგრამ კარლო ლომაძის მრავალმხრივობა მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულში ვერ ჩაეტეოდა. იმდროინდელი ტყიბული დაამშვენა სპორტულმა კომპლექსებმა, საცურაო აუზებმა...

სტაიერულ დისტანციებზე მოცურავეს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს სალნიკოვს იმდენად მოსწონდა ტყიბულის საცურაო აუზი, რომ ყველა მნიშვნელოვანი ასპარეზობისათვის მზადებას აქ გადიოდა. კარლო ლომაძისთვის ეს სიხარულის მიზეზი და ღვთის საჩუქარი იყო. ყურადღებას და მზრუნველობას როგორ მოაკლებდა ამგვარ სასურველ სტუმარს... ასე, ტყიბულში ეყრებოდა საფუძველი ცურვის მსოფლიო რეკორდებს... რომლებიც ათეულობით წლები შემორჩნენ მსოფლიო რეკორდების კლასიფიკაციაში.

მართლაც, ლამაზი სანახავი იყო იმდროინდელი ტყიბული და ამ სილამაზეს საოცრად შევნოდა კარლო ლომაძის სახელიც... ყოველ შემთხვევაში, ამგვარად ჩანდა დანარჩენი საქართველოდან მეშახტეთა ქალაქი მაშინ.

ბევრგან იმუშავა, მაგრამ მაინც იმ გულწრფელი და სპეტაკი კატეგორიებით აზროვნებდა ყმანვიკაცობიდან, რომ დაჰყვა. როცა ვინმესთან მოსიყვარულება უნდოდა გურულად მოუქცევდა და ამ მის „გურულში“ უნდა დაგენახა, ის სითბო რასაც შენთვის იღებდა. ერთადერთი გამოარჩევდა გურულისა და ზოგადად ქართველის მენტალობიდან – გერმანული სიზუსტე. საქმის დეტალებამდე კეთების

უნარი. ეს ის თვისება იყო, რასაც მისგან, ის დიდი საქმე ითხოვდა ქვეყნის და მოყვასთა სამსახურში დგომა, რომ ერქვა...

მისი კარიერა, რაც ზემოთ მიდიოდა გარშემომყოფებისათვის იგი უფრო მეტად თავმდაბალი და ყურადღებიანი ხდებოდა...

ინსტიტუტი ახალი დამთავრებული მქონდა, ჯერ არ ვმუშაობდი... რომ გაიგო იქვე გადაურეკა მურმან შუბითიძეს – კვების მრეწველობის მინისტრის მაშინდელ | მოადგილეს:

– ჩემი დისშვილი მოვა!

და მივედი... შემდეგ იყო პირველი სამსახური, მერე ასპირანტურა და მეცნიერების გზაზე შედგომა. ბავშვივით უხაროდა ყველა ჩვენთაგანის წარმატება...

ერთხელაც შევხვდი, კარგი, იმ დროს ჩვენი თაობისთვის მეტად „ძვირი“, მაგრამ სასურველი სიამოვნება ეცვა ტანთ. უხდებოდა კიდევ. გაშეხარებინა მინდოდა და ვუთხარი: კარლო ბიძია რა მაგარი რამე გაცვია. მაგრა გიხდება მეთქი.

ჰოო! თქვა და გაიხადა.

შენ უფრო მოგიხდებაო!

ვერაფრით გადავათქმევინე. ასეთი დიდი კაცი იყო და ასეთად დარჩა ჩემთვის.

სიკვდილმა მის სახელს რა უნდა დააკლოს, იგი იმ რჩეულთა შორისაა არდავინკების სამყაროს რომ ეზიარნენ...

როგორც ერთ ქართულ ლექსშია –

„ჩვენთვის შენ როგორ არა ხარ,

ჩვენ აღარა ვართ შენთვის“.

მართლაც, ჩვენთვის ის ყოველთვის იქნება... რადგან მისმა დატოვებულმა კაცობის მაგალითებმა და უშურველად გაღებულმა სიყვარულმა ლეგენდებად გარდაქმნის სიმაღლეებს უნია.

ბუმბერაზი მოღვაწე

როდესაც ბიძაჩემზე მოსაგონარი ნერილის დანერა გადავწყვიტე ცოტა არ იყოს დავიბენი, შეუძლებლად მომეჩვენა, რომ მრავალი ათეული წლების შთაბეჭდილებებს, რაც მე ამ ბუმბერაზმა ადამიანმა დამიტოვა, რამდენიმე გვერდიან მონათხრობში დავატევი.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არ ყოფილა ადვილი ჩვეულებრივი მოკვდავისათვის ძლიერი და სანუკვარი გრძნობების სრულყოფილად ახსნა, განმარტება, ქალაქზე გადატანა. განა არსებობენ სიტყვები, რომლებიც სრულიად გამოხატავენ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე საყვარელი და საპატივცემულო ადამიანის მიმართ შენს დამოკიდებულებას? ვერ ვპოულობ ასეთ სიტყვებს და არც მივირს, რადგან ამდენი წლების შემდეგაც, როცა ვიგონებ კარლო ლომაძის განვლილი ცხოვრების პერიპეტიებს, ჩვენს ურთიერთობას, ის უსაზღრო სიყვარული, რაც მის მიართ ბავშვობიდან მქონდა, კიდევ უფრო მიძლიერდება, ადამიანური სისუსტეები მძლევს და მეცრემლება, უნებურად ისევ ვეჭვები დიდი სინანულისა და ობლობის განცდის ტყვეობაში.

სინანული მიპყრობს იმისაც, რომ აღარ არიან ასეთი პიროვნებები, ასეთი სუფთა და სულით ხორცამდე პატრიოტი ხელმძღვანელები, ასეთი კაცები, ხაზს ვუსვამ-კაცები, ამ სიტყვის სრული და ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებული მნიშვნელობით, საქმეზე ასეთი თავგადასმკვდარი ადამიანები. არა და წინსვლა, უკეთესი ცხოვრების შენება ამ თვისებების გარეშე ხომ შეუძლებელია. ეს დამტკიცა კარლო ლომაძემ თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით, შე-

სანიშნავი მაგალითი დაგვიტოვა ყველას იმისა, რომ თუ ხარ ამ ქვეყანაზე, როგორი უნდა იყო.

კარლო დაბადებული იყო ხელმძღვანელად, ორგანიზატორად და ბედის განკითხვით მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იგი სწორედ იმ საქმეს აკეთებდა რისთვისაც უფალმა ღმერთმა ასეთი მომადლებული ნიჭით დააჯილდოვა. ეს საქმე კი იყო აღმშენებლობა, ადამიანებზე ზრუნვა, ეკონომიკის განვითარება, ყველგან და ყველგან სამართლიანობის დამკვიდრება, ნიჭიერი, წესიერი, პატიოსანი ადამიანებისათვის გზის გაკვლევა. ცოტა ვინმეს თუ შეუძლია იამაყოს ისეთი წარმატებით, რასაც კარლომ ამ ასპარეზზე მიაღწია.

დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როდესაც ყველას თავისი მიუზღვება, ამაგი დაუფასდება და ობიექტურად შეუფასდება ნამოღვაწარი, რადგანაც დღეს თითქმის ოფიციალურ კურსად არის მიღებული კარლოს ეპოქის ყველა ადამიანის ერთ კალათაში მოთავსება და ხელალებით მათი საქმიანობის მკვეთრად ნეგატიურად შეფასება. დილექტანტობად და უსინდისობად მიმაჩნია ეს, სიბრმავედ, სიბრიყვედ უცოდინრობადაც.

სიტყვამ მოიტანა და კარლოსგან გაგონილ ერთ თეზისს გავიხსენებ, რომელსაც სავსებით ვეთანხმები: მხოლოდ თავისი სისუსტეს, უძლურობას და არაკომპეტენტურობას ამჟღავნებს ის, ვინც თავისი პიროვნების წარმოჩინების და პირადი საქმიანობის გამართლების მთავარ იარაღად წინამორბედის კრიტიკას გაიხდის.

ასეა თუ ისე, მიმაჩნია, რომ კარლო ლომაძის ამაგი ქართველი ხალხის წინაშე დღემდე უსაფუძვლოდ მივიწყებული და დაუფასებელია. კითხვით ერთი ვინმე ბოლნისის, ქობულეთის და განსაკუთრებით ტყიბულის მკვიდრთ, ვინ იყო კარლო ლომაძე და რა იციან მის

შესახებ, ხალხში არაფერი იმალება, იგი ყველაზე ობიექტური შემფასებელია ყველასი და ყველაფრის.

რა დამავინყებს იმ არა ერთ შემთხვევას, როცა ტყიბულელები სრულიად სპონტანურად, ისე, რომ არც კი იცოდნენ ჩემი გვარი და კარლოსთან დამოკიდებულება, ალტაცებით იხსენებდნენ მას და მის დიდებულ საქმეებს. ჩემთვის ტყიბულელების მხრიდან ბიძაჩემის მისამართით ნათქვამი საქებარი სიტყვები არასდროს ყოფილა გასაკვირი და მოულოდნელი. გაკვირვებული და ემოციით აღსავსე ვარ ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა ასეთ სიტყვებს ვისმენ ახალგაზრდებისაგან, რომლებსაც კარლო ლომაძე თვალთ არ უნახიათ, მისი სიკვდილის შემდეგ არიან დაბადებულნი და მის შესახებ მხოლოდ გადმოცემით იციან.

მკითხველი ალბათ გამიგებს თუ ვიტყვი, რომ ასეთი წამები თუ წუთები ენით გამოუთქმელი სიამოვნების და ნეტარების მომტანები არიან და მე პირადად მათ ბედნიერების შეგრძნების იმ მცირერიცხოვან ეპიზოდთა შორის ვთვლი, რაც კი ცხოვრებაში ოდესმე განმიცდიდა.

ვიმეორებ, თუ ხარ და არსებობ, ასეთი კაცი უნდა იყო, როგორც კარლო ლომაძე იყო. ამიტომ იყო იგი ჩემთვის გამორჩეული, კუმირი, ყოველთვის და ყველაფერში მისაბაძი.

ძალიან გვიან, კარლოს ზეცაში აღზევების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემთვის სრულიად შეუმჩნეველად ბევრ რამეში დავემსგავსე კიდევაც ბიძაჩემს. მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, ნაწილობრივ ხასიათიც, მისი დამოკიდებულების სტილი ადამიანებთან, ახლობლებთან, პასუხისმგებლობის გრძნობა მოვალეობის მიმართ. საერთო ჯამში კი ღმერთმა დამიფაროს რამეში შევედარო კარლოს,

მის გვერდით დავაყენო ჩემი თავი. ათასჯერ უფრო დიდი პიროვნება და სასარგებლო იყო საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის.

როდესაც ადამიანზე წარსულ დროში დაინყებ ფიქრს, მაშინ უფრო ნათლად ხედავ მას, უფრო ობიექტურად აფასებ მის ნამოქმედარს, მეტ ფასს იძენს აგრეთვე ცალკეული ნიუანსები და ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან.

რომელი ერთი მოვიგონო, რომელს მივანიჭო უპირატესობა. ალბათ მაინც იმათ, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ძალიან კარგად მახსოვს ტყიბული, როდესაც კარლო იქ მიავლინეს ქალაქის ხელმძღვანელად (1956 წ.) ერთი დიდი სოფელი იყო ორსართულიანი ბარაკებით, ტალახიანი გზებით, ჭაობიანი ადგილებით. რამდენიმე წელიწადში სრულყოფილი ქალაქი გახდა, ერთ-ერთი მშენიერი საქართველოში. ადვილი სათქმელია: სოფელი გადაიქცა ქალაქად, მაგრამ გამოცდილი ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენი არაა რამდენი ჯაფის, ენერჯის და ნერვების ხარჯზე შეიძლება ამის გაკეთება. ქალაქის მშენებლობის უშუალო პროცესებს მე, რა თქმა უნდა, არ ვესწრებოდი, მაგრამ იმ დროინდელი კარლო კი კარგად მახსოვს. როგორი მონდომებული, თავგადადებული და ანთებული იყო, ყველაფერი პირადი გვერდზე გადადებული, ყინით, დიდი ინტერესით და უღევი ენერჯით დამუხტული.

ხალხში ამბობენ, ასეთი შემართებული კაცი მთას გადადგამსო; ხოდა სადაც საჭირო იყო გადადგა კიდეც, წყალს თავისი გზა მისცა, ჭაობიანი ადგილები ამოაშრო და თანამედროვე საცხოვრებელი შენობებით, მოასფალტებული გზებით და ქალაქისათვის ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურით დამშვენებული ქალაქი აჩუქა საქართველოს. თვალებს არ ვუჯერებდი, ისეთი სიახლეები მხვდებოდა

ტყიბულში ყველა ჩასვლაზე. კარლომ შემაყვარა ეს ქალაქი. დღემდე სათუთი და თბილი გრძნობა მაკავშირებს მასთან, მშობლიურ, ჩემს ქალაქად ვთვლი.

ანდა სტადიონის მშენებლობის ისტორია რად ღირს. ძველ ტყიბულელებს კარგად ახსოვთ ალბათ ის ხევი ქალაქის ცენტრს რომ ებჯინებოდა. ყველა უამინდობის, ნვიშიანი დღის შემდეგ, ნაჟონი ნყალვარდნილი და ხანაც მენყერი ზიანს აყენებდა ქალაქის ამ უბანს და დიდ უხერხულობას უქმნიდა მაცხოვრებლებს. საჭირო იყო ნყლის გადინების სპეციალური არხის და დამცავი ჯებირის აშენება. ამ ძვირადღირებული ობიექტის აგების სახსრები ქალაქს რა თქმა უნდა არ გააჩნია. ყველა დეტალის მოყოლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ის კი აუცილებელი სათქმელია, რომ მხოლოდ კარლოს მიზანსწრაფვამ, პრობლემისადმი შეურიგებლობამ, სიჯიუტემ და დარწმუნების უნარმა თავისი გაიტანა, ტყიბულის ამ პრობლემით „თავმოებზრებულმა“ მოსკოვმა როგორც იქნა სპეციალური კომისია მოავლინა, რომელმაც „კარლოს მოსანონი“ დასკვნა შეიმუშავა და შესაბამისი სახსრებიც მალე გამოიყო. „ეშმაკ“ კარლო ლომადის ჩანაფიქრის განხორციელებისათვის ეს სავსებით საკმარისი იყო. არხიც გაიჭრა, დამცავი ჯებირიც აიგო და ზედ „სრულიად გაუთვალისწინებელი“ სტადიონიც დაამენა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის ტყიბულის სტადიონი ყველაზე ლამაზი და კოპნია სტადიონი იყო საქართველოში.

ტყიბულს, როგორც საქართველოს ქვანახშირის დედაქალაქს, უსერიოზულესი ამოცანები ედგა წინ. ქვანახშირის მოპოვების პროგრამის შესრულებას თბილისიც და მოსკოვიც მკაცრად აკონტროლებდნენ. ტყიბულში ჩასვლის პირველივე დღიდან კარლომ სამთო საქმის შესწავლა გადაწყვიტა. აბსოლიტურად არ იყო ეს აუ-

ცილებელი რაიკომის პირველი მდივნისთვის. მაგრამ კარლო ლომაძე რა კარლო ლომაძე იქნბოდა, რომ "ჩვეულებრივად" მოქცეულიყო. გულმოდგინედ მეცადინეობდა. სპეციალური კუთხე ჰქონდა მონყობილი კაბინეტში შესაბამისი ლიტერატურით და დაფით. სალამოს გვიან ლამემდე ამ საქმით იყო დაკავებული. ძალიან ხშირაად ჩადიოდა შახტებში, საკუთარი თვალთ აკვირდებოდა მეშახტეების ამ უშიძმესი და ვაჟკაცურ საქმიანობას. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს იმას, რომ პირველ პირთაგან ცოტა ვინმე თუ იწუხებდა თავს იმით, რომ საერთო ხელმძღვანელობის გარდა ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ნიუანსებამდე ჩანვდომოდა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ტექნოლოგიებს. აქაც იშვიათად გამონაკლისთა შორის იყო ბიძაჩემი.

რამდენიმე წელიწადში კარლო უკვე ძირფესვიანად ერკვეოდა ქვანახშირის მოპოვების ტექნოლოგიებში, ვერავინ ვერაფერში ველარ შეაცდენდა და მოატყუებდა. ამიტომაც იყო, რომ სპეციალისტთა საერთო აზრით ტყიბულის რაიკომის გადანყვეტილებები ამ დარგში წამოჭრილი უამრავი პრობლემების ირგვლივ ყოველთვის იყო დროული, საჭირო და რაც მთავარია კვალიფიციური და კონპეტენტური.

საოცარი კაცი იყო ბიძაჩემი. ტრაბახი და თავის გამოჩენა არ უყვარდა, ჩინ-მედლებს და „ზემოდან“ მადლობებს არასოდეს გამოკიდებია, ბოროტი, შურიანი და „ჩამშვები“ ადამიანები ჭირივით ეჯავრებოდა, „უფროსების“ მიმართ ქედმოხრილი და მოლაქუცე არასდროს ყოფილა, პირიქით, ყველასთან უაღრესად პირდაპირი და ზოგჯერ მოურიდებელიც კი იყო.

მახსოვს ერთხელ თბილისში ჩამოვიდა და ოჯახში გაგვანდო ყველას: ალბათ მალე გამანთავისუფლებენო. რაღა თქმა უნდა შევ-

შფოთდით ყველა. ორი კვირით ადრე კარლო ქართულ დელეგაციასთან ერთად ბაქოში იყო მივლინებული პატრიულ დიდ შეკრებაზე. ექვსასკაციანი დარბაზი სავსე იყო საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის პარტიული ელიტის წარმომადგენლებით. როცა საკავშირო ცკ-ს მაღალჩინოსანი ამ თავყრილობას მორიგი „ტვინის გამორეცხვის ლექციით“ მიმართავდა, კარლო წამოდგა, ორატორს სიტყვა გაანწყვეტინა, პირდაპირ მიახალა დარბაზიდან, რომ მცდარ აზრებს ქადაგებდა და დაუსაბუთა რატომაც. იმ დროს ასეთი სკანდალის მოწყობა სითამამეს კი არა, თვითმკვლელობას უფრო ნიშნავდა. მოგვიანებით შოთა ჭანუყვაძე იგონებდა: როცა დარბაზში მიმოვიხედე აღარავინ ჩანდაო, შიშით ყველას თავი ჩაექინდრა და სკამის საზურგეს ამოფარებოდა რალაც საშინელების მოლოდინშიო. ჩაიშალა თურმე „ლექცია“, ორატორმა დარბაზი მიატოვა და გავიდა.

რეაქციამ არ დააყოვნა. რამდენიმე ხანში თბილისმა მითითება მიიღო ეგ „ბუნტოვშიკი“ და დისიდენტი რაიკომის მდივანი სასწრაფოდ მოაცილეთო. ...მუჟავანაძემ გადააარჩინა, როგორც მოახერხა და მოსკოვის ეს ბრძანება არ შეასრულა.

ასეთი ხასიათი ჰქონდა: სიმართლისათვის ბრძოლაში მუდგარი და უშიშარი, ფლიდობასთან და ტყუილთან შეურიგებელი; არავის აპატიებდა თავმოყვარეობის შელახვას, როგორც ეს ზემოთნახსენებ ეპიზოდში მოხდა, როცა ორატორი თავდაჯერებული ირწმუნებოდა: „გინდა თუ არ გინდა ჩემი სიცრუე უნდა დაიჯეროო“. განა კარლოსთვის ძნელი იყო იმის წარმოდგენა რა შეიძლება მოჰყოლოდა მის „გამოხდომას“? რა თქმა უნდა არა. თანამდებობის დაკარგვა კი არა „კგბ-ს“ კლანჭებშიც მოქცევაც სავსებით შესაძლებელი იყო. მხოლოდ მან, იმ დარბაზში მსხდომთაგან მხოლოდ კარლომ გაბედა, არ მოერიდა თავისი ბედილბლის სასწორზე შეგდებას და „მაღალ“ ჩი-

ნოენიკს საჯაროდ განუცხადა პროტესტი, რომ მოსკოვი, ცკ, თავისი ვინრო წრის გარდა, ყველას სხვას ბრმებად, ყრუებად და დაბეჩავებულ ცხვრებად თვლიდნენ და რომ ტყუილ-მართლის გარჩევა სხვაგანაც კარგად შეეძლოთ.

აბა, შეიძლება, რომ არ იამაყო ასეთი პიროვნებით? ასეთი ძლიერი და მოუდრეკელი მამაკაცით? განა დღეს ცოტა რამ ხდება ანალოგიური? განა დღეს იშვიათად გვეუბნებიან შავი თეთრიაო? და რით ვპასუხობთ ყოველივე ამას? უკეთეს შემთხვევაში გულში გველიმება და უდრტივინველად ვიტანთ ყველაფერს. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ აღარ არიან დღეს საქართველოში კარლო ლომადისნაირები, და თუ არიან, ისინიც მონყვეტილნი არიან ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სამსახურებს, შენების და წინსვლის სადავეებს.

სიამოვნებით ვიხსენებ, თუ როგორ ზრუნავდა კარლო ახალგაზრდა თაობის სწავლა განათლებაზე, მათ დაოსტატებაზე და ქალაქის პატრიოტებად აღზრდაზე. ფიქრს და დროს არ იშურებდა ამისათვის.

კარლო რამდენიმე წლის განმავლობაში შესაშური „სიჯიუტით“ ცდილობდა ტყიბულში საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის ფილიალის გახსნას. ბოლოს მიაღწია კიდეც მიზანს. როგორც კი ეს ამბავი გავიგე დავურეკე და მივულოცე. ძალზე გახარებული იყო, მითხრა: ჩავთვალე, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი დიდი გამარჯვება ეს არისო, დარწმუნებული ვარ მეშახტეთა კადრების შევსების პრობლემის სიმძიმე ბევრად უფრო შეგვიმსუბუქდებაო. მართლაც ასე მოხდა. ტყიბულელი ახალგაზრდების დიდი უმეტესობა, რომლებიც ადგილზე ეუფლებოდნენ ქვანახშირის მოპოვების სპეციალობას, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იქვე იწყებ-

და მუშაობას, რამაც ღვანღმოსილ მეშახტეთა ცვლის დინამიურობას დიდად შეუნყო ხელი.

თავიდან ყველას უჩვეულოდ მოეჩვენა კარლო ლომაძის „ახირებული“ მოთხოვნა რაიონის ყველა საშუალო სკოლის ხელმძღვანელთა მიმართ, იმის თაობაზე, რომ მოსწავლეებს მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის ყველა მნიშვნელოვან მშენებლობებში. ქალაქში ასეთი ობიექტების დიდი ნაწილი ხომ ენთუზიაზმის, ე.წ. შაბათობების ხარჯზე შენდებოდა. მოსწავლეების მონაწილეობას თითქმის სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, გაკვეთილების შემდეგ სკოლის დირექტორებს ორგანიზებულად მოჰყავდათ მაღალი კლასის მოსწავლეები მხოლოდ ერთი საათით. ასე იყო სტადიონის, ცხრა ჯვრის დასასვენებელ სახლთან მისასვლელი გზის, საცურაო აუზის, სპორტის სასახლის და ქალაქის დამამშვენებელი სხვა ობიექტების მშენებლობებზე. კარლოს აზრით, შრომის ჩვევების ათვისების გარდა, ახალგაზრდობა ყველა ახლადამშენებულ ობიექტს საკუთარი ხელით ნაგებად ჩათვლის და უფრო შეუყვარდებაო, მეტი სიფაქიზით მოუვლის და ადვილად აღარ მიატოვებს მასო.

ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო მეცადინეობებში, ისევე, როგორც სხვა უამრავ ანალოგიურ მოქმედებაში, შესამჩნევი ერთი რამაა მხოლოდ: კარლო ყველა შემთხვევას და საშუალებას იყენებდა იმისათვის, რომ ყველანაირად ხელი შეეწყო ახალგაზრდობაში ქალაქის მიმართ პატრიოტული გრძნობის გაღვივებისა და გაძლიერებისათვის.

კარლოსთან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მისი პირადი მძღოლი ფაშა მირიანაშვილი, უაღრესად წესიერი, პატიოსანი და ერთგული ადამიანი. ერთხელ ფაშამ ღრმად შეწუხებულმა ერთი ამბავი გამანდო. რაიონის ერთ-ერთ მეურნეობაში მის ნათესავ ახალგაზრდას დაუწყია მუშაობა რიგით აგრონომად. კარლოს სამუშაო

დღე, როგორც წესი, დილის 6 სთ-ზე იწყებოდა. 6-დან 9 სთ-მდე კოლმეურნეობებს და მეურნეობებს მოივლიდა და 9 სთ-ზე უკვე სამსახურში იყო. ეს გაუგია ამ ახალგაზრდა აგრონომს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), ფაშას მეშვეობით, ისე, რომ ფაშას ეჭვი არ აელო, აზუსტებდა თავის მეურნეობაში კარლოს ვიზიტის დღეს და დილის 6 სთ-ზე სამუშაო ადგილზე ხვდებოდა მას. კარლოს ძალზე მოსწონდა ახალგაზრდა კაცის ეს „შრომითი ენთუზიაზმი“, უქებდა მონდომებას, ესაუბრებოდა, აზრს ეკითხებოდა.

გავიდა ხანი და ეს ახალგაზრდა კაცი დანიშნურდა ერთხელ, მეორედ. ფაშა მიუხვდა თავის „კარიერისტ“ ნათესავს ეშმაკობას, ველარ მოითმინა და კარლოს ყველაფერი გაანდო. ფაშამ მითხრა კარლოს განრისხების მოლოდინში ოფლმა დამასხა, საყვედურს ველოდი ამ ინფორმაციის დაგვიანებისთვისო. კარლოს სრულიად მშვიდად უთქვამს: არც მე ვტყუვდებოდი მეურნეობაში დილის 6 სთ-ზე მისი დანახვით, მაგრამ მოლოდინი ნამდვილად გაამართლა, კარგ სპეციალისტად გაიზარდა, მის მიმართ ყველა კარგი აზრისააო. თუ ასე გააგრძელა მას კიდევ დავანიშნურებო, და დაურთავს: ადამიანს თუ მოსათმენი მინუსები აქვს, მას ხელი არასოდეს არ უნდა ჰკრაო.

ბიძაჩემის ბუნების ერთ-ერთი ნიშანთვისება და ცხოვრების პრინციპი იყო ეს. ვფიქრობ სწორი, უაღრესად ჰუმანური და მისაბაძი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და არ ავლნიშნოთ კარლოს პედანტურობამდე მისული წესიერება, თავმოყვარეობა და უბრალოება. უცხო იყო მისთვის თვალთმაქცობა და ტყუილი, გადაჭარბებული სიამაყე და პომპეზურობა. არავის უნახავს იგი მოტრაბახე და „ცხვირანული“, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც შესაშური წარმატებები და მიღწევები გააჩნდა. უაღრესად მორიდებული ადამიანი იყო როგორც საზოგადოებასთან, ისე ოჯახის წევრებთან, ნათესა-

ვებთან. არასდროს მოგახვევდა თავს თავის პრინციპებს, შეხედულებებს. თითქოს სასხვათაშორისოდ გამოთქვამდა თავის მოსაზრებას რაიმე საკითხზე, არ შეგეკითხებოდა და არ დაგანახებდა უკმაყოფილებას ან წყენას, თუ კი შენი შეხედულება მისას არ ემთხვეოდა. გაძლევდა საშუალებას, რომ დაფიქრებულიყავი და შენ თვითონ გაგეკეთებინა დასკვნა.

ცხოვრების წესად ჰქონდა მიღებული, რომ განათლება, თანამდებობა ან მატერიალური მდგომარეობა არ იყო გონორის და ადამიანზე ზემოდან ყურების საფუძველი. დღევანდელ ჩინოვნიკებს სასაცილოდაც არ ეყოფად ალბათ ის, რომ კარლოს მკაცრი მოთხოვნის გამო ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ ესარგებლათ მისი სამსახურობრივი მანქანით, რაიმე სხვა პრივილეგიით.

მახსოვს ერთხელ კარლოს ოჯახს ზაფხულის პერიოდისთვის გამოუყვეს აგარაკი წყნეთში. თბილისში ჩამოსულმა კარლომ მოინახულა ისინი და საშინლად აღშფოთებული დარჩა. თავმოყვარეობა შელახულად და შეურაცხყოფილად ჩათვალა თავი იმის გამო, რომ მისი ოჯახი ისვენებდა ე.წ. სამთავრობო ბინაში, რომელსაც 24 სთ-იანი დაცვა ჰყავდა და სადაც სპეციალური ნებართვის გარეშე ვერავინ შედიოდა. მეორე დღესვე კარლოს ოჯახმა აგარაკი დატოვა.

ასეთი დარჩა ბიძაჩემი ჩემს მეხსიერებაში.

ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში განსაკუთრებით გამორჩეული და დასამახსოვრებელი მომენტები, ურთიერთობები. მე ნამდვილად ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვიცნობდი და ახლო ურთიერთობა მქონდა ისეთ ბუმბერაზ და უნიკალურ პიროვნებასთან, როგორც კარლო ლომაძე იყო, რომლისგანაც ცხოვრებაში ბევრი რამ ვისწავლე და ეხლაც ვსწავლობ, რომლითაც ყოველთვის ვამაყობდი და ვიამაყებ მუდამ, სანამ კი ცოცხალი ვიქნები.



ფოტომასალა

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით



1. კარლო ლომაძე და შოთა ჭანუყვაძე, ქ. პრაღა.




2. კარლო ლომაძე მეულესთან და
უფროს ქალიშვილთან ქ. კისლოვოდსკში.



3. კარლო ლომიძის დიდი ოჯახი აგარაკზე.



4. კარლო ლომაძე მეულღესთან და
შვილიშვილებთან ერთად აგარაკზე.




5. კარლო ლომაძე შვილიშვილებთან
გია და კახა ტყონია, მამუკა ანდლულაძე,
მაკა კანდელაკი.

შვილები: კარლო ლომაძე, გია და კახა ტყონია, მამუკა ანდლულაძე, მაკა კანდელაკი.
- ანდლულაძე, გია



6. კარლო ლომაძე და შვილიშვილი
მაკა კანდელაკი.



7. შვილიშვილი თეიკო კანდელაკი.

შვილთაშვილები ანდრო ვარძელაშვილი და ზუკა ლელაშვილი.




8. შვილთაშვილი მარი ქყონია.



9. შვილთაშვილი თამუნა ანდლულაძე.

გზაუღეობა ოცნაზე იფიქრებოდე !!



10. შვილთაშვილი ვასიკო ანდლულაძე.



11. კარლო ლომაძის ბიუსტი. ენოციე



რედაქტორი ნანა ლომაძე

კომ. უზრუნველყოფა ხათუთა ბადრიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-877-6



9 789941 128776